ისტორიული მემკვიდრეობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, 2012 წ. ნოემბერი, №3 (28), ფასი 2 ლარი

8 შოთას უკვდავი ქმნილება — «ვეფხის-ტყაოსანი» პირველად 300 წლის წინ დაიბეჭდა

«განათლება არ შეიძლება მუდმივი ექსპერიმენტის საგანი იყოს» 9

ალექსანდრე დიუმა და მისი მოგზაურობის წიგნი «კავკასია» 26

ერთა ლიგა და საქართველო 32

მეგობრობა გზად და სიდად — ლადო გუდიაშვილი: ბორის პასტერნაკი 36

გიორგი მჭედლიშვილი: ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები 38

ქართული სოფელი გუშინ 47

„ილია მართალი ერისა და ქვეყნის წინაშე ბევრს აკეთებდა, რათა საქართველოს სახელი არ გამქრალიყო. შევთხოვოთ უფალს, ილია მართლის ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს“

ილია II

უგვირგვინო მეფე და სულიერი მამა საქართველოსი

4

43

კოტე მარჯანიშვილი — 140

„მადლობა დიდ რუსეთს, რომ მან ერთი წუთითაც არ შეანელა ჩემი კახური სისხლი, დედაჩემის სისხლი. მისმა საუცხოო სუსხიანმა დღეებმა არ ჩაჰკლეს ჩემში მოგონებანი ჩემი მთების მხურვალე ქვებზე. მისმა მომხიბლავმა თეთრმა ღამეებმა ვერ გათქვიფეს სამხრეთული ხავერდისებური, წკრიალა ვარსკვლავებით უხვად მოფენილი მუქი ცის სისქე. მისმა მშვიდმა გულკეთილობამ ერთი წუთითაც არ შეანელა მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის თავაწყვეტილი აღმაფრენა — ეს მომცა მე ჩემმა პატარა, ჩემმა საყვარელმა საქართველომ“.

შამილი — თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების მოკავშირე

11

2012 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა

ირაკლი თოიძის ნახატი

სარჩევი

მამულიშვილი
უგვირგვინო მეფე და სულიერი მამა საქართველოსი 4

იუბილე
შოთას უკვდავი ქმნილება — «ვეფხისტყაოსანი» პირველად 300 წლის წინ დაიბეჭდა 8

განათლება
«განათლება არ შეიძლება მუდმივი ექსპერიმენტის საგანი იყოს» 9

ბრძოლა გადარჩენისთვის
შამილი — თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების მოკავშირე 11

მამხილებელი დოკუმენტები 14

შამილის ტყვედნამყოფი ოფიცრის ნაამბობი 18

უცხო თვალით
ალექსანდრე დიუმა და მისი მოგზაურობის წიგნი «კავკასია» 26

საქართველო და გარე სამყარო
ერთა ლიგა და საქართველო 32

კულტურული ურთიერთობები
მეგობრობა გზად და სიდად — ლადო გუდიაშვილი: ბორის პასტერნაკი 36

თვალსაზრისი
გიორგი მჭედლიშვილი: ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები, ცივილიზაციურ კონფლიქტში თუ კულტურათა დიალოგში? 38

ქართული პრესა 50 წლის წინ
ქართველები უცხოეთში — ჯორჯ ბალანჩინი: ბედნიერი ვარ, რომ ვნახე ახალი საქართველო 41

თარიღი
კოტე მარჯანიშვილი — 140 43

ქართული პრესა 50 წლის წინ
ქართული სოფელი გუშინ, ანუ წინ წავედით თუ უკან 47

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“

სარედაქციო კოლეგია

პასუხისმგებელი რედაქტორი დარეჯან ანდრიაძე

მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. № 6 ტელ.: 234-32-95

უგვირგვინო მეფე და სულიერი მამა საქართველოსი

წლეულს დიდი ილიას დაბადების 175 წლისთავი ყვარელში მოკრძალებულად აღინიშნა. ყვარლის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ამას ბიუჯეტში საამისოდ არასაკმარის თანხებს უკავშირებს. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ კი საგურამოში გამართულ ღონისძიებას დიდი ეროვნული დღესასწაული უწოდა.

„დაბადებიდან 175 წელი შეუსრულდა დიდ ილია მართალს — ილია ჭავჭავაძეს. სახელი ილია მნიშვნელოვანია და ამ სახელში ღმერთი ორჯერ არის მოხსენიებული, ელიახვე – უფალი ღმერთი ჩემი და სწორედ ღმერთის სიყვარულით ცხოვრობდა ილია მართალი, ის იყო ღმერთთან და ღმერთი იყო მასთან. როდესაც მე შემოქმედელი ეპისკოპოსი ვიყავი, ვიცნობდი დიმიტრი ჯაშს, რომლისგანაც მე ბევრი რამ მსმენია ილია ჭავჭავაძის ღვაწლის შესახებ. მან ბევრი განსაცდელი გამოიარა, მაგრამ იდგა მტკიცედ. ის იყო უგვირგვინო მეფე და სულიერი მამა საქართველოსი. როცა საქართველოს პოლიტიკური თავისუფლება და ავტოკეფალია დაკარგული ჰქონდა, ილია მართალი ერისა და ქვეყნის წინაშე ბევრს აკეთებდა, რათა საქართველოს სახელი არ გამქრალიყო. შევთხოვოთ უფალს, ილია მართლის ლოცვა შეეწიოს სრულიად საქართველოს“, — აღნიშნა უწმინდესმა და უნეტარესმა.

უკვდავი გული

მაღალ გრძნობათა სახლის სახალხო ბილიკი საგურამოში ბალახს არ გადაუვლია.

იქ ძევს მკვდარი ტყვია.

ხოლო ილია ჭავჭავაძე ცოცხლობს მაღალ ქმნილებებში და ამაყი მუზის დროშაზე ელვარებს ცეცხლით დაწერილი დევიზი:

„კაცობრიობას, სილამაზეს, სამშობლოს!“

მცხეთის საბრძოლო კოშკებითა და ფრთამოღუღუნე ტაძრებით გარმოდგმული, ქართველი ხალხის კულტურული აკვნის საგუშაგოზე დგას მგოსნის უკვდავება.

უკვდავება დამთავრებული ცნებაა. უკვდავებაა ადამიანები, სიცოცხლეს რომ მომავალს სწირავდნენ.

ასეთ დაუღალავ მებრძოლთ, გონებისა და გულის მადლიანი ნიჭით რომ არიან აღჭურვილნი, მიაკუთვნა დიდმა სიმართლემ და ისტორიამ ილია ჭავჭავაძე — პოეტი და მოქალაქეობრივი რისხვისა და მწუხარების ტრიბუნი.

იმ საბედისწერო დღეს ილიამ უკანასკნელად, — რა საზარლად ჟღერს ეს სიტყვა! — ჩაუარა ეტლით თავისუფლებისმოყვარე მწირის სავანეს, დიდებულ ჯვრის მონასტერს, საუკუნეებს რომ სრულყოფილი სახიერება მიუნიჭებიათ, და მცხეთის ბრძოლით მოქანცულ კოშკებს.

და ვინ იცის, ჩაუარა თუ არა ბებრის ციხეს, ნახევრადდანგრეულ სიმაგრეს, ქვის მკერდით რომ კვლავაც ჰკეტავს ხეობას, იქნებ ილია მახვილივით ლესავდა აზრს, რათა მალე სანკტ-პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნიდან განეგრძო ბრძოლა ორთავიანი, მაგრამ უტვინო თვითმპყრობელობისა და პატრიარქალურ-ბატონყმური წყობილების მაღალი რანგის დამცველთა წინააღმდეგ.

თურმე დათვლილი ჰქონდა სიცოცხლის დღენი. ნაშუადღევს სამცხენიანმა ეტლმა საურმე გზისაკენ გადაუხვია. მთები მოლურჯო ნისლს დაებურა. წინ გზის პირას მოჩანდა სახატე ნიში, იმას იქით პატარა ტყე. ახლოვდებოდა საბედისწერო მოსახვევი და... იჭექა თოფმა.

სამი გასროლის ხმა თბილისს მისწვდა და აღაშფოთა შეძრწუნებულ ადამიანთა გული.

ეს იყო 1907 წლის აგვისტო. ჩვენ დასადგმელად ვამზადებდით ა. სუმბათოვ-იუჟინის პიესას „შევარდნებსა და ყორნებს“, წარმოდგენა „ავჭალის აუდიტორიაში“ — რკინიგზის მთავარი სახელოსნოების კლუბში უნდა გაგვემართა.

დიდი განცდების წუთებში ხსოვნა ფოტოგრაფიულად ინახავს ყველაფერს: სახეებს, ცქერას, მოძრაობას, სიტყვებს...

ოთახში ვიღაც სტუდენტი შემოვიდა, მაგიდასთან დაჯდა და სახე ხელებში ჩარგო.

გაისმა პიესის გმირი ქალისადმი მიმართული რეპლიკა: „დამშვიდდი ტონია. არაფერი არ მომხდარა“.

სტუდენტმა მკვეთრი თვალი მოავლო კურსისტ ტონიას, რომელსაც პიესის გმირის სახელი ერქვა, და წამოდგა. მხრებზე წამოსხმული ფორმის ქურთუკი დაუვარდა და გაოგნებულმა ძლივს წარმოთქვა:

— მოხდა შეუძლებელი, საშინელი, მხეცური რამ... ილია მოკლეს!.. საშინელმა სიტყვებმა თავზარი დაგვცა, გაგვაჩანაგა...

1857-1861 წლები. პეტერბურგის უნივერსიტეტი. დისკუსიები, კამათი ნაშუაღამევამდე. პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ნეკრასო-

ვი აახლოებენ ილია ჭავჭავაძეს დიდ რუსულ კულტურასთან, ხალხთან, მაღალიდეურ ლიტერატურას რომ ქმნიდნენ. და ახალგაზრდა ილია შენიშნავს: ჩვენ მშვენივრად გვესმის, რომ ხელოვნება, პოეზია დამოკიდებულია ხალხის ცხოვრებაზე. პოეტს ხალხი წარმოშობს.

კოლონიური ჩაგვრა! შავბნელი ცარიზმი! ილია ჭავჭავაძის სინდისი მოსვენებული ვერ იქნება. ბრძოლა! ბრძოლა!

ილია სამშობლოში ბრუნდება, თან მოაქვს მოწინავე იდეები. მაშ, ბრძოლა სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის!

და იგი ხდება ახალგაზრდობის ფიქრთა მპყრობელი.

მისი სიკვდილი სასოწარკვეთილებას იწვევს. შემდეგ მოვა მრისხანება. ახლა კი სასოწარკვეთილებაა.

არის ხოლმე მშვიდი დღეები, ვით ფანჯრის მინა. იგი ასახავს ყოველდღიურობას, იგი ოდნავ თბება შუადღისას, რათა შემდეგ უნებლიეთ მისცეს მზის სითბო გაციებულ ბინდს.

იმ დღეს მინას გავარვარებული ტყვია მოხვდა. მინა დაიმსხვრა და მასთან ერთად სადღაც ჩაესვენა მზე. საათმა შეწყვიტა წუთების თვლა.

გულზე რაღაც შემომაწვა და ანაზდეულად ნათლად ვიგრძენი ნაცნობი სიმძიმე...

1905 წელი; მოჟრიამულე ქუჩები სავსეა სადღესასწაულოდ მორთული ხალხით „აღდეგ, შემოკრბი, მუშაო...“ ჰიმნში შემოიჭრნენ კაზაკები. კედელს მიმაჭყლიტეს. თავზე დამფრქვინავს და დორბლს მაყრის კაზაკის ცხენი...

და სულ ახლოს ჩამიქროლა ეტლმა, შიგ ვიღაც ზის. ძლიერმა ხელებმა აგვიტაცეს მე და კურსისტი ტონია...

მოჰკლეს ილია ჭავჭავაძე! რეჟიმის კიდევ ერთი შავბნელი ჩრდილი მიადგა ნათელ იდეალებს. მოჰკლეს?! მაგრამ ვინ არის, რომ გაზეთ „ივერიის“ რედაქციის სადარბაზო შესასვლელში ამბობს: „შთაagონე შვილიშვილს ყველაფერი, რითაც დიდი იყო პაპა?“, რატომ არ გაიძახიან მეგაზეთეები ქუჩაბანდებზე მხოლოდ ერთ სიტყვას: „მოჰკლესო“, არამედ ცდილობენ გაასაღონ ილუზია?..

...პეტერბურგი. 27 აგვისტო. დილის 8 საათზე მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა საიმპერატორო იახტა „შტანდარტიდან“ ნაღმიან კრეისერ „პოგრანიჩნიკზე“ გადავიდა... „...გამოქვეყნდა ინსტრუქცია სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების წესის შესახებ...“ „...ვამზადებ თვეში 3 მანეთად...“ „...დამეკარგა პოინტერის ლეკვი, სახელად ჰქვია მილორდი, თეთრი ყვითლად დაწინწკლული...“ „...ინგლისის ახალი სამხედრო აეროსტატი 28 აგვისტოს წრიულად დაფრინავდა ფრანბოროს გარშემო, მან სამი კაცი აიყვანა ნახევარ მილ სიმაღლეზე...“

გზაზე კი გატეხილი პენსნე ეგდო...

ფაიტონი მიჰქროდა. რატომღაც ლიანდაგს ასცდა ავჭალის ხაზის კონკა. სადღაც გაილალნენ ხელოსნები თავიანთი საამქროს დროშიანად. პოლიციელი ცდილობდა, სასტვენით დაეწყნარებინა ქუჩა...

ძლივს მივაღწიეთ წიწამურის გზის იმ საბედისწერო მოსახვევს. იმ ადგილას, სადაც ახლა აღმართულია თეთრი ობელისკი, რომელიც თითქოს უჩვენებს უსაზღვრო სიმაღლეს, დანაშაულობის მოწმე რომ გახდა, ალბათ, ჯერ კიდევ თბილია მამულიშვილისა და ქართული სიტყვის ოსტატის სისხლი.

ჩვენ იმ ტრაგიკულ ადგილთან ვერ მივედით. მას გარს შემორტყმოდნენ ხმალამოწვდილი ჩაფრები, რომლებიც ცდილობდნენ, ილიასათვის გადაეღობათ უკვდავებისაკენ მიმავალი გზა...

ამ დღის შემდეგ, რომელიც მართალი სისხლით შეიღება, არსენალის გორიდან ბევრჯერ გაუსროლიათ შუადღის მაუწყებელი ზარბაზანი.

ახალმა გაზაფხულმა ცისფრად შეღება თბილისი. ხალხმა — ისტორიის შემქმნელმა ხალხმა საუკუნეზე აღმართა ალამი, პირველი რევოლუციის ბარიკადებზე რომ ტყვიით იყო დაცხრილული. და ეს ალამი იყო დიადი დროის პასუხი ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გმირებისადმი, როგორიც იყო ღარიბი გაბრო „გლახის ნაამბობიდან“, ილიას რომ ნაღვლიანად უთხრა: **„მაშინ რა ვიცოდი სულელმა, რომ უფროს-უმცროსობაში სიყვარული სიზმარია? რა ვიცოდი, რომა ბატონ-ყმობის შუა სიყვარულის ხიდი არ გაიდება? ეგრე ყოფილა ქვეყანაზედა, ცალს თურმე ცალმა უნდა უცალოს!“...**

ილია ჭავჭავაძის შექმნილი სახეები ხელს გვიწყობდნენ გაგვეგო საქართველოს ცხოვრების ის მოვლენები, რომლებიც ისტორიას ეკუთვნოდნენ და უკვე ჟამთა ჩაფიქრებული ბურუსით იყვნენ მოცულნი, აგრეთვე, ის მოვლენები, ჩვენს ფიქრებს რომ მიაპყრობდნენ თანამედროვეობის მწვავე საკითხებს, სოციალურ უსამართლობას, უმიწაწყლო გლეხობის მძიმე ხვედრს.

და ახლაც ილია ჭავჭავაძის — დიდი მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და განმანათლებლის შემოქმედებას ჩვენი მადლიერი მკითხველი აღიქვამს, როგორც სულიერი ტკივილის გამოძახილს, რომელიც ქართველი ხალხის ათასწლობით ტანჯვამ წარმოშვა, როგორც მოწოდებას შავბნელ ძალებთან საბრძოლველად სამშობლოს, სილამაზის, კაცობრიობის გამარჯვებისათვის.

ანა ანტონოვსკაია,
მოსკოვი, 1962 წ.

რედაქციის მინაწერი:

ანა ანტონოვსკაია (ქალიშვილობაში — ვეჟნერი) გახლდათ რუსი მწერალი, სცენარისტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და ლიტერატურული კრიტიკოსი. დაიბადა თბილისში. ავტორია რომანისა „დიდი მოურავი“, რომლის წერას 1936 წელს შეუდგა. 1942 წელს, როცა ჭიაურელმა „გიორგი სააკაძის“ გადაღება დაიწყო, ანტონოვსკაიას რომანი სრული სახით ჯერ არ იყო გამოქვეყნებული. მიუხედავად ამისა, ფილმისათვის სცენარის დაწერა მას დაევალა, რაც ბრწყინვალედ განახორციელა თავის ვაჟთან — ბორის ჩერნისთან ერთად. 1942 წელს ანა ანტონოვსკაია სტალინის II ხარისხის პრემიის ლაურეატი გახდა.

უყვარდა სოფელი

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქივში დაცულია მასალა — „გლეხთა განთავისუფლების შესახებ 1864 წლის 4 ნოემბრის წესდებულება“, რომელიც ილია ჭავჭავაძის დღემდე უცნობ ავტოგრაფს წარმოადგენს.

ამ „წესდებულებიდან“ ირკვევა, რომ ილიას, როგორც მომრიგებელ შუამავალს, საპასუხისმგებლო მოვალეობა ჰქონია დაკისრებული. მას უნდა გადაეწყვიტა ისეთი საკითხები, როგორიც არის: ყმობიდან გამოსულ გლეხთა საჩივრების განხილვა, როგორც დროებით ვალდებულთა, ისე მებატონეთა და შინამოსამსახურეთა და, აგრეთვე, სახელმწიფო და საეკლესიო მამულებზე აღძრულ დავებზე განჩინებების გამოტანა და სხვ.

ბატონყმობის გადავარდნით გახარებული ილია ხალისით შეუდგა მომრიგებელ შუამავლობას. აკი ამობდა კიდეც: **„ძმებო, ბატონყმობის გადავარდნა, თქვენი განთავისუფლება, მე თქვენზე მეტად გამიხარდა. ნიშნად ჩემი სიხარულისა, ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად გადმომიცია, არავითარი ღალათ ხარკი მე არ მინდა. იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთო“.**

მომრიგებელ შუამავლად მუშაობის დროს ილია კიდევ უფრო ახლო გაეცნო გლეხობას, სოფლის ცხოვრებას. კიდევ უფრო ახლოს მივიდა მათთან, ღრმად ჩაიხედა მათი გულის სიღრმეში. გლეხებთან უშუალო კავშირმა მწერალს ხელი შეუწყო ცხოვრებისა და სინამდვილის საფუძვლიანად შესწავლაში. გლეხებთან უშუალო კავშირი და მათი სიყვარული იყო მიზეზი იმისა, რომ სიმართლისა და კანონიერი სიტყვის მთქმელებს მხოლოდ გლეხებში, მშრომელ ხალხში ხედავდა:

„ვიცი, საცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაც გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან, ისიც ვიცი, რა თვისებისაცა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისათვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანიენ“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილსა“.

ილია იმასაც ამბობდა, რომ გლეხებისაგან არა მარტო ენას, ჭკვასაცა ვსწავლობთო. ამიტომ დათანხმდა გლეხებთან მუშაობეზ მომრიგებელ შუამავლად. ასეთივე აზრი ასულდგმულებდა მთის არწივს ვაჟასაც, რომელიც ამბობდა: “შუამავლის თანამდებობას მაძლევენ. ეს სამსახური იმით არის კარგი, რომ ხალხთან მექნება საქმე და მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლება მათთვისო“.

ბატონყმობის ნიადაგზე წარმოშობილი უსიამოვნებისა და ყოველგვარი დავის გადაწყვეტა-მოგვარების დროს ილია დიდ მიდრეკილებას იჩენდა გლეხთა ინტერესებისაკენ. მიწების მიზომვის დროს გლეხებს ზედმეტ მიწებს აკუთვნებდა და ამით ზღუდავდა თავად-აზნაურთა თავაშვებულობას. აზნაურმა ლაბაურმა ერთ გლეხს მიწა წაართვა. ეს საკითხი ლაბაურმა წინასწარ შეუთანხმა მოურავს. ამიტომ გლეხს, რომელმაც მოურავს მიმართა ჩივილით, არაფერი გამოუვიდა. იგი იძულებული გახდა ილიასთან გაქცეულიყო. ილიამ დინჯად მოუსმინა, გამოჰკითხა ყველაფერი, შემდეგ მაგიდას მიუჯდა და რაღაც დაწერა. ქაღალდი დაკეცა და მისცა — წადი, მოურავს მიეციო, — უთხრა. მოურავმა — გიორგი ინაშვილმა, როგორც კი წაიკითხა ილიას წერილი, გლეხს მაშინვე უკან დაუბრუნა ჩამორთმეული მიწა, აზნაური ლაბაური თუმცა ნაწყენი დარჩა, მაგრამ ვეღარაფერი გაბედა.

ილიას მიერ გლეხებისათვის მიწების მიზომვას უყურებდნენ თავადები, აზნაურები, მათი ქალბატონები და მღვდლებიც კი. თავადაზნაურობა ყოველ ნაბიჯზე აყალ-მაყალს ტეხდა. ერთხელ ილიამ სიცილით უთხრა ხვლეპუზა შაბურიშვილს: „დადგება დრო, რო გლეხკაცობას დარჩება თქვენი ველებიც და ტყეებიცაო“.

ერთხელ თავადი ალექსანდრე ჩრდილელის თითქმის ნახევარი დღის მიწა მისი ნაყმევის მხარეზე აღმოჩნდა. ჩრდილელმა ეს რომ ნახა, მაშინვე უნდოდა საზღვრების ამოგდება, მაგრამ რადგანაც ამისათვის თვითონ ილიას დასტური იყო საჭირო, იგი ცხენით მიიჭრა ილიასთან და უთხრა — „თავადიშვილო, რაშია საქმე, რო ის, რაც კანონიერი ზომაა, იმაზე მეტი მიგიზომავს და დაგიყორღნია კიდეცაო. აბა, მე გიცხადებ, მივდივარ და ერთი კარგად გაგიწკეპლავ იმ ძაღლის ლეკვებს და ყორღანებსაც თავიანთი ბარებით ამოვაგდებინებო“.

გაიცინა ილიამ და მიუგო — „ამოაგდებ და შენც ამოვარდები შენი სახლკარითო“.

შეშინებულმა თავადმა ველარაფერი გაბედა.

გლეხების საკეთილდღეოდ იბრძოდა ილია თავისი სიცოცხლის მთელ მანძილზე.

1905 წელს იგი ყვარელში ჩავიდა. მეორე დღესვე შეაბმევინა ეტლი და მოემზადა სადღაც წასასვლელად. როგორც შემდეგ გამოირკვა ილია წავიდა საბუესა და გრემში, ამ სოფლებში გლეხთა გამოსვლების დროს მოჰკლეს გლეხის ქალი ეთერ ხეჩიაშვილი და სოფლელებს „ზეკუციად“ ყაზახები ჩაუყენეს. როგორც ჩანს, ილიამ თბილისშივე გაიგო ეს ამბავი. მისვლისთანავე გამოაძახებინა უფროსი და ნახევარი საათი ელაპარაკა, რაღაც ქაღალდები უჩვენა, ამის შემდეგ უფროსმა მოწიწებით სალამი მისცა და წავიდა. იმავე დღესვე სოფელში „ზეკუცია“ მოხსნეს.

ილია ჭავჭავაძე არ კარგავდა იმედს, დარწმუნებული იყო, რომ ოდესმე გლეხობა უკეთეს ცხოვრებას მოიპოვებდა.

ილია კალოზე

ცნობილი ქართველი დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ გედევანიშვილი 1912 წლის ზაფხულში ილია ჭავჭავაძის მშობლიურ სოფელს ყვარელს

სტუმრებია. მას განზრახვა ჰქონია გაცნობოდა დიდი ილიას კარმიდამოს, შეხვედროდა მის ახლობლებს და შეეკრიბა მასალები ყვარელში პოეტის ცხოვრების შესახებ. ეს მასალები ნაწილობრივ გამოუყენებია გედევანიშვილს თავის ნარკვევში „კურთხეული მხარე“, რომელიც დაიბეჭდა „სახალხო გაზეთის“ 1912 წლის 24 ივლისის ნომერში.

მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთ ნაწყვეტს ი. გედევანიშვილის აღნიშნული ნარკვევიდან.

„ყვარელი! გული ამიტოკდა. სამშობლო დიდებული ქართველისა. აი, ამ მთებმა, ამ ბუნებამ შთაბერეს და გაუღვიძეს პატარა ილიას ღვთიური ნიჭი, აი, ამ მიწაწყალმა გამოკვება საქართველოს პირმშო. მოშუის, ბუტბუტებს დურუჯი. ცხარობს, ჯავრობს, იმუქრება: “დამაცედეთ, გაზაფხულდეს ისევაო!“ ...შოლტის ხშირი ტყლაშუნი, თვლების ქვებზედ მიხეთქ-მოხეთქება, ნჯღრევა... და როგორც იყო, ოთხმა „რაშმა“ დურუჯი „აიღეს“, გამოჩნდა ყვარლის ციხე და მის წინ მოედანზე საკმაოდ მოგროვილი ხალხი. რა ამბავია?.. ეს არის ეხლა დაუდგავთ სალეწი მანქანა, ამუშავებენ და მთელი ყვარელი შეგროვილა და შესცქერის ამ არაჩვეულებრივს უცნაურს მოვლენას. ინჟინერ ქიქოძეს, ადგილობრივ მსხვილ მემამულეს გამოუწერია ეს მანქანა... ამ მანქანამ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, არა იმიტოგმ, რომ იგი ერთი მხრივ ნაბიჯია — ამასთან შესამჩნევიც — კულტურისაკენ, არამედ იმით, რომ მომაგონა ერთი შემთხვევა ჩემი ბავშვობიდან: პატარა გახლდით, ჩემი მშობლები ცხოვრობდნენ მცხეთაში და ჩვენი ოჯახი იმ დროს დაახლოებული იყო განსვენებულ ილიას ოჯახთან. ხშირად დაიარებოდნენ ერთმანეთში. მახსოვს პირველი ჩემი წასვლა საგურამოში. ვიქნებოდი ესე 12-13 წლისა. მივუახლოვდით თუ არა ილიას კარმიდამოს, ერთ-ერთი მისი მოჯამაგირე შეგვხვდა და გვითხრა, „კნიაზი“ კალოზე ბრძანდებაო. მივედით კალოსთან და დავინახე ილია; წინათ ჩვენს სახლშიც და ქალაქშიაც მენახა ილია, მაგრამ სულ სხვა სახით. აქ, კალოზედ, იჯდა ილია „პარუსინის“ ხალათში, უსარტყელოდ, ვეებერთელა, ჩამოფხატული ჩალის „შლიაპით“. კალოზე რაკრაკებდა სალეწი მანქანა (ცხენები ამოძრავებდნენ). მანქანა ახლად იყო მოტანილი და ილია გაფაციცებით ადევნებდა თვალს მის მუშაობას, ასწავლიდა მუშებს, ზოგჯერ თვითონაც შველოდა. დიახ, ჩემი პირველი მისვლისას საგურამოში ილიას ოჯახში დამხვდა სალეწი მანქანა და აი, ეხლაც, ყვარელშიაც პირველად მოსვლისას, სადაც ილიას სული მეფობს, იგივე სალეწი მანქანა დამხვდა...

ჩამოვხტით ბ. მოსე ცქიტიშვილთან. იგი ოჯახით ცხოვრობს ილიას „კოშკში“...

„აი, აქ დაბადებულა ილია!“ — გვითხრა ბ. ცქვიტიშვილმა, როდესაც აგვიყვანა კოშკის ზემო სართულში. აქ წინათ ერთი ოთახი ყოფილა, შემდეგ უკანასკნელ ხანებში, ილიას სიცოცხლის დროს, მიუდგამთ მეორე ოთახი, ძველი კედლები ახლადაა გალესილი და, როგორც გვითხრეს, დიდი “რემონტი” გაუკეთებია ნეტარხსენებულ ილიას ამ კოშკისათვის...

ბ. ცქვიტიშვილის წყალობით აღმოვაჩინეთ ყვარელში მოხუცებული დედაკაცი სალომე ლოლაძისა, რომელიც ილიას ოჯახში გამზრდელად ყოფილა ილიას პატარაობის დროს და დიდხანს უცხოვრია მათთან... როდესაც გაიგო მოხუცმა, რისთვისაც მივედი მასთან, მეტად აღელდა.

— „აბა, ის ანგელოზი მოჰკლეს და მე კი ჯერ ცოცხალი ვარ“... — უცრემლოდ, დაბალი, დანჯღრეული ხმით მოსთქვამდა მოხუცი და მისი მოთქმა ადამიანს ტანში ჟრუანტელს ჰგვრიდა.

— „ვის რა დაუშავა?.. ვის რა წაართო?.. ანგელოზივით კაცი იყო“. — გაიძახოდა მოხუცი... და ვინ რას უპასუხებდა ამაზე?

გადავიღეთ სურათი სალომესი. ჯერ დიდ უარზე იყო, მაგრამ შემდეგ, ბ. ცქიტიშვილის და მამასახლის შავგულიძის დახმარებით, როგორც იყო დავიყოლიეთ.

შევკრიბეთ, აგრეთვე, ზოგიერთი ცნობები ილიას შესახებ სხვა პირებისაგანაც და იმ დღესვე გამოვბრუნდით თელავისაკენ“.

მოამზადა დიანა კახიძემ

შოთას უკვდავი ქმნილება — «ვეფხისტყაოსანი» პირველად 300 წლის წინ დაიბეჭდა

300 წლის წინ, 1712 წელს, მოსკოვში, ვახტანგ მეფის სტამბაში პირველად დაიბეჭდა XII საუკუნის მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული შედევრი – „ვეფხისტყაოსანი“. სწორედ ამიტომ 2012 წელი იუნესკომ შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა.

პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ პირველი ქართველი მესტამბის, მიქაელის, პირველი ნამუშევარია და ქართველ გამომცემელთა პირველი დამოუკიდებელი ნამოღვაწარი. იგი ასევე პირველი ქართული ნაბეჭდი ორიგინალური თხზულებაა და პირველი მეცნიერული გამოცემაც ქართულ ენაზე: პოემას ერთვის ქართლის განმგებლისა და თბილისის სტამბის მმართველის — ვახტანგის განმარტებები – „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხისტყაოსნისა“. ეს ჩვენამდე მოღწეული ქრონოლოგიურად პირველი და ვრცელი მონოგრაფიაა რუსთაველის უკვდავი პოემის შესახებ. აქ განმარტებულია თხზულების არსი, პოემის ცალკეული სტროფები და სიტყვები. პოემის პირველი გამოცემა წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა შეჯერებულ, კრიტიკულ ტექსტს.

გამოცემა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ტირაჟი უცნობია. აღრიცხულია 20 ეგზემპლარი, აქედან 5 დაცულია ეროვნულ ბიბლიოთეკაში და არც ერთი არ არის სრული.

პირველნაბეჭდი „ვეფხისტყაოსანი“ ეკუთვნოდა ქართველ კლასიკოს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს – ილია ჭავჭავაძეს. ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილებაში დაცულია მისი კოლექცია. წიგნი ბიბლიოთეკაში 1937 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ფონდთან ერთად მოხვდა.

სადღეისოდ „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნილია 49 ენაზე. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაიბეჭდა 420-ზე მეტი გამოცემა, ქართულ გამოცემათა რიცხვმა 100-ს გადააჭარბა.

აღსანიშნავია, რომ XXI საუკუნეში გამოჩნდა ადამიანი, რომელსაც აზრად მოუვიდა ამ უკვდავი პოემის ხელნაწერის შექმნა. როგორც ამ ცოტა ხნის წინ გაზეთი „რეზონანსი“ წერდა, 2012 წელს ეს შრომატევადი და საპასუხისმგებლო საქმე იტვირთა ჩვენმა თანამემამულემ სიმონ (სულიკო) გიორგაძემ. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს ხელნაწერი ჩვენს ეკლესიებსა და ქორწინების სახლებს გადაეცემათ, რომლებიც მათ ახალდაქორწინებულთ მზითვად გაატანენ.

9 თვის განმავლობაში 1 669 სტრიქონი და 277 გვერდი გადაწერა, რისთვისაც 37 ე. წ. ტუშის კალამი გამოიყენა, ხოლო 30-40 გვერდის ხელახლა გადაწერა მოუწია.

ბატონი სიმონი რამდენიმე ეგზემპლარის დაბეჭდვას საკუთარი სახსრებით აპირებს, შემდეგ კი იმედოვნებს, რომ გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც მის დასტამბვაში დაეხმარებიან, რადგან „ეს ნაწარმოები არის სასწაული, რომელიც ქართველმა შექმნა და რომელიც, განურჩევლად ერისა და სარწმუნოებისა, ყველას ეკუთვნის“.

«განათლება არ შეიძლება მუდმივი ექსპერიმენტის საგანი იყოს»

განათლებისა და მეცნიერების ექსპერტი საბა მეტრეველი საუბრობს დარგის პრიორიტეტებზე.

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ახალი მინისტრი ჰყავს. ახალმა ხელისუფლებამ განათლება პრიორიტეტად გამოაცხადა. რა გესახებათ სასწრაფოდ გადასაჭრელ პრობლემებად მიმდინარე ეტაპზე?

— პირველ რიგში, გასარკვევია სტრუქტურული ხასიათის ერთი საკითხი — **რას აპირებს ეს სამინისტრო? მხოლოდ განათლებისა იქნება თუ მეცნიერებისაც?** თავის დროზე, როცა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები ჩამოართვეს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას და მიუერთეს განათლების სამინისტროს, მხოლოდ მაშინ გაცხადდა, რომ გვექნებოდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაგრამ არც ერთ ეტაპზე მას ეს სახელი არ გაუმართლებია, პირიქით, მიზანმიმართულად დაანგრია და დაშალა მეცნიერება. 2006 წელს საქართველოს მთავრობამ უკლებლივ ყველა სამეცნიერო დაწესებულება და ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა გამოიყვანა აკადემიის შემადგენლობიდან და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დაუქვემდებარა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. იმავე წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააუქმეს მრავალი სამეცნიერო უჯრედი, მათ შორის, ფიზიკისა და ქიმიის ფაკულტეტების სამეცნიერო ლაბორატორიები და 1600-მდე მეცნიერ-თანამშრომელი ქუჩაში გაყარეს. ამ „რეფორმას“ ემსხვერპლა ილიას, აკაკის, ივანე ჯავახიშვილის, გალაკტიონის, კონსტანტინე გამსახურდიას... კაბინეტები; სასტიკად დაარბიეს მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე და ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ საჭირო არაერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, კერძოდ:

• ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი გამოაძევეს მისთვის სპეციალურად აგებული შენობიდან;

• ევგენი ხარაძის აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ქალაქის ლაბორატორიას წაართვეს, ასევე, მისთვის აშენებული შენობა, ხოლო ობსერვატორიის უნიკალური კომპლექსი ყანობილის მთაზე, ფაქტობრივად, ტურისტულ ბაზად აქციეს;

• გააუქმეს დ. უზნაძის ფსიქოლოგიისა და ს. წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტები...

და კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი უგუნურება აკეთეს, ვისაც როგორ უნდოდა და როგორც გაუხარდებოდა!

დასადგენია, ეს სამინისტრო ისევ რჩება მეცნიერების სამინისტროდ? თუ ასეა, მაშინ წინა ხელისუფლების დანგრეულის სასწრაფო აღდგენა უნდა დაიწყოს, პრიორიტეტები საბიუჯეტო მხრივაც გადასახედია, რადგან მეცნიერების ასეთი დაფინანსება, რომელიც ახლა აქვთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, ფაქტობრივად, მათი საბოლოო დასამარება იქნება. თუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები მეცნიერებათა აკადემიას ისევ დაუბრუნდება, რაც სავსებით გონივრული გადაწყვეტილება იქნება, მაშინ ბევრი რამ სხვაგვარ გადააზრებას მოითხოვს.

— მაგრამ პრობლემები არაა მხოლოდ მეცნიერებაში...

— რა თქმა უნდა. **გასაოცარი უკანონობა და თვითნებობა იყო სასკოლო პოლიტიკის საკითხებშიც**. ყოფილ ხელისუფლებას თუნდაც მხოლოდ 55-ე საჯარო სკოლაში ჩადენილი უკანონობა ეყოფა განსაკითხად. წმინდად პოლიტიკური ნიშნით დირექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს პარმენ მარგველაშვილი, საქმე გადასცეს სამინისტროს გენერალურ-ფინანსურ ინსპექციას, მაგრამ იოტისოდენა დარღვევაც რომ ვერ ნახეს, ხმა გაკმინდეს, პ. მარგველაშვილი კი, ნამდვილი შემოქმედი ხელმძღვანელი, ჩამოაშორეს სასკოლო რეფორმის განხორციელების პროცესს. **ქართულ სკოლას სჭირდება არა იდეოლოგიას მორგებული დირექტორები, არამედ სასწავლო-საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი უნარების ხელშემწყობი მენეჯერები.** თუ ჩვენ ვფიქრობთ ჩვენს მომავალზე, ის ყალიბდება ქართულ სკოლაში და ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა მართებს ყველას ამ სფეროს მიმართ. სიტყვა **„განათლების“ ძირი არის „ნათელი“. მე მივიღე განათლება, ანუ ჩემში შემოვიდა ნათელი; „მე მოვინათლე“, აქაც ნათელია ძირი, ნათელი სოფლისა კი არის ქრისტე, ქრისტე სიკეთე და სიყვარულია. მაშასადამე, განათლების მიღება, უპირატესად, სიკეთისა და სიყვარულის დამკვიდრებას ნიშნავს ადამიანში, მისი პიროვნული სამყაროს გაკეთილშობილებას და, ამავე დროს, ცოდნის სისავსეს.** ჩვენ ამ ორი კომპონენტიდან ჯერჯერობით ვერც ერთს ვერ ვაკმაყოფილებთ.

— ამბობენ, 12-წლიანი სწავლება შეიცვლებაო. რას მოიტანს ეს რეალურად?

— 10-წლიანი იქნება სწავლება თუ 12-იანი, ეს არაა არსებითი. განათლების მეთოდიკა მოითხოვს, ვიცოდეთ, რას ვასწავლით, რატომ ვასწავლით და როგორ ვასწავლით! **ჩვენი შემდგომი ცხოვრების გედი არის მასწავლებლის ხელში, რადგან ის აყალიბებს მომავალს. თავად მასწავლებელი ვინ უნდა აღზარდოს ან სად უნდა ჩამოყალიბდეს, როცა ქვეყანაში პედაგოგიური პროფილის უმაღლესი სასწავლებელი აღარ არის ან, ფაქტობრივად, დაუფინანსებელმა მეცნიერებამ როგორ უნდა იტვირთოს შესაბამისი მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურის შექმნა?! — აი, ესაა უმთავარესი პრობლემა**. ასე რომ, განათლების საკითხი კომპლექსურად განიხილება და უამრავ წინააღმდეგობას შეიცავს. მთავარია, გვესმოდეს, ჩვენ რა გვინდა და რამდენად გვაქვს პერსპექტივაში დანახული და გააზრებული ეს პროცესი.

დიდი ხანია, სკოლებში მოისპო ციტატებისა და ლექსის ზეპირად ცოდნის ტრადიცია და კულტურაც. სწორედ ამიტომაა ასე მწირი და ღარიბი ჩვენი ლექსიკური მარაგი. **სკოლაში სწავლის 12 წლის განმავლობაში ახალგაზრდამ ერთი ლექსიც კი არ იცის ზეპირად!** აი, რა მოაქვს არასწორად წარმართულ სასწავლო პოლიტიკას. **არ შეიძლება სკოლა აქცენტირებული და ორიენტირებული იყოს მხოლოდ მისაღები გამოცდების პროგრამებზე**, რადგანაც ეროვნულ გამოცდებს სხვა ფუნქცია და მიზანი აქვს. **სირცხვილია, ბარათაშვილის, ვაჟას, გალაკტიონის... ერთი ლექსი მაინც არ იცოდეს ქართველმა! განათლება არ შეიძლება მუდმივი ექსპერიმენტის საგანი და ობიექტი იყოს.** უნდა დამთავრდეს დაუსრულებელი პროგრამომანიები და სახელმძღვანელომანიები.

— რა არის ყველაზე დიდი საშიშროება დღევანდელ ქართულ სკოლაში?

— ყველაზე საშიში მოვლენა თანამედროვე ქართულ სკოლაში არის ინგლისურენოვანი ისტერია. **ფსიქოლოგები ამბობენ, რომ კატეგორიულად არ შეიძლება ბავშვმა რომელიმე უცხო ენის შესწავლა დაიწყოს მშობლიურთან ერთად.** ეს არის თავსმოხვეული ძალადობა, უცხოენოვანი ექსპანსია. **პატარამ წერა და აზროვნება მშობლიურ ენაზე უნდა დაიწყოს, ამ გზაზე არ შეიძლება რამე შემაფერხებელი გაჩნდეს. ჩვენ კი მათ ინგლისურს პირში ვჩრით. რა ახირებაა, არ მესმის! განა დაგვავიწყდა რუსულ ენაზე მოაზროვნე ქართველი ბავშვები, მშობლების კაპრიზებს რომ ეწირებოდნენ კომუნისტური რეჟიმის პირობებში?!** როგორ შეიძლება ვინმე წინააღმდეგი იყოს ენების შესწავლისა, მაგრამ ამას თავისი დრო აქვს და, ჩემი თუ არ გჯერათ, დარგის სპეციალისტებს მაინც დაუჯერეთ! ან რას გვაძლევს მასწავლებელთა ტესტირებისას არაერთი სრულიად გაუგებარი მიდგომა. **რით ფასდება მასწავლებელი? მასწავლებლის კვალიფიკაცია კომპიუტერითა და ინგლისურით კი არ განისაზღვრება, არამედ საგნის ღრმა ცოდნითა და სასწავლო პროცესზე თანამედროვე მეთოდოლოგიების შემოქმედებითად მორგებით.** შესაძლოა, მაღალი რანგის პროფესიონალი იყო რომელიმე დისციპლინაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ შეგიძლია კარგად ასწავლო. ქვეყანაში, სადაც ამოძირკვეს სპეციალური პედაგოგიური განათლება, რაზე უნდა ილაპარაკოს ადამიანმა. დავანგრიეთ განათლებაცა და მეცნიერებაც და ჩვენი ასეთი კრიტიკა ზოგს ტყუილი ჰგონია და ძველი ხელისუფლების დისკრედიტაცია. რაც ამ „ვარდების რევოლუციის“ პირმშოებმა ამ კუთხით ანგრიეს, ანალოგი არ მოეძებნება ჩვენს ისტორიაში. **რას ერჩოდნენ სკოლებში რელიგიის სწავლებას, ვის რაში უშლიდა ხელს რელიგიური განათლება!**

— ახლა საუბარია უმაღლეს სასწავლებლებში სერიოზულ ცვლილებებზეც. როგორი უნდა იყოს ამ მხრივ წარმართული პოლიტიკა?

— დიდი პრობლემაა უმაღლესი განათლებაც და ეს არ უკავშირდება მხოლოდ მის მისაწვდომობას. რექტორთა უმრავლესობა პოლიტიკური ნიშნით იყო დანიშნული და შერჩეული. ეს ყველამ კარგად იცის. ჩვენ ახლა ერთობ საინტერესო პროცესის მოწმენი ვართ. საუბარი ეხება ჩვენი უპირველესი განათლებისა და მეცნიერების კერის — ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად გია მაისაშვილის შესაძლო კანდიდატურას. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ გია მაისაშვილი პირველი გამოჩენისთანავე სიახლე იყო ქართველი საზოგადოებისთვის. მისადმი ინტერესს განსაზღვრავდა საგნისა და მოვლენისადმი არატრადიციული, არაკონსერვატორული მიდგომა, რომელსაც თავად გია ამკვიდრებდა. აზროვნების დემოკრატიზმი ყველაზე იშვიათი ფუფუნებაა — ის ამ განძს ფლობს! ასე რომ, გია მაისაშვილი არა მხოლოდ სასურველი, არამედ საოცნებო კანდიდატურაა ჩვენი უნივერსიტეტისთვის. რაც შეეხება სამარცხვინო კომენტარს, თითქოს უნივერსიტეტის რექტორის გადაყენება მხოლოდ აკადემიურ საბჭოს შეუძლია, ისიც მაშინ, თუ კანონდარღვევა ექნაო, თვალში ნაცრის შეყრაა და სხვა არაფერი. თავად ახლანდელი რექტორი როგორ დაინიშნა? უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ თხოვნით მიმართა ჯანმრთელობის მინისტრს, გაძღოლოდა საუნივერსიტეტო განათლებას. ლოგიკა როგორ მოგწონთ?! ამაზე მეტი აბსურდი რა უნდა იყოს! რატომ უნდა გასჩენოდა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს სურვილი, ეთხოვა ჯანდაცვის მინისტრისთვის, მოდი, გვიშველე, სასწავლო პროცესს შენს მეტი ვერავინ გაართმევს თავსო. **როდის ეკითხებოდა სააკაშვილის თავნება ხელისუფლება აკადემიურ საბჭოებს რექტორის დანიშვნას?!** სულ ახლახან რაც მოხდა თეატრალურ უნივერსიტეტსა და სამხატვრო აკადემიაში, რის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ?!

თუ თავმოყვარეობა აქვს შერჩენილი უნივერსიტეტის ახლანდელ რექტორს, აურზაურის გარეშე უნდა დაწეროს განცხადება და „მისცეს ნიჭსა გზა ფართო“!!!

ესაუბრა ლილი მიროტაძე

შამილი — თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების მოკავშირე

XIX საუკუნის პირველ ნახევარში არსებული რთული საერთაშორისო მდგომარეობა ძირითადად დაკავშირებული იყო კავკასიის მთიელთა 25-წლიან ბრძოლასთან რუსეთის წინააღმდეგ. შამილის ხელმძღვანელობით წარმოებული ეს ბრძოლა იყო რეაქციული ომი, რომლის მიზანიც იყო კავკასიის არამუსლიმან ხალხთა და ეროვნებათა მიმართ ძალადობრივი დამოკიდებულება და მათი სრული ეკონომიკური, ნაციონალური და სულიერი განადგურება.
ამ ომის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ მას მუდმივად ჰქონდა თურქეთის სასულთნოს მხარდაჭერა, რომლის დამპყრობლურ მიზანსაც წარმოადგენდა პანისლამური იდეოლოგიის განხორციელება. სწორედ ეს განასხვავებდა ამ ომს სხვა რუსეთ-თურქეთის ომებისგან.

დაღესტნის, ჩეჩნეთისა და ჩერქეზეთის გამუსლიმანებული მთელი ტომები მე-18 საუკუნის მიწურულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში ფეოდალიზმის პროცესში ცხოვრობდნენ.

ისლამი, როგორც სულიერი იარაღი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, თურქეთის მმართველი წრეების მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ უფრო იქნა გამოყენებული. შამილი (დაღესტნისა და ჩეჩნეთის გავლენიანი ფენების მიერ წამოყენებულ იქნა იმამად — სულიერ მეთაურად, რომელსაც მხარს უჭერდა თურქეთი) აღმოჩნდა შედარებით ნათელი პიროვნება მიურიდიზმის სათავეში მისი წინამორბედების — ჰაზი-მუჰამედისა (1829-1832) და ჰამზათ-ბეგის (1832-1834) სერიოზული წარუმატებლობის შემდეგ.

ისტორიამ შემოგვინახა დოკუმენტები, რომლებიც ნათლად ასახავს ასევე ინგლისელი კოლონიზატორების ზრახვებს კავკასიაში. ინგლისის მმართველი წრეები დაინტერესებულნი იყვნენ რა წინა აზიის გავლით ინდოეთში გასასვლელი გზის უზრუნველყოფით, ცდილობდნენ, თავიანთი ინტერესებისთვის გამოეყენებინათ თურქეთი, აქეზებდნენ რა მას რუსეთზე. **1809 წლის ინგლის-თურქეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ თურქეთი რუსეთისკენ მიმართულ იარაღად და ანტირუსული ინტერესების არენად იქცა.** განსაკუთრებულ აქტიურობას ამ მხრივ ინგლისელი აგენტები რუსეთ-თურქეთის 1818-1824 წლების ომის შემდეგ იწყებენ, როცა თურქეთი მთლიანად იქნა ჩამოშორებული ჩრდილო-დასავლეთ კავკასიას და შავი ზღვის მთელი აღმოსავლეთი სანაპირო რუსეთის განკარგულებაში გადავიდა.

შამილის გამოჩენამ მიურიდთა ბელადის როლში განაპირობა ინგლის-თურქეთის აგრესიული ზრახვების განვითარება უფრო მეტი მონდომებით, უფრო მეტად გამოიკვეთა თურქეთის სულთნისა და ინგლისელი კოლონიზატორების შეთანხმებული მოქმედება კავკასიაში. მათი ძალისხმევით, კავკასიის მთის ხალხები, მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, შამილის სისხლიანი დიქტატურის ქვეშ გამოიყენებოდნენ მხოლოდ ცოცხალ ძალად თურქეთისა და ინგლისის მმართველი წრეების დამპყრობლური მიზნების განსახორციელებლად.

რუსეთთან მრავალწლიანმა კავკასიის ომმა არამარტო ჩრდილოკავკასიელი ხალხები გამოფიტა, არამედ დაღალა რუსეთიც, რომელიც ხშირად იძულებული იყო, კავკასიაში თავისი ჯარები გაეზარდა როგორც შამილის ბანდებთან საბრძოლველად, ასევე ძლიერი გარნიზორების შესანახად. ამ ომში განსაკუთრებით დაზარალდა საქართველო, რომელმაც თავისი ისტორიული ბედი რუსეთს დაუკავშირა.

საქართველოს რუსეთთან შეერთება, რუსულ-ქართული ურთიერთობების დაწყება გარდაუვალი იყო, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ერის ინტერესებიდან გამომდინარე, რომელიც დასუსტებული იყო საუკუნოვანი ბრძოლით თურქეთთან და ირანთან და მათ მიერ გამუსლიმანებურ ტომებთან — ჩეჩნებთან და დაღესტნელებთან. იცლებოდა რა სისხლისგან ამ, მისთვის უთანასწორო ბრძოლაში, საქართველომ ბოლოსდაბოლოს იპოვა საიმედო დასაყრდენი და ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად დაუჭირა მხა-

რი რუსულ იარაღს შამილის ბანდების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ზემოთ ნახსენებ რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომში დაღესტანსა და ჩეჩნეთში განსაკუთრებით გააქტიურდა მიურიდთა მოძრაობა. სისტემატიურად თავს ესხმოდნენ რა რუსულ გარნიზორებს, ამავე დროს მიურიდთა ბანდები ძარცვავდნენ კახეთის სოფლებს. ეს თავდასხმები და ძარცვა გადაიზარდა ხანგრძლივ ომში, დაიწყო რა 1834 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც მიურიდიზმს სათავეში შამილი ჩაუდგა.

შამილის რაზმების მოხელთება და დამორჩილება არ იყო ადვილი. რუსული არმიის მეთაურთა გეგმები ამ მხრივ უშედეგო იყო. 1845 წელს კონცენტრირებული დარტყმების ტაქტიკა შეცვლილ იქნა ჩეჩნეთსა და დაღესტანში თანმიმდევრული შეღწევით, ოღონდ ამის პასუხად შამილმა განახორციელა ფართო შეტევა რამდენიმე ადგილიდან, განსაკუთრებით დაღესტნისა და ყაბარდოს მხრიდან. ყაბარდოზე დარტყმის მიზანი იყო საქართველოს სამხედრო გზის სათავე ნაწილის დაკავება, ამ მნიშვნელოვანი არტერიის გადაჭრა, რომელიც მაშინ იმიერკავკასიას რუსეთთან აკავშირებდა.

მაგრამ შამილი დამარცხდა. ის იძულებული შეიქნა, დაღესტანში დაბინავებულიყო. დროებით სიმშვიდემ დაისადგურა. ამ დროს რუსული ჯარები ახალი გეგმის მიხედვით ნაბიჯ-ნაბიჯ ამაგრებდნენ დაკავებულ პოზიციებს, არ შედიოდნენ რა ღრმად ხეობებსა და მთებში.

ომი შამილის წინააღმდეგ გაიწელა. თავისი განკარგულების ქვეშ ეგულებოდა რა დაღესტნისა და ჩეჩნეთის მნიშვნელოვანი ნაწილი, შამილი შეეცადა, შეექმნა რაღაც სახელმწიფოსმაგვარი სტუქტურა დესპოტურ მონარქიაზე დაყრდნობით. მან საკუთარ ხელში აიღო დაღესტნისა და ჩეჩნეთის მართვა და იბრძოდა კავკასიის მთიანი ნაწილის სხვა ხალხთა თავის ძალაუფლებაში მოსაქცევად.

ჭკვიანურად გამოიყენა რა მო-

შამილის ტყვედ ჩავარდნა, 1859 წელი

ნოთეისტური ისლამი კავკასიის მთიელ მუსლიმანურ ტომთა გაერთიანებლად, შამილი დაღესტნისა და ჩეჩნეთის დაპყრობის შემდეგ ვარაუდობდა, რომ თანდათან ჩერქეზებსაც დაიმორჩილებდა. მისი მიზანი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე გასვლა.

მსგავსი დესპოტურ-მონარქიული სახელმწიფოს შექმნა კავკასიის მუსლიმან ხალხთა გაერთიანების გზით კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე თურქეთის პირდაპირ ინტერესს წარმოადგენდა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსეთის ჩამოცილებას კავკასიისგან და ამიერკავკასიის შეძლებისდაგვარად ანექსირებას, სწორედ ამიტომ ეხმარებოდა თურქეთი შამილს და სამხედრო საქმის სპეციალისტებს უგზავნიდა. თავიანთი გათვლები ჰქონდათ ინგლისელებს, უბიძგებდნენ რა დამპყრობლებს ბუფერული სახელმწიფოს შექმნისკენ ანაპიდან ჩერქეზეთის გავლით დაღესტნამდე.

რადგან არ არსებობდა მთიელ ხალხთა გასაერთიანებლად ეკონომიკური ბაზა, ყველა ღონისძიება ამ მხრივ დაკავშირებული იყო გაუგონარ ძალადობრივ ზომებთან, რომელთაც შამილი ახორციელებდა თავისი ფანატიკოსი მიურიდების ხელით. ასე თუ ისე ამით აიხსნება შამილის წარუმატებლობა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში.

1848 წელს შამილმა ასე თუ ისე მოახერხა ჩერქეზეთის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევა. მის მიერ იქ ნაიბად გაგზავნილმა მუჰამედ-ამინმა შეძლო ცალკეულ ტომებს შორის კავშირის დამყარება და დაღესტნისა და ჩეჩნეთის მაგალითზე ახალი მმართველობის დაწესება. 1850 წელს მუჰამედ-ამინი პატაკობდა თურქეთის სულთანს, რომ მან ჩერქეზ ტომებს სულთნის ერთგულების ფიცი დაადებინა.

შამილი არ მალავდა თავის კავშირს თურქეთთან. 1853 წლის აგვისტოში ჩავიდა რა ჩეჩნეთში თავისი ბანდითა და 4 ქვემეხით, შამილმა ხმა დაარხია, რომ რუსეთთან სალაშქროდ მიემართებოდა და თურქეთის სულთნის ბრძანებით თავს დაესხმებოდა კახეთში ლეკურ ხაზს. შამილის პარალელურად ჩერქეზეთში მოქმედება დაიწყო მუჰამედ-ამინმა. მან სულთნისაგან მიიღო საპატიო დიპლომი და ბრძანება რუსეთის წინააღმდეგ შამილთან შეთანხმებული მოქმედებისა.

იმდროინდელი დოკუმენტების მიხედვით, მუჰამედ-ამინი და შამილი ყირიმის ომის დაწყებამდე შავი ზღვით თურქებისა და ინგლისელების მიერ მარაგდებოდ-

ნენ იარაღით, გემებითა და საერთოდ სამხედრო მასალებით. არ შესწევდა რა ძალა თურქეთს რუსეთთან დამოუკიდებლად ომის საწარმოებლად, მას მხარს უჭერდნენ ევროპის ქვეყნები — ინგლისი და საფრანგეთი, ასევე თურქეთის წარმატებებში დიდი იყო შამილის წვლილიც. ტყუილად არ ჰპირდებოდა თურქეთი შამილს იმიერკავკასიის მეფის ტიტულს. **მან პორტასაგან ოფიციალურად მიიღო ჩერქეზეთისა და საქართველოს არმიის გენერალისიმუსის წოდება. რუსული წყაროებითაც დასტურდება, რომ შამილმა თურქეთის სულთნისაგან მიიღო ფირმანი გურჯისტანის ვალის, ანუ საქართველოში სულთნისნაცვლის წოდების მინიჭების თაობაზე.**

რუსეთის არმიის ბრწყინვალე გამარჯვება ყირიმის ომში კავკასიის ფრონტზე გარკვეულწილად აიხსნება ქართველი ხალხის მიერ რუსული იარაღის ერთსულოვანი მხარდაჭერით. საქართველო ამ ომში გადაიქცა ისეთ სიმაგრედ, რომელთან შეჯახებისას თურქეთის ჯარი და შამილის ბანდფორმირებები სულ იმსხვრეოდა. ყირიმის ომის დასრულების შემდეგ ინგლისური დაზვერვა გაძლიერებულ მუშაობას განაგრძობდა მთიელ ხალხთა შორის და კიდევ უფრო მეტად წამლავდა მათ რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ დაღესტანში, ჩეჩნეთსა და ჩერქეზეთში იზრდებოდა მშრომელ ხალხთა უკმაყოფილება ტირანიისა და შამილის თავნებობის წინააღმდეგ **„ფარული სახალხო ზიზღი შამილის მიმართ, — წერდა გრიგოლ ორბელიანი 1857 წლის 23 ოქტომბერს კავკასიის მეფისნაცვალს, — ზღვარს გადავიდა; წუწუნი დაუმთავრებელი ომის გამო, რომელმაც მთიელები სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა“**. ამ ყველაფერთან ერთად ხალხს მოთმინებას აკარგვინებდა შამილის დანიშნული მმართველების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. **თვითონ შამილიც თავისი საბოლოო წარუმატებლობის მიზეზად ნაიბების უსაქციელობას, მტაცებლურ ქმედებებს მიიჩნევდა.**

აუცილებლობა მოითხოვდა, შამილის ბანდის განადგურებას მიურიდიზმის ნარჩენებთან ერთად, რათა ჩეჩნეთის, ჩერქეზეთისა და დაღესტნის მოსახლეობა ნაყოფიერ შრომით საქმიანობაში ჩაბმულიყო. ამისათვის საჭირო იყო, რუსულ არმიას გადამწყვეტი და კომბინირებული მოქმედებები განეხორციელებინა, რაც 1857 წლის შემოდგომაზე მართლაც დაიწყო. ჩეჩნეთსა და დაღესტანზე განხორციელებული თავდასხმების შედეგად შამილის ბანდები პოზიციებს ტოვებდნენ. 1859 წლის აგვისტოში ათიათასიანმა რუსულმა არმიამ ალყაში მოაქცია შამილის ბოლო, კარგად გამაგრებული თავშესაფარი სოფელ გუნიბში და დაიკავა იგი. შამილი ტყვედ ჩავარდა. **შამილის დატყვევება ამ ხანგრძლივი ომის დამთავრებას ნიშნავდა აღმოსავლეთ კავკასიაში და წინასწარმეტყველებდა ომის დასასრულს კავკასიის დასავლეთ ნაწილშიც. ასეც მოხდა.**

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩერქეზული თემების უფროსები დათანხმდნენ, რუსეთს დამორჩილებოდნენ, დადეს რუსეთის ხელისუფლების ერთგულების ფიცი.

მაგრამ ყუბანსიქითა ჩერქეზებმა ფიცი გატეხეს და განაახლეს თავდასხმები ყუბანის რუსულ დასახლებებზე. შამილის ნაიბმა მუჰამედ-ამინმა, დაკარგა რა წარმატების იმედი, მიატოვა ყველაფერი და თურქეთში გაიქცა.

რუსულმა არმიამ ყუბანსიქითა ჩერქეზეთს ყოველი მხრიდან შეუტია. ეს ბრძოლა 1864 წლამდე გაგრძელდა და მიურიდიზმის მომხრეთა სრული მარცხით დამთავრდა კავკასიის დასავლეთ ნაწილშიც.

ასე დასრულდა კავკასიის მთიელთა ხანგრძლივი და მომაბეზრებელი ომი რუსეთის წინააღმდეგ. **როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, თურქეთის მხრიდან ის კავკასიის ხალხთა დაპყრობასა და შუასაუკუნეობრივი სულთანური დესპოტიზმითა და ტირანული მეთოდებით კავკასიის არამუსლიმანი ხალხების განადგურებას ისახავდა მიზნად. ომი** რუსეთის მხრიდანაც დესპოტური მეთოდებით მიმდინარეობდა, მაგრამ მისი მიზანი არ იყო კავკასიის მუსლიმან ხალხთა განადგურება, არამედ — ტირანული წესების ლიკვიდაცია, შამილის მიერ ძალადობრივად თავსმოხვეული მთიელი ხალხისთვის.

გავიდა დრო. დღეს ჩვენ ხელთ გვაქვს იმ პერიოდის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც შეეხება მთელ რიგ საკითხებს, როგორიცაა: 1.თურქეთისა და ინგლისის როლი მთიელთა შორის მიურიდიზმის ორგანიზებაში და „წმინდა ომის პროპაგანდაში“ (ჰაზავათი); 2. მიურიდიზმის აგრესიული და რეაქციული ხასიათი, იმამატის დიქტატურა და მისი რეჟიმი; 3. შამილი და მისი წინამორბედები; 4. იმამთა აგრესიული პოლიტიკა საქართველოს წინააღმდეგ; 5. ნგრევა, ძარცვა და საქართველოს მშვიდობიანი მოსახლეობის ტყვედ წასხმა; 6. ქართველი ხალხის ბრძოლა მიურიდიზმისა და შამილის წინააღმდეგ.

ეს დოკუმენტები, რომელთა ნაწილს პერიოდულად გაგაცნობთ, წარმოადგენს **ოფიციალურ პატაკებს, შეტყობინებებს, ბრძანებებს, მიმოწერებს რუსულ სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლებებს შორის; რუსი კონსულების შეტყობინებებს, რომლებიც აკრედიტებულნი იყვნენ კონსტანტინეპოლსა და ტრაპეზუნდში; ტყვეთა ჩვენებებს; ინგლის-თურქეთის აგენტთა მოწოდებებს კავკასიის მთიელებისადმი, შამილისა და მისი ნაიბების მიმოწერას თურქეთის სულთანთან და უმაღლეს სამხედრო, სასულიერო და საერო პირებთან; ინგლისის საიდუმლო აგენტთა მიმოწერას მთიელებთან. ამ დოკუმენტებს შორის არის ასევე შამილისა და მუჰამედ-ამინის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებების ანგარიშების ჟურნალები.**

დარეჯან ანდრიაძე

მამხილებელი დოკუმენტები

1835 წ. 30 ივნისი — კონსტანტინოპოლში რუსეთის ელჩ ბუგენევის მიწერილობა კავკასიის კორპუსის უფროს გ. ვ. როზენისადმი შავ ზღვაში ინგლისური ხომალდის დაზვერვაზე გაგზავნის თაობაზე, №435.

გასული წლის 21 სექტემბრის №120 ჩემი საიდუმლო მიწერილობით, პატივი მაქვს, გაცნობოთ, თქვენო უდიდებულესობავ, გასულ შემოდგომაზე შავ ზღვაში ინგლისური იახტის ცურვის თაობაზე კაპიტან ლაიონსის მეთაურობით და საეჭვო ურთიერთობებზე აფხაზეთის სანაპიროს მცხოვრებლებთან.

ამჟამად იგივე კაპიტანი ლაიონსი დაბრუნდა აქ სხვა, დიდი ორიალქნიანი იახტით, ამავე თვის 24 რიცხვში კვლავ გავიდა ზღვაში რამდენიმე ინგლისელი მოგზაურის თანხლებით, მათ შორის დიდი ბრიტანეთის აქაური საელჩოს მდივნის თანხლებით. გავაფრთხილეთ რა უკვე ბატონი ვიცე-ადმირალი ლაზარევი ბატონ ლაიონსის მოგზაურობასთან დაკავშირებით, ზედმეტად არ ჩავთვლი, თქვენივე უსაფრთხოებისთვის, გაცნობოთ, რომ ყველა ზემოთ ნახსენები მდგომარეობა, სავარაუდოდ, იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ინგლისელი მოგზაურები კვლავ შეიძლება გამოჩნდნენ აფხაზეთში.

* * *

1834 წ. 6 სექტემბერი — ა.ი. ჩერნიშევის მიწერილობა გ.ვ. როზენისადმი, ინგლისის სამხედრო ხომალდების მიერ კავკასიის ნაპირებზე შემოსვლასა და ინგლისელების ურთიერთობაზე მთიელებთან, №612.

მთავარი საზღვაო შტაბის უფროსმა ხელმწიფე იმპერატორს აცნობა შავი ზღვის ფლოტისა და პორტების მთავარი ხელმძღვანელობისა და მასთან ერთად გენერალ-ადიუტანტ, თავად მენშიკოვის მიერ მიწოდებული ინფორმაციების თაობაზე, რომელიც მათ უპატაკეს გელენჯიკის კომენდანტმა, პოლკოვნიკმა ჩაიკოვსკიმ და ხომალდების მეთაურებმა, რომლებიც პატრულირებდნენ აფხაზეთის სანაპიროებთან, რომ გასულ ივლისს ინგლისის სამხედრო იახტა „ტურკუაზი“ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან შემოვიდა და რომ აღნიშნული იახტის ოფიცრებს საეჭვო ურთიერთობა ჰქონდათ მთის მცხოვრებლებთან.

ხელმწიფე იმპერატორმა, ჩათვალა რა საჭიროდ უცხოური ხომალდების მსგავსი მოქმედებების აკრძალვა, მისმა უდიდებულესობამ ბრძანა: დაევალოს ჩვენს კრეისერებსა და იახტებს, რომლებიც აღნიშნულ სანაპიროებთან არიან, ასევე კომენდანტებსა და სხვა სამხედრო ხელმძღვანელებს, არ დაუშვან უცხო ხომალდების მიერ აღნიშნული სანაპიროს დათვალიერება და მთიელ ხალხებთან მათი ურთიერთობა.

მაქვს პატივი რა, გაუწყოთ ამ უდიდეს ნებაზე, თავს მოვალედ ვთვლი შეგატყობინოთ: გენერალ-ადიუტანტი თავადი მენშიკოვი უკვე მიწერილია ამ დავალების შესრულებაზე.

ამასთან, ზედმეტად არ მიმაჩნია, თქვენს უდიდებულესობას გამოვუგზავნო ის სიები და 5 შეტყობინება მთავარი საზღვაო შტაბიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში, თუკი მსგავსი შეტყობინებები არ მიგიღიათ გელენჯიკის კომენდანტისგან და იმ სანაპიროს სხვა ხელმძღვანელი პირებისაგან.

* * *

1834 წ. 16 აგვისტო — გ. ვ. როზენის მიმართვა სამხედრო მინისტრ ა. ი. ჩერნიშევისადმი ჰამზათ-ბეგის რუსეთის წინააღმდეგ მოქმედების თაობაზე, №769.

ბოლო ცნობების მიხედვით, ჰამზათ-ბეგი სურსათის მოუწოდებლობის გამო, შემოელია რა მარაგიც, მოუწოდებს მთიელებს, მალე დაასრულონ პურის აღება. მოლა ტაშ ხაჯი, რომელმაც ჩეჩნეთში რამდენიმეჯერ გამოიწვია მღელვარება, აშკარად ჰამზათ-ბეგის მხარე დაიჭირა და მოუწოდებს ჩეჩნებს ჩვენ წინააღმდეგ ამბოხებისკენ, ავრცელებს რა ყველაზე საზიზღარ ხმებს, რომლებიც ხალხზე მოქმედებს. მან დაარწმუნა ჩეჩნები, რომ თურქები გამოჩნდნენ ანაპის ახლოს, რამაც გადაგვაწყვეტინა ჯარები ყუბანისკენ წაგვეყვანა, რათა ევროპაში გველოდა ომი ფრანგებთან და, რამდენადაც ხაზს მეშველი ჯარის იმედი არ უნდა ჰქონდეს, ჰამზათ-ბეგი, კაზი-მულას მსგავსად, თავს დაესხმება ყიზლარს, მოზდოკს და სხვა ქალაქებსა და სადგურებს. მართალია, ჩეჩნები არ შეუერთდნენ აჯანყებულებს, მაგრამ უკმაყოფილება მათ შორისაც ძლიერდება. ზოგიერთმა მათგანმა, უფრო მეტად ერთგულებმა და მათთვის მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მსურველებმა, სუნჯენსკის ხაზის მეთაურს, პოდპოლკოვნიკ პულლოს სთხოვეს, გადაადგილებულიყვნენ გროზნოს სოფლების ახლოს, რომლებსაც თავს აფარებდნენ დევნილები და მოთარეშეები, და შეეშალათ მათთვის ხელი პურის აღებაში, შეეხსენებინათ ის უკიდურესობა, რომელშიც ისინი 1832 წლიდან იყვნენ და დაერწმუნებინათ, რომ ასე ქარაფშუტულად და დაუფიქრებლად არ დამდგარიყვნენ ჰამზათ-ბეგის მხარეს, რომელიც მათთან უკვე იწოდებოდა ხანად. მე ნება დავრთე პოდპოლკოვნიკ პულლოს, მოქცეულიყო ასე ხაზის მარცხენა ფლანგზე არსებული ჯარის ნაწილების საშუალებით, ამასთან, უნდა მორიდებოდნენ განსაკუთრებით სახიფათო ადგილებს. ხოლო 30 აგვისტოსთვის რაზმი უნდა დაბრუნებულიყო უკან, რამეთუ შესაძლოა, ამ დროისთვის ჯარები ჩრდილოეთ დაღესტანში ჰამზათის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებისთვის გამხდარიყო საჭირო.

* * *

1834 წ. 8 აგვისტო — ჩერქეზი კირაკოსის, ჰასან-მამირის, მეორე ჩვენება ინგლისელი აგენტების მთიელებთან კავშირის თაობაზე.

ის, რაც 3 რიცხვში მე განვაცხადე იმ ინგლისელებთან დაკავშირე-

ბით, რომლებიც ერთხელ უკვე იყვნენ სუჯუკში (ციმეზში) დაახლოებით ივლისის 26-ში, ვადასტურებ და ახლა მცირე ცვლილებით, მაგრამ მეტი სიზუსტით დავამატებ შემდეგს:

ინგლისელებმა მემამულეებს გადასცეს რაღაც ქაღალდი (წერილი), რომელიც მათ მოლა ხაჯიოკმა წაუკითხათ, რის შედეგადაც ისინი გამხიარულდნენ, მაგრამ რა ეწერა იმ წერილში სხვა ჩერქეზებმა არ იციან. იმავე მოლამ ფურცელზე დაწერა პასუხი და გადასცა ორ ინგლისელს, რომლებიც ამის შემდგომ გაემგზავრნენ აულ ასტაგაიში. ისინი გააცილეს ციმეზელმა მებატონეებმა: ბასტოკ-ფშიმაფმა, ჩირიოკ-საგამიშმა, შირიონოკმა, შაბეადლემ და მოლა ხაჯიუკმა. ასტაგაის გზაზე არსად არ შეუვლიათ. მხოლოდ ასტაგაისთან შეიკრიბნენ მაღალ მთაზე, რომელსაც ეწოდება ვგოამე, საიდანაც ჭოგრიტით ათვალიერებდნენ შემოგარენს და ბასტოკ-ფშიმაფის მითითებით — ანაპისა და ყუბანის მხარეს, რამეთუ იმ მთიდან ეს ადგილები მოჩანს. უკან დაბრუნებისას ინგლისელები გაჩერდნენ უბრალო ჩერქეზის სახლში მცირე ხნით დასასვენებლად.

ყოველივე ეს შევიტყვე სხვა ჩერქეზებისგან, მაგრამ დაწვრილებით ჩემი ნაცნობისაგან, რომელიც იყო სუჯუკში თუ ციმეზში ინგლისელთა იქ ჩასვლის დროს და მათთან ერთად გაემგზავრა ასტაგაის და ვოგამეს მთაზე.

ამ აგვისტოს დასაწყისში სხვა ჩერქეზები გელენჯიკში არ გამოჩენილან და ამიტომ ზემოთ ნათქვამის დასადასტურებლად სხვა ცნობები არ გამაჩნია.

* * *

1830 წ. 6 ივნისი — ჭარისა და ბელაქნის ოლქების მმართველისა და ჯარების სარდლის, გენერალ-მაიორ სერგეევის პატაკი გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვს ყვარლის მცხოვრებზე ლეკთა თავდასხმის შესახებ, №185.

ახალი ზაქათალა

ქართველ გრენადერთა პოლკის კაპიტანმა სკურატოვმა მაისის თვის 31 რიცხვში №87 პატაკით მაცნობა, ლეკი მტაცებლები, უცნობია რომელი თემიდან იყვნენ და რამდენნი, თავს დაესხნენ ღორების მწყემსს, მცხოვრებს ყვარელში, იმერელ გიგოლას. აიყვანეს ტყვედ და დაახლოებით ერთი ვერსის გავლის შემდეგ ხმლით ყელი გამოსჭრეს.

რის გამოც მე მივწერე კაპიტან სკურატოვს, რომ საქმე შეძლებისდაგვარად გამოიძიოს: ნამდვილად ლეკებმა ჩაიდინეს ეს თუ არა? და თუ ეს მათი ნახელავია, მაშინ სად გაიარეს მათ და ხომ არ იმალებიან ახლაც რომელიმე მოსახლესთან მოჯამაგირის ან მუშის სახელს ამოფარებულნი. რაც მე კაპიტან სკურატოვს მივწერე, იგივე ვაუწყე თელავის ოლქის უფროსს და მივწერე, რომ თავისი მაზრის ალაზნის მარცხენა სანაპიროს მკვიდრთ აუკრძალოს პირუტყვის ძოვება უიარაღოდ და არ დართოს ნება მათ, გაცილდნენ იმ საზღვრებს, სადაც ჩვენი გუშაგები დგანან.

მქონდა პატივი ამის თაობაზე თქვენი უდიდებულესობისათვის მეცნობებინა მე, გენერალ-მაიორ სერგეევს.

* * *

1832 წ. 25 მაისი — ანაპის ციხესიმაგრის კომენდანტის, ვიშესლავცევის, პატაკი ჯარების მეთაურს კავკასიის ხაზზე და შავზღვისპირეთში — გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს თურქთა მიერ მთიელების საბრძოლო მასალით მომარაგების თაობაზე, №1314.

ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთმა მომხრემ, საიდუმლოდ ჩამოვიდნენ რა ანაპაში, მოგვაწოდეს უტყუარი ცნობა, რომ თურქთა მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებიც ამ გაზაფხულზე სურჯუკ-კალეში თურქული ხომალდებით ჩამოვიდნენ და დარჩნენ, აქვთ პირდაპირ სანაპიროზე, მათი ბაზრის ახლოს, ორი დახლი საფანტით, მარილით, რკინითა და ლამაზი საქონლით სავაჭროდ, რასაც დიდი სიამოვნებით ეტანებიან მთიელები. მივიღეთ რა ზოგიერთი ჩვენი მომხრისაგან ინფორმაცია ამ დახლების მეპატრონეთა შესახებ, მათი ხელსაყრელ შემთხვევაში ანაპაში გაგზავნის თაობაზე, საჭიროდ ჩავთვალე გენერალ-ლეიტენანტ არკასისათვის დამევალებინა ერთ-ერთი საიმედო სამხედრო ხომალდის დაუყოვნებლივ გაგზავნა სუჯუკ-კალეში, რათა გაარკვიოს სიმართლე — მართლა არის თუ არა სანაპიროზე ზემოთ ნახსენები დახლები, მომარაგებული ზემო ნახსენები აკრძალული საქონლით...

რამდენადაც ეს საქმე მოითხოვს სიფრთხილესა და წინდახედულობას, რამეთუ არ შეიტყონ თურქებმა და მთიელებმა აღნიშნული ხომალდის მისიის შესახებ, ამიტომ მე ყოველივე ჩემი შეხედულებისამებრ გადავეცი ბატონ არკასს, თან გავაფრთხილე, რომ მცირე წარუმატებლობა საქმეში და მათი აფორიაქება დროზე ადრე სამართლიანად გააღიზიანებს მთიელებს და განაწყობს ჩვენ წინააღმდეგ; ამასთან, მოვითხოვე მისგან, დაწვრილებითი ცნობები მომაწოდოს.

როგორც კი მივიღებ საჭირო ცნობებს კაპიტან-ლეიტენანტ არკასისაგან, მექნება პატივი, თქვენს უდიდებულესობას ვუპატაკო.

გენერალ-მაიორი ვიშესლავცევი

* * *

1830 წ. 16 ივნისი — გენერალ-მაიორ სერგეევის პატაკი გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვს ყვარელში მცხოვრებთა ბიჭუნების გატაცების თაობაზე, №234.

ახალი ზაქათალა

ქართველ გრენადერთა პოლკის კაპიტანმა სკურატოვმა №98 პატაკით მაცნობა, რომ ამა თვის 6 რიცხვში ლეკთა მოთარეშე პარტიამ სოფ. ყვარელთან ახლოს მოკლა 15 წლის ადგილობრივი მცხოვრები შარმაზან მიქელაშვილი, ხოლო 10 წლის ბერო ავაზაშვილი და 12 წლის სამსონ კვენწაშვილი შეიპყრეს და გაიტაცეს. კაპიტანმა სკურატოვმა ყველა ღონე იხმარა მათ გამოსახსნელად, მდევარიც დაადევნა, მაგრამ ვერსად კვალს ვერ მიაგნეს.

ამ ყველაფერზე პატივი მაქვს გაცნობოთ.

გენერალ-მაიორი სერგეევი

* * *

1830 წ. 27 აპრილი — გენერალ-მაიორ ბეკოვიჩ-ჩერკასკის პატაკი ი. ფ. პასკევიჩ-ერევანსკის კახეთზე მთიელ ყაჩაღთა ბანდების მტაცებლური თავდასხმების აღკვეთის ღონისძიებათა თაობაზე, №250.

სოფ. ჭარი

მაქვს პატივი, გაცნობოთ, რომ კახეთის ქედის იქით მცხოვრები ლეკური ტომები ჩვენი ხელისუფლებისადმი გამყიდველობით შემოიფარგლებიან, მაშინ, როცა ჩვენგან კარგად არიან უზრუნველყოფილნი და ცხოვრობენ ქ. თბილისში. მაგრამ ყველა ძარცვა, თავდასხმა და მკვლელობა საქართველოში მათი ნახელავია. რუსეთის ტახტისადმი მოჩვენებითი ერთგულებით ლეკები თავისუფლად ატარებენ თავიანთ სოფლებზე ყველას, რითაც ქმნიან პირობებს თავისუფალი ყაჩაღობისთვის. თუ ჩვენი ჩინოვნიკები ჩვენდამი დამორჩილებულ ლეკებთან ჩავლენ, უეჭველია, გვეცოდინება ყაჩაღთა პარტიების მოძრაობის შესახებ, მაგრამ ამის თაობაზე ადგილობრივი ხელმძღვანელობის დროზე ადრე გაფრთხილება ხელსაყრელი არ იქნება, რადგან ისინი საქმის კურსში ჩააყენებენ მოთარეშეებს, გაფრთხილდნენ... ვფიქრობ, დასაწყისისთვის საკმარისი იქნება, დაინიშნოს ჩინოვნიკად მოურავოვი სიღნაღის ან კახეთის თავადებიდან ან მემამულეებიდან, რომელთაც იციან თათრული ენა და იცნობენ ლეკთა ტრადიციებს, ექსტრაორდინალური ხარჯებისთვის საკმარისი იქნება 50 ჩერვონეცი. ჩინოვნიკებიდან ვინც კარგად იცის ანწუხის მიდამოები, არის პროპორშიკი თავადი იოსებ ვაჩნაძე, ხოლო ჯურმუთის მხარის სამფლობელოები — სოსია ანდრონიკოვმა.

გენერალ-მაიორი, თავადი ბეკოვიჩ-ჩერკასკი

* * *

1830 წ. 25 აპრილი — მთიელთა ტყვეობიდან გათავისუფლებული ქართველების ჩვენება დაღესტანში არსებული მდგომარეობის შესახებ, №548.

(აჩვენეს), რომ ისინი ტყვედ აიყვანეს მდ. ალაზანთან და სოფელ ანდიში გაყიდეს ბელატ-ალიმ და მისმა ნათესავმა დებირმა. იმყოფებიან რა ისევ იმ სოფელში, მათ განზრახული აქვთ, მსგავსი მოტაცება კვლავაც განახორციელონ, რამეთუ მათ არ იციან ჩვენი ჯარების მიერ სოფელ ზაქათალის აღების თაობაზე, თუმცა ხმები ამის თაობაზე სმენიათ, მაგრამ იქამდე არ იჯერებდნენ ამ ამბავს, სანამ კახეთიდან არ მოვიდნენ ადამიანები და სოფ. ანდიის ხალხს არ აუწყეს, რომ ჯარები დაღესტნისკენ გაემართებოდნენ, რისიც მათ ასე ეშინოდათ. მთებით გადასვლა ძალიან ძნელია, მით უფრო, როცა მათზე თოვლი დევს. სოფელ ოსკოლში აღმოჩნდა მოლა (როგორც ჩანს, კაი-მოლა), რომელმაც შეაგროვა ადგილობრივი მცხოვრებნი და არწმუნებდა მათ ჯარის შეგროვების საჭიროებაში და შეაგროვა რა რამდენიმე კაცი, გაძარცვა ლეკთა სოფლები და გაეშურა კიდევ ხუნწის დასაკავებლად. ხუნწის პასუხანუმმა (რომელიც არის გარდაცვლილი ავარიის ხანის ცოლი) თავისი ჯარით მოლას წინააღმდეგობა გაუწია და დაამარცხა. როგორც ითქვა, მოლას მხარეს 200 კაცამდეა დაღუპული, ხოლო მოლა უგზო-უკვლოდ გაქრა. მეტი მათ არაფერი იციან.

* * *

1830 წ. 14 აპრილი — გენერალ ემანუელის წერილი პასკევიჩ-ერევანსკის მთიელთა შორის მყოფი ყოფილი თურქი ჩინოვნიკების მიერ რუსეთის წინააღმდეგ მტრული მოქმედებების არშეწყვეტის თაობაზე თურქეთთან სამშვიდობო შეთანხმების დადების შემდეგ, №398.

სტავროპოლი

თქვენო ბრწყინვალებავ, მოწყალეო ხელმწიფევ, გრაფო ივან თევდორეს ძევ! ცნობები, შეგროვებული თქვენი ბრწყინვალების მიერ, რომლის მიღების პატივი წილად მხვდა 18 მარტის №156 თქვენი განკარგულებით, აბსოლუტურად ემთხვევა ჩემ მიერ მიღებულ შეტყობინებებს, რომლებიც ადასტურებს რუსეთისადმი ოტომანთა პორტის ჩინოვნიკთა არაკეთილსაიმედო მოქმედებას.

პატივი მაქვს, ჩემს ძველ შეტყობინებებზე დამატებით გამოგიგზავნოთ თქვენს ბრწყინვალებას გენერალ-მაიორ ანტროპოვისგან ჩემთვის ახლახან გამოგზავნილი ქაღალდი ორიგინალში, თათრული დიალექტით დაწერილი. მასში ნათქვამია, რომ თურქი ჩინოვნიკები სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შემდეგაც არ წყვეტენ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებას. რამეთუ მათ თურქეთის ხელისუფლება უგზავნიდა საჩუქრებს და საბრძოლო მასალას მთიელი ხალხისთვის. ამგვარად, თურქ ჩინოვნიკებს სურთ, მეტი გავლენა მოიპოვონ მთიელებზე, დასაწყისში ცდილობენ, გააღვივონ მათში რელიგიური ფანატიზმი, რათა მომავალში ადვილად მართონ თავიანთი სურვილის შესაბამისად, რამეთუ მათ დაკარგული აქვთ მათზე ძველებური გავლენა.

ემანუელი

* * *

1829 წ. 24 ივნისი — გენერალ-მაიორ ჰესის პატაკი თბილისის სამხედრო გუბერნატორს, ჯარების სარდალს საქართველოში, გენერალ-ადიუტანტ სტრეკალოვს საბრძოლო მასალით დატვირთული თურქული ხომალდის დაკავების თაობაზე, №139.

ქ. ქუთაისი.

იაზონის ფლოტის (ასე იწოდებოდა სამხედრო-საექსპედიციო ფლოტი, რომელიც შავ ზღვაზე მოძრაობდა. — რედ.) 24-ე კორვეტის მეთაურმა კაპიტან-ლეიტენანტმა სუნდიომ 17 ივნისის №438 პატაკით შემატყობინა, რომ პატრულირებდა რა ჩერქეზეთის ნაპირებთან ახლოს, ამა წლის 12 რიცხვში დააკავა ბერძნულ-თურქული ერთაფრიანი ხომალდი, რომელიც აღნიშნულ ადგილას ტრაპეზუნდიდან მოდიოდა და დატვირთული იყო მარილით, რკინით, მრავალი უბრალო თურქული ბამბეულით

და საბრძოლო იარაღით, კერძოდ: 5 კასრი და 2 ქოთანი საფანტით, სამასი ექვსფუნტიანი კალიბრის იარაღი და ორი ფუთი ტყვია. ხომალდზე აღმოჩნდა 11 კაცი, მათ შორის 8 — ანატოლელი ბერძენი, 2 თურქი და ერთი სარატოვის გუბერნიის მკვიდრი თათარი, რომელმაც დაკავებისთანავე გადასცა სუნდიოს 26 კონვერტი თურქული წარწერით, რომელთა ადრესატები მთიელები იყვნენ, და ორი მოწმობა, გაცემული ხომალდზე სარდინიის კონსულის მიერ, მასში არ იყო ნახსენები საბრძოლო იარაღი. მათ გვითხრეს, რომ ტრაპიზუნდში გამოსამგზავრებლად ემზადებოდა საბრძოლო მასალით დატვირთული კიდევ ორი თურქული ხომალდი აფირ-რეიზის მეთაურობით, რომელთაც იარაღი მთიელი ხალხისთვის უნდა გადაეცათ. ამიტომ ბატონმა სუნდიომ დაკავებული ხომალდი 15 რიცხვში ჩაიყვანა რა სოხუმ-კალეში, ჩამოტვირთა, ხოლო დაკავებულები და იარაღი საბაჟოს კომენდანტს ჩააბარა, დანარჩენი მთელი ტვირთი დაიტოვა, ასევე თან წაიყვანა ერთი კაცი ბერძენი ტყვეებიდან, თარჯიმნად, რომელმაც იცოდა რუსული და თურქული ენები. მეორე დღეს კი თავისი ხომალდით უკან გაბრუნდა, რათა ხელი შეეშალა აფირ-რეიზის მსგავსი ვოიაჟებისთვის, რომელიც, სავარაუდოდ, ისარგებლებდა ზურგის ქარით და ტრაპიზუნდს შორის მყოფი ჩვენი კრეისერების თვალთახედვის არედან გაქრებოდა.

რაც შეეხება 26 კონვერტსა და სარდინიის კონსულის მოწმობას, თქვენო უდიდებულესობავ, უმორჩილესად გთხოვთ, როგორც კი გადაათარგმნინებთ, მაშინვე გამომიგზავნეთ ასლები ცნობისთვის და კაპიტან-ლეიტენანტ სუნდიოსთვის გასაგზავნად, მის უფროსობასთან წარსადგენად. ამასთან მაცნობეთ, როგორ მოვიქცე ხომალდზე ტყვედაყვანილ ბერძნებსა და თურქებთან დაკავშირებით და რის ხარჯზე შევინახო ისინი.

გენერალ-მაიორი ჰესი მეორე

* * *

1828 წ. 9 აპრილი — რაზმის მეთაურის, პოლკოვნიკ ბეკოვიჩ-ჩერკასკის პატაკი თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ-ადიუტანტ სიპიაგინს მთიელთა მიერ თურქული ფირმანის გამოცხადების თაობაზე მათი რუსეთის წინააღმდეგ ამხედრების მიზნით, №293.

ახლა მივიღე ცნობა ჭარელების საშუალებით, რომ ჩეჩნეთის ბეი-ბულატი, იმყოფებოდა რა ავარიაში, იწვევს მათ რუსების წინააღმდეგ ამბოხებაში მონაწილეობის მისაღებად, გამოუცხადა რა ოტომანთა იმპერიის ფირმანის შესახებ, რომელშიც წერია, რომ ისლამი თითოეული მორწმუნე მუჰამედელისაგან მსხვერპლს მოითხოვს რელიგიისთვის და მისი ტახტის ძლიერებისთვის. ამასთან ერთად, ბეი-ბულატი არიგებს ფულს, რომელიც თითქოს თურქეთმა გამოგზავნა. ავარიელებმა მიიღეს რა მისი წინადადება და მოთხოვნები, მათ გარშემო მყოფ ხალხებს აცნობებენ ამის თაობაზე, ამ გზით მივიდა ეს ინფორმაცია ჭარელებამდე. მართალია, ეს უკანასკნელები, როგორც ჩანს, არ აპირებენ, განუდგნენ ჩვენს ხელისუფლებას, მაგრამ ახალგაზრდა ჭარელებში გარკვეული მოძრაობა გამოიწვია, რომელიც ოტომანთა იმპერიის მოწოდებაზე თანხმობას მოასწავებს. ამის გამო მე ვაგზავნი სპეციალურად ხალხს როგორც ავარიელებთან, ასევე სხვა დაღესტნელებთან, რათა დავაზუსტო ზემოთ ხსენებული ინფორმაცია. ასევე ველოდები დასტურს არსდან-ხანისაგან.

პოლკოვნიკი, თავადი ბეკოვიჩ-ჩერკასკი

* * *

1833 წ. 19 აპრილი — გენერალ-მაიორ ვაკულსკის პატაკიდან ბარონ როზენისადმი ადგილობრივი თურქების მიერ პროვოკაციული ხმების გავრცელების თაობაზე თურქეთის სასარგებლოდ, №985

სოხუმ-კალეს კომენდანტის მოვალეობის შემსრულებელმა, კაპიტანმა ფონ კლუგენმა ამა წლის 1 აპრილიდან №3-ზე აფხაზეთის რაზმის მეთაურს, პოლკოვნიკ პაცხოვსკის აუწყა, რომ მის მიერ გასული მარტის 31 რიცხვში თავადმა ჰასან-ბეიმ კელასურში მისალმებისთანავე გააოცა მოულოდნელი შეკითხვით: მართალი იყო თუ არა ხმები, რომელიც მან ქუთაისიდან შეიტყო, რომ თითქოს ეგვიპტის ფაშამ თავისი ჯარებით დაიპყრო თურქეთის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, სადაც რამდენიმე დღეში პოლიტიკურად მოკვდა თურქეთის სულთანი.

კაპიტანი კლუგელი შეეცადა, დაერწმუნებინა თავადი, რომ ეს ყველაფერი სიცრუე იყო, რომ ეს ჭორი თურქთა მოგონილია, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ. ამით მათ უნდათ მღელვარების გამოწვევა ხალხში და სთხოვა მას, აეკრძალა მსგავსი სიცრუის გავრცელება, რომელიც ზღაპარს უფრო ჰგავს, ვიდრე სიმართლეს. მანამდე ფონ-კლუგენმა უცხოთაგან შეიტყო, რომ თითქოს თავადმა ჰასან-ბეიმ ეგვიპტის ფაშისაგან თუ სხვა რომელიღაც პატივცემული პირისაგან მიიღო წერილი, რომლითაც თავად ჰასან-ბეის საქმის კურსში აყენებს ზემოთქმულთან დაკავშირებით და სთხოვს მას, გვერდით დაუდგეს ეგვიპტის ფაშას ჯარების ჩვენს საზღვრებში შემოსვლის შემთხვევაში, მაგრამ სწორია თუ არა აღნიშნული ინფორმაცია, ის არ ადასტურებს.

5 აპრილს პოლკოვნიკმა პაცხოვსკიმ მაუწყა, რომ აფხაზეთის მფლობელმა, პოლკოვნიკმა თავ. შერვაშიძემ მას განუცხადა, რომ ყველაფერი, რაც პატაკში კაპიტ. ფლონ-კლუგენმა დაწერა, მან თავისი ყურით მოისმინა აფხაზეთის მცხოვრებლებისგან და ისიც, რომ თითქოს ჩვენ მიერ კონსტანტინოპოლში გაგზავნილი ფლოტი დაიღუპა. ხალხს ეს ხმები მართალი ჰგონია.

გენერალ-მაიორი ვაკულსკი

შამილის ტყვედნამყოფი ოფიცრის ნაამბობი

1842 წელს მარტში გენერალ-ლეიტენანტ ფეზეს ადიუტანტი ილია ორბელიანი ყაზიყუმუხში დაატყვევეს შამილის ნაიბებმა. რვა თვის საშინელი ტანჯვის შემდეგ იგი განთავისუფლებულ იქნა. მისი ტყვეობის ისტორიას დიდი გახმაურება მოჰყვა მაშინდელი საზოგადოების მხრიდან. ბუნებრივია, რომ ილიკო ორბელიანმა დააკმაყოფილა თანამედროვეთა ცნობისმოყვარეობა და უამბო თავისი თავგადასავალი ვერდერევსკის, რომლის ჩანაწერი „Рассказ офицера, бывшего в плену у Шамиля“ გაზეთმა „კავკაზმა“ (1849 №2-5) დაბეჭდა და შემდეგ დამატებად დაურთო თავის წიგნს „В плену у Шамиля“. ქვემოთ გთავაზობთ ნაწყვეტს ვერდერევსკის აღნიშნული ჩანაწერიდან.

ნაწყვეტი ილია ორბელიანის მოთხრობიდან შამილთან ტყვეობის შესახებ

...როდესაც ჩვენს ბარგი-ბარხანას ყარაულები მიუყენეს, მათ წარგვადგინეს შამილთან მე და აფშერონის ქვეითი პოლკის პრაპორშჩიკი ა., რომელიც, აგრეთვე, სამსახურის გამო ყაზიყუმუხში იმყოფებოდა. შამილის სახლის წინ აუარება ხალხი ფუსფუსებდა. ჩვენს მიახლოვებაზე ბრბომ გაცოფებული ღრიანცელი ასტეხა:

— ქრისტიანი ღორები მოჰყავთ, ქრისტიანი ღორები!

ამ კიჟინს მოჰყვა მათი წყევლა-კრულვა და გინება. რა თქმა უნდა, ასეთი დახვედრიდან კარგი რამის მოლოდინი არ უნდა გვქონოდა. შამილს ჩვენ შესახებ მოახსენეს. შიგნით შეგვიყვანეს. არ მეგონა, თუ ოდესმე იქიდან ცოცხალი თავით გამოვაღწევდი. მინდოდა, ერთხელ კიდევ თვალი მომევლო მზისთვის და შორეული მთებისთვის, რომლებიც დარაჯებად გადაჰყურებდნენ ჩემს მშობლიურ აკვანს.

ბურუნდუკ-კალესთან შესვენების შემდეგ ამხანაგებმა გამოთხოვებისას მითხრეს:

— აბა, ვინძლო რომ გიორგის ჯვრით დაგვიბრუნდე, აი!

მაშინ სწორედ ეს სიტყვები გამახსენდა და ნაღვლიანად წავიბუტბუტე:

— დიახ, ზოგს ჯვარი გულს დაუმშვენებს, ზოგს კიდევ საფლავს, მე კი — არც ერთს და არც მეორეს.

ჩვენ შეგვიყვანეს საკმაოდ დიდ ოთახში. შამილის მცველებით გაევსოთ ეს ოთახი. შემდეგ გამოგვიყვანეს მეორეში. აქ ვნახეთ სწორედ ის შამილი.

შამილს გარს ერტყნენ მისი თანამოღვაწენი და ყაზიყუმუხელი საპატიო დეპუტატები, მარჯვნივ და მარცხნივ უსხდნენ ნაიბები: კიბით-მაჰმადი — ანდელი-თავადი, აბდურახმან-დიბირი — ყარახსელი და მოღალატე ჰაჯიაგა ყაზიყუმუხელი მმართველის ძმა.

შამილს შიგნით კარებთან 150 მცველი ჰყავდა. ყველანი საზიზღრად, მხეცებივით იყურებოდნენ, ხმლებ და ხანჯლებგაშიშვლებულები, თოფებითა და დამბაჩებით; ყველას ჩახმახები მეორე ფეხზედ შეეყენებინათ.

ლეკები სილამაზით ვერ შეიქებენ თავს, ვერც გარეგნული მოყვანილობით. ველური, მკაცრი სახის მეტყველება ოდნავადაც არ შენელებიათ, რის გამოც სიამის იერს ვერ შენიშნავთ. რამდენადაც მხეცური შეხედულობისა იყვნენ ისინი, იმდენად უფრო გამომეტყველი და წარმოსადეგი იყო მათი წინამძღოლი, თვითონ შამილი. მეტად მშვენიერი, თეთრი და მასთან ნორჩი სახე, ოდნავად ნაყვავილარი, ცისფრად მოელვარე ჭროღა თვალები, საიდანაც გამოკრთოდა შორს მჭვრეტელობა, ჭკუა-გონება და იმისი სულის სიძლიერე. ტუჩებზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, ოდნავად გაპობილ ბაგედან ორი მწკრივი თეთრი კბილები მოუკრთოდა, რაიც მოწმობდა მის ცბიერებასაც და გულკეთილობასაც. ინით შეღებილი წითელი წვერიც ძალიან ამშვენებდა მის სახეს. ტანად საშუალო იყო, ჩამწკრივებული, ლამაზად ჩასხმული, იყურებოდა მეტად ბრგედ, ვაჟკაცურად. ამ წარმოსადეგ ადამიანს ისე ეჭირა თავი, თითქოს 35 წლის ვაჟკაციაო, მაშინ როდესაც ბევრად ხნიერი უნდა ყოფილიყო.

როდესაც პირველად თვალი შევავლე მას, მეტად მომეწონა თითონაც, მისი მდიდრული ჩაცმულობაც და შეიარაღებაც, რაც უფრო აძლიერებდა მის ვაჟკაცობის სილამაზეს და სიკისკასეს. თავი წითელი ჩერქეზული ქუდით შეეფარგლა და თეთრი დოლბანდით დაემშვენებინა. ტანთ ეცვა ახალოხი, ზემოდან წითელი მაუ-

დის ჩოხა, სულ მოსირმული და ვერცხლის პატარა მასრებით მოქარგული. მხარზე ეკიდა ხმალი. წელთ ეკრა ქამარი, რომელშიც გარჭობილი ჰქონდა ორი დამბაჩა. წინ კიდევ ხანჯალი ეკიდა. ასეთი იყო შამილი.

— აგერ იმამინალ-აზამი, — წაგვჩურჩულეს მურიდებმა, როდესაც შამილთან მიგვიყვანეს.

მან შემოგვხედა თავისი ჩვეულებრივი ღიმილით, მაგრამ კრინტი არ დაუძრავს.

ხანგრძლივმა დუმილმა და აუარება ბრბოს ცნობისმოყვარეობამ გული გამიწყალა, მივუბრუნდი და ვეუბნები შამილს:

— შამილ, ჩვენ ჩვენი მოვალეობის ასრულების დროს ტყვეებად ჩავცვივდით და აგერ გაახლეს ჩვენი თავი. ეხლა ჩვენ შენს ხელთა ვართ. რა გსურს? რას იზრახავ ჩვენი ბედისთვის? მალე გადასწყვიტე ჩვენი ხვედრი, გამოგვიცხადე, რა მოგველის: სიკვდილი, ტყვეობა თუ თავისუფლება.

იგივე გაიმეორა პროპორშჩიკმა ა-მ.

— ჩემს გარდაწყვეტილებას თავის დროზე გაიგებთ, — გვიპასუხა შამილმა, — ეხლა არ მცალიან.

ამ სიტყვებზე ხელი ჩაიქნია და უბრძანა, წავეყვანეთ და ჩავემწყვდიეთ ვისიმე სახლში.

მართლაც, შამილს ჩვენთვის არ ეცალა. მას ელოდა საიდუმლო დეპუტაცია აკუშოდან და ცუდახარიდან. გარდა ამისა, — საჭირო იყო მძევლების მოკრება, საჭირო განკარგულებათა გაცემა შარიათისა და მურიდიზმის გასავრცელებლად ახლად დაპყრობილს სახანოებში.

ჩვენ წაგვიყვანეს იდრისის სახლში. სახლის პატრონი გულმტირალი შემოგვეყარა. ის უჩიოდა მართლმორწმუნე მურიდებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ დავლისა და სიმდიდრის შესაძენად არ მოვსულვართო, ნამდვილად კი ისე გაეძარცვათ იქაურობა, რომ აღარაფერი დაეტოვებინათ. თუ ჯერ კიდევ გუშინ იდრისს შამილი ცამდე აჰყავდა და სულ იმის ქება-დიდებაში იყო, ასევე უქებდა თანამოღვაწეებს, ეხლა იგი სიტყვებსაც ვერ ჰპოულობდა, რომ თავისი გულისწყრომა გამოეხატნა.

ჩვენ ერთი ოთახი დაგვითმეს. ჯერ სამნი შეგვყარეს, შემდეგ შემოგვემატა ექვსი ყაზახი და ერთი ქართველი, რომელიც მე მახლდა. ბოლოს კიდევ ერთი შემოიყვანეს — რიგითი ჯარისკაცი ზაგორსკი, რომელიც მსახურებდა პოდპოლკოვნიკ ს-სთან და კიდევ ორი მისი თანამსახური.

შამილი და მურიდები მეც იდრისზე არა ნაკლებ მომექცნენ: მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა, ტანისამოსი, ოქროს საათი, ორლულიანი თოფი, ორი დამბაჩა, შევერცხლილი ხმალი, ხალიჩები, სპარსული შალი, ფულად 340 მან. და ოთხი ცხენი მათ დავლად დაიტოვეს. ასეთივე ბედი ეწიათ ჩემი ტყვეობის თანაამხანაგებს.

ჩვენ ყარაულად მოგვიყვანეს ჩერქეზები, მთიელებს შამილი ძალიანაც როდი ენდობა. მათ გამოვკითხე ჩემი ჩვიდმეტი ნუკერის ბედი.

— იმამ, — მიპასუხეს მათ, — ამ ავაზაკებს რა უნდა ელოდეთ, თუ არა ლუკმა-ლუკმად აჩეხვა.

ამის გაგონებაზე მე მოვუხმე ჩემთან შამილის ერთ მახლობელს, სახელად ჰაჯი-იოგას (ესეც ჩერქეზი იყო) და ვთხოვე, შუამდგომლობა გაეწია შამილის წინაშე, რათა მას ჩემი ნუკერებისთვის ეპატიებინა, რადგანაც მათი ბრალი ის იყო, რომ ყაზიყუმუხში წასვლისას ისინი ძალით წავიყვანე გამყოლებად. ამისთვის მე დავპირდი ჰაჯის ჩემი სერთუკი, სხვა მეტი არაფერი აღარ გადამრჩა. ის შამილთან წავიდა და დიდხანს არ დაბრუნებულა. ამასობაში შემომესმა ხშირი სროლის ხმა. მალე ამბავი მომივიდა, რომ **უბედური ჩემი ნუკერებიდან ცოცხალი არავინ გაუშვეს, ზოგი დახვრიტეს და ზოგიც ხმალ და ხმალ ასჩეხეს.**

მურიდების ბრბო ბრბოზე მოდიოდა ჩვენთან, გვწყევლიდა, გვაგინებდა, გვაფურთხებდა და მიდიოდა. ბოლოს, საღამოთი, ჩვენ იმ სახლში გადაგვიყვანეს, რომელშიც შამილი ბინადრობდა. იქ ფეხსადგილში შეგვყარეს და ყარაულები მოგვიყენეს. ასე გაიარა ჩემთვის იმ სამწუხარო და მარადჟამს დაუვიწყარ დღემ, 22 მარტმა.

მეორე დღეს, გათენებისას, სუფთა ჰაერზე გაგვიყვანეს. ჩემთან ორი მურიდი მოვიდა, რომელთაც მთიელები განსაკუთრებული პატივისცემით შეხვდნენ. სჩანდა, რომ ისინი პატივსაცემი პიროვნებანი უნდა ყოფილიყვნენ, და მართლაც, შამილის დიდი მეგობრები გამოდგნენ ისინი, ჩოხელი მურიდები: მუსა-აჯი და მაჰმუდი.

ერთმა მათგანმა პირი იბრუნა ბრბოსკენ, ჩემსკენ მოათითა და ეუბნება:

— აი, ეს ყველაზე დიდი ურწმუნო ძაღლია. მაგან სამიათასზე მეტი კომლი წაგვართვა ანდაალის საზოგადოებაში და ერთგულებაზე დააფიცა. მე შამილს

გენერალ ფონ კლიუგენის შეხვედრა შამილთან 1837 წელს, გრ. გაგარინის ნახატი, 1849 წ.

ვთხოვ, მაჩუქოს ამის თავი, რომ საკუთარი ხელით მოვკლა და სამოთხე დავიმსახურო. მე დიდი ხანი ვცხოვრობდი მექაში და ჯერ შემთხვევა არ მქონია, რომ გიაურების სისხლი დამეღვარა.

შუადღის ნამაზის შემდეგ, რომელიც შამილმა გულმოდგინებით შეასრულა დიდად პატივცემულ პირთა თანდასწრებით, ჩვენ მოგვაკითხეს და მასთან მიგვიყვანეს.

შამილი უკვე მდიდრულად ჩაცმული აღარ იყო, როგორც წინა დღეს. ეხლა გაქონილი პერანგი ეცვა. უეჭველია, ისიც როგორც ყველა მთიელი, საცვალს არ იცვლის, ვიდრე პერანგის ერთი ძაფი მაინც მთელია, ან და სანამ ზედ არ შემოალპება და მხრებიდან არ დასცვივა. მას მცველები ირგვლივ ეხვია. ხელთ იარაღი მზად ეჭირა. იქვე ჩამოჯდა და მრისხანედ მოგვმართა"

— თუ რუსები ჩემს შვილს დამიბრუნებენ, მეც თბილისში გაგიშვებთ ყველას, არა და აქვე აგჩეხავთ და ჯოჯოხეთში თავს გიკრავთ.

შამილ, — მივუგე მე, — აქ ორჯერ და სამჯერაც მეტი ტყვეები რომ გყოლოდით, მაშინაც ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები არ დასთანხმდებოდნენ შენს ასეთს წინადადებას. ხელმწიფე ჩვენი დიდად აფასებს ჩვენს სიცოცხლეს, თუმცა მას ერთ საათში შეუძლიან თვითეული ჩვენგანი სხვა ასეულებით შეავსოს, მაგრამ სახელმწიფოს კეთილდღეობა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი სიცოცხლე. ამიტომ აზრადაც ნუ მოგივა, რომ ჩვენზე შენი შვილი გადასცვალო. უმჯობესია, შამილ, ჩვენ ის მოგვთხოვო, რის გაკეთებაც შეგვეძლება ჩვენ, ან ჩვენს უფროსებს. გენერალმა ფეზემ უნწუყულში ორასამდე ტყვედ წაიყვანა შენი კაცები და, აი იქიდან შეიძლება რამდენიმე კაცი გადასცვალონ ჩვენზე. ეხლაც, რაც გენებოს, ის გვიყავი, გინდა აგვჩეხე, გინდა ცოცხლები გაგვიშვი, მაგრამ იმისი იმედი ნუ გექნება, რომ შენ შვილი დაგიბრუნონ.

მან გაიღიმა და სთქვა:

— კეთილი, არ დაგხოცავთ. წადით დარგოში, იქ მოვილაპარაკოთ.

მე მას მოვახსენე, მთებში ფეხით სიარულს ნაჩვევი არა ვართმეთქი. ვთხოვე, მურიდებმა რომ ცხენები წაგვართვეს, დაგვიბრუნეთ, ვიდრე დარგოში ავალთმეთქი. მაგრამ ბარბაროსებმა ცხენები არ მოგვცეს. ის კი არა, შამილთან საჩივლელადაც კი არ მიგვიშვეს. იძულებული შევიქენით, დარგომდე სულ ფეხით გვევლო.

23 მარტს ცამეტი კაცი გაგვიყენეს ყაზიყუმუხიდან სოფელ დარგოსკენ. საკმაოდ მორხებული გზით მივაღწიეთ მოსაზღვრე სოფ. ბუხტს, სადაც შევხვდი ბევრს ჩემს მეგობრებს. ყველას გულწრფელად სწყინდა ჩემი უბედურება და წყევლა-კრულვით ავსებდნენ მურიდებს.

მთიელთა შემოსევამდე ყაზიყუმუხელები კმაყოფილები იყვნენ თავიანთი ცხოვრებით: სახნავ-სათესი თავიანთი სამყოფი ჰქონდათ, ასევე საქონელი. ეხლა კი ყველგან დარბევისა და განადგურების კვალი სჩანდა: მურიდებს გაეძარცვათ მოსახლეობა, მთელი მათი სარჩო-საბადებელი გაეტაცნათ.

ბუხტიდან გავემართეთ სოფელ სუგრატალისკენ, სადაც კარგი საურმე გზა მიდის. გზა ჯერ მთას ასდევს, შემდეგ მწვერვალთან უხვევს, სწორედ იქ, სადაც წყაროა, აქედან კი დაბლა ეშვება სოფლისაკენ. მე ცნობისმოყვარეობით თვალყურს ვადევნებდი ამ ადგილს, რომელიც მიუვალად იყო ცნობილი, გარდა ამისა, ეს ადგილი ისტორიულადაც ცნობილია: აქ წარსულ საუკუნის მეორმოცე წლებში მთიელებმა გაანადგურეს სპარსეთის ლომის — ნადირ-შაჰის ურდოები. ნადირ-შაჰმა ალყა შემოარტყა სუგრატალს და ქვემოდან შემოუტია, ხეობიდან, რაიც მართლაც დიდ ძალ-ღონეს თხოულობდა და რაც უსათუოდ მთელი ლაშქრის განადგურებით უნდა დამთავრებულიყო, მაშინ, როდესაც სოფელ ბუხტიდან პატარას გახვალთ თუ არა, ზედ თავზე გადასცქერით მას. საკმარისია, პატარა სიმაღლე დაიკავოთ, გააწყოთ არტილერია, რომ სოფელი ჩაგბარდეთ.

სუგრატალის ქოხმახებს გავცდით. გზა სულ ციცაბებზე იკლაკნება და უდაბურია. აქედან დავეშვით სოფ. უნტიბში, რომელიც თვითონ ბუნებას ციხესიმაგრედ შემოურტყია მისთვის. იგი თვალუწვდენელ უფსკრულში მდებარეობს და გარს სულ პიტალო კლდეები არტყია. მოსახლეობა ირწმუნება, აქ ჯერ მზის სხივს არ შემოუხედნიაო. თუმცა ამ ადგილს სამხედრო თვალსაზრისით არავითარი სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვს.

უნტიბში ღამე გავათიეთ. განთიადისას ჩვენ გაგვრეკეს რუგჯავასაკენ. აქ სულ ციცაბებზე გვიხდებოდა გადასვლ-გადმოსვლა. ყოვლად შეუძლებელია, რომ აქ ცხენით შესძლოთ გავლა: ცხენები წამდაუწუმ ფორხილობენ, ეცემიან, ფეხებს იტეხენ, კლდეებზე იჩეხებიან. ასე მიდის გზა თვითონ რუგჯავამდე, შემდეგ გაშლილი გზაა, რომელიც ასდევს ფერდობს და შეჰყავხართ თვითონ სოფელში.

რუგჯავიდან ჩვენ გაუდექით ტილიტლის გზას. აქ ღამე გაგვათევინეს და განთიადისას გავწიეთ გოლოთლოში, რომელიც ტილიტლიდან რვა ვერსითაა დაშორებული. გზა იქ გაუყვანიათ რუსებს 1837 წელს. ეს გზა ფერდობებით მიდის თვით გოლოთლამდე.

ხუნზახის დაღმართის პირდაპირ ჩვენ შემოგვეყარა მთიელი ყარაულების საკმაოდ ძლიერი რაზმი. ჩვენს პირდაპირ მწვერვალზე ციცაბოზე გადმომდგარიყო ახმედ-ხანის გუშაგები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გოლოთლესაც და მთიულებსაც. უეჭველია, მას შეეძლო დავენახეთ ჩვენ, თუმცა გარჩევით ვერ გაარჩევდა, რომ რუსის ტყვეებს მოერეკებოდნენ ჩვენი სახით. გულმა ძგერა დაგვიწყო, როდესაც ამ საგუშაგოებს მოვკარით თვალი. ჩვენ შველას მოველოდით მათგან, ასე გვეგონა, აგერ-აგერ ჩვენს გამოსახსნელად ხმას ამოიღებენო, მაგრამ

იმედი ამაო ოცნებად დაგვრჩა. გოლოთლეში ჩვენი ბადრაგობა გააძლიერეს. სასტიკად გვიკრძალავდნენ, ხუნზახის მთისკენ არ გაიხედოთო იქ ჩვენი ყარაულები გუშაგობდნენ. თითქმის სირბილით გადაგვატარეს ავარიის ქოისუს მარცხენა ნაპირი, ვიწრო და ხევხუვებიანი ბილიკებით, სადაც წამდაუწუმ აგვახეთქებდნენ და ჩამოგვახეთქებდნენ ხოლმე. აქ ცხენები და ჯორებიც კი ძნელად მიიკვლევდნენ გზას.

ხიდათლის საზოგადოების ნაწილს რომ გავცდით, ჩვენ გადავლახეთ მეტად მჭქეფრი მდინარე, გავუხვიეთ მარჯვნივ და მივატოვეთ ავარიის ქოისუ. შემდეგ ვიწრო ხეობაში შეგვლალეს და ბოლოს, საღამოთი ძლივს მივაღწიეთ ბაოლუხს, რომელიც ტილიტლიდან ორმოციოდე ვერსითაა დაშორებული, ხოლო ხუნზახიდან — ოცდაათი ვერსით. ეს სოფელი ძევს ერთი კლდის ძირს, რომელიც მძაფრად შემორკალვია თითქმის მთელს ავარიას, ჯერ ავარიის ქოისუსის მხრით, შემდეგ გაჰყვება აუხვაზის მახლობლად და კარატინის საზოგადოებით იხურება.

ღამსათევად ჩვენ მიგვიჩინეს ერთი ფარდული. შორი გზით ნაწონწიალები და გაწამებულნი, შიმშილისაგან და ყინვით აგვაკანკალა. მეორე დღეს ინათა და ჩვენმა ველურმა მთიელებმა კვლავ წინ გაგვირეკეს, არავისაც არ ადარდებდა, გვშიოდა თუ გვწყუროდა.

როდესაც თოვლით დაფარული აუხვაზის მთის ქედი გადავლახეთ, საღამოთი ჩვენ მივაღწიეთ თვითონ სოფელ აუხვაზს, რომლის სახელიც მთელს საზოგადოებაზეა გავრცელებული. ძნელად ასაწერია და შეუძლებელი რამეს შეადარო აქაურების სიღატაკე: მამაკაცებისა და დედაკაცების ერთადერთ სამოსს გრძელი ხამის ტილოს პერანგი შეადგენს, რომელზედაც წამოუცვიათ ცხვრის ტყაპუჭი. აუხვახელთა ენა სრულებით არ წააგავს სხვა ტომთა ენებს, არც თუ თვით ავარიელებისას, რომელიც გავრცელებულია მთელს დაღესტანში. მთიელებს საზოგადოდ თავთავისი ენა აქვთ, თუმცა უმეტესობა არაბულს ენაზე ლაპარაკობს. გარეგნობითაც აუხვახელები სხვა მთიელებს არა გვანან. ისინი უფრო ქერათმიანები არიან.

როდესაც ჩვენი მისვლის ამბავი გაიგეს, მთელი მოსახლეობა ყველა მხრიდან ჩვენსკენ გამოეშურა, რომ ვენახეთ. ერთმა ქალმა ჩემთან მოირბინა და ქართულად მეკითხება:

— შენ ქართველი ხარ?

როდესაც ვუპასუხე, ქართველი ვარ-მეთქი, მან მიამბო, მეც ქართველი ვარ, ტყვედ წამომიყვანეს კახეთიდან, სოფელ ართანიდან და მიმათხოვეს ერთ გამოქცეულ რუსს, რომელთანაც აგერ 15 წელია, რაც ვცხოვრობო. საღამოთი მოვიდა ერთი მოხუცი, ისიც ლტოლვილი ჯარისკაცი. ის ჯერ კიდევ ზუბოვის დროს, ორმოცდაექვსი წლის წინ, გამოქცეულიყო დარუბანდიდან. მან მომგვარა თავისი ვაჟიშვილი, ბევრი აქო, კარგი ვაჟკაციაო და მითხრა, თუ კარგ სასყიდელს გაიღებ, ამას შეუძლიან გადაგმალოს და შემდეგ ხუნზახში გადაგიყვანოს, თუ ამ ყარაულებს თავს დააბნევ და გაქცევას მოახერხებ, ამა და ამ წისქვილთან დაგელოდები და სამშვიდობოზე გაგიყვანო. ის წისქვილი ფარულად დამანახა. ბედი როგორ არ მეცადა. იმედის სხივი მაცდურად ამიციმციმდა. გასაქცევად გავემზადე, მაგრამ ლეკებმა შემატყვეს, რასაც ვიზრახავდი და ხელფეხი დამიბორკეს.

აუხვახიდანაც გაველით. აქედან მეტად კარგი გზით მივდიოდით. რამდენიმე სოფელს გავცდით და მალე მივაღწიეთ მიუვალ სოფელს კარატის, სადაც 500-600 კომლი მოსახლე იქნება. სოფელი გაშენებულია მთაზე და სრულიად გამოყოფილია წინა მხრის ავარიელების მთებიდან. მისი ფერდობები მეტად მკვეთრად ეშვება. თვითონ სოფელში შემავალი გზა საცალფეხოა, კლდეებს შუა მიიკლაკნება, რომლებიც ერთმანეთიდან სამი საჟენით არიან დაშორებულნი, ხოლო ბოლოს გაერთიანებულია მაგარი კედლით, რომელშიც ჭიშკარი აუმართნიათ ზედწამოდგმული საგუშაგო კოშკით, სადაც ყოველთვის რამდენიმე გუშაგი სდგას და შეუძლიანთ შეაკავონ საკმაო ძლიერი რაზმი.

ავარიის მთებზე, კარატის პირდაპირ, მდებარეობს რამდენიმე სოფელი კარატის საზოგადოებისა, რომლებიც აიღო და გადაჰბუგა გენერალმა ფეზემ.

კარატელებმა კარგად მიგვიღეს, დაგვაბინავეს, გვასვეს გვაჭამეს, ვისაც რით შეეძლო.

კარატში მე ვნახე მრავალი საცოდავი ქართველი ბავშვი, რომლებიც ლეკებს კახეთიდან გამოეტაცნათ. როდესაც თავიანთი თანამემამულე დამინახეს, შემომეხვივნენ, სამშობლო გაიხსენეს და მწარედ ასტირდნენ.

კარატის საზოგადოების მოსახლეობა ბოგოლალურს ენაზე ლაპარაკობს, რომელიც სრულებით განსხვავდება აუხვახურსა და ავარულ ენებიდან. საკმაო კარგი გზით ვიარეთ კარატიდან ანდიამდე. როცა მთები გადავლახეთ და შესასვენებლად შევჩერდით ინხვოლში, რომელიც მდებარეობს ანდიის ქოისუს შესართავ პატარა მდინარის გვერდით, ჩვენ ეს მდინარეც გადაველით და ღამის გასათევად შეველით სოფ. კვონხიდათლში. ეს სოფელი კარატიდან ათი ვერსითაა დაშორებული, მდიდარია თავისი სუფრის მარილით, რომელსაც მოსახლეობა იღებს მთიდან დაქანებულ მლაშე წყაროებიდან. ინხვალსა და კვონხილათში 300 კომლი მოსახლე იქნება. ორივე სოფელი მიწერილია ტეხნუტალის საზოგადოებაზე, რომელსაც თავისი საკუთარი ენა ჰქონია.

მეორე დღეს, გათენებისას, წამოგვლალეს და ეხლა ანდიისაკენ დაგვაჭერინეს გზა. ხუთიოდე ვერსი სულ ანდიის ქოისუს ნაპირით ვიარეთ, შემდეგ გავუხვიეთ მარცხნივ სოფ. მონოში, სადაც აუარება ხილის ბაღებია და 15 კომლი მოსახლეობა. აქედან ანდიის პირველ სოფლამდე გზა მისდევს კირნარევ ვაკობზე, შემდეგ ეშვება ხეობაში, სადაც მოსჩქეფენ თვითონ ანდიისა და გოგათლინის ღელეები.

საღამოთი მივაღწიეთ ანდის, სადაც დაგვხვდნენ შამილის მიერ გამოგზავნილი ყაზიყუმუხური მძევლები. მათ შორის იყვნენ ყაზიყუმუხის მმართველი მაჰმუდ-ბეგი, მისი ძმა ჯიბრაილ-ბეგი, შვილი ჰარუნ-ბეგისა, მირზა ზოკო და სხვები.

მეორე დღეს გაგვლალეს სოფელ დარგისკენ. გზა უღელტეხილს კარგად აჰყვებოდა. ასე რომ, მძიმე ტვირთის გადასაზიდათაც კი გამოდგებოდა. ჯერ ოთხიოდე ვერსი სულ მაღლა-მაღლა მიიმართება, მიწისგორების მწვერვალისკენ. აქ ანდიელებს აქვთ თავიანთი პატარა სოფლები, სათიბები და საძოვარი ველები. ანდიდან ათიოდე ვერსის დაშორებით ჩვენ შეგვხვდა ორი წყარო, ორივე თხემზე ამოსჩქეფდა. სამ ვერსს იქით გზა დაბლა-დაბლა ეშვება და ასე მისდევს ორი ვერსის მანძილზე. მის ძირს ამოსჩქეფს საკმაოდ ძლიერი შადრევანი. აქედან მიჰყვება უზარმაზარი კლდოვანი და ტყეებით დაფარული ხეობა, სადაც მოიპოება მდ. აქსაის სათავე (თათრულად — აღსუ, რაც ნიშნავს თეთრ მდინარეს, ანუ თეთრ წყალს). ხეობაში სამი ვერსიც არ გაგვევლო, რომ წინ გადაგვეშალა მშვენიერი ველი, რომელიც ყოველ მხრიდან ხუთი თუ ექვსი ვერსის მანძილზე ძირს ერტყმის დარგოს. სოფელ ბოიანამდე, წუვენტერამდე, შემდეგ ბოლმითამდე და მის ირგვლივ ვიდრე ხეობის საწყისამდე.

31 მარტს, ნაშუადღევის ოთხ საათზე, ჩვენ მიაღწიეთ ჩვენი ბედის გადამწყვეტ დილეგს.

მთელი სოფელი, მამაკაცებიც, დედაკაცებიც და ბავშვებიც ჟღივილ-ხივილით გამოგვეგებნენ, ჩვეულებრივი ღაღანით:

— ლა-ილახე-ილ-ალაჰ!

ეს იყო სამადლობელი ჰიმნი ზეციერ შემოქმედისადმი, რომელმაც ძლევამოსილი ჰყო შამილ და ბედნიერად გაამარჯვებინა ყაზიყუმუხზე და მრავალი ტყვე წამოაყვანინა. ჩვენ შამილის სახლში მიგვიყვანეს, სადაც, როგორც თვითონ შამილი დაგვპირდა, კარგად მიგვიღებდნენ. და მართლაც, მისმა პირველმა ცოლმა, სახელად ფატიშატმა, უბრძანა, დაუყოვნებლივ დაეკლათ ჩვენთვის ერკემალი და პური გამოეცხოთ. ასეთი მოპყრობიდან ის დასკვნა გამოვიტანეთ, რომ ჩვენს წამებას ბოლო მოეღებოდა და შემდეგში ასევე ადამიანურად მოგვეპყრობოდნენ, მაგრამ დიდად მოვტყუვდით. მეორე დღეს მურიდებმა სოფელს გარედ გაგვიყვანეს, რომელიღაც ფარდულში, აქ ჩვენ გვაჩვენეს ბნელი ხარო, ჩაგვახედეს და გვითხრეს:

აი, აქ ეყრებით იქამდე, ვიდრე შამილის შვილს არ დაგვიბრუნებენ, არა და აქ ჩაძაღლდებით, როგორც ქრისტიანი ღორები.

პირველად ა. ჩაუშვეს ხაროში, შემდეგ მე მიმაყოლეს მის კვალს. ხაროს ძირზე ჯაჭვების ჩხარა-ჩხური მოგვესმა. აქ ჩვენ ვნახეთ ერთი ყიზლარელი სომეხი, რომელიც ყიზლარსა და მოზდოკს შუა შეეპყროთ ჩეჩნებს და შებორკილი აქ ჩაეგდოთ.

ხარო, რომელიც ბნელ დილეგად გადაგვეშალა, სიღრმით ერთი საჟენი იქნებოდა და ნახევარი საჟენი სიგანე, ასე რომ დასაძინებლად რომ ვწვებოდით, იძულებული ვიყავით ერთმანეთზე ფეხები დაგვეწყო. ჰაერი მხოლოდ მაღლიდან ჩამოდიოდა, საიდანაც ჩვენ ჩამოგვიშვეს. საღამოობით ჩვენს დილეგს სახურავით ჰკეტავდნენ. თვითონ ხაროს თავი გადახურული იყო ფარდულით, უკედ საყარაულოთი, რის გამოც ჰაერი უფრო გვეხუთებოდა. მალე შემოგვიმატეს ერთი ჭაბუკი ჩეჩენი, რომელსაც მკვლელობას აბრალებდნენ. ბოლოს სულ 15 კაცი მოვემწყვდიეთ, რომელთაც არსად არ გვიშვებდნენ, თვით ფეხისადგილისთვისაც კი.

ადვილად წარმოსადგენია, როგორ გავეწამებოდით ამ ბნელს ხაროში, როგორ სული მოგვეხუთებოდა ასეთი აყროლებული ჰაერიდან. ამ ყოფაში გავატარეთ სრული სამი კვირა. დღე და ღამეში ჩვენ გვაძლევდნენ სამ-სამს ხინკალს. ეს იყო მოხარშული სიმინდის ცომი, წონით ნახევარ გირვანქამდე, ყოვლად უგემური, უნაწივრო და იმდენად სამყოფი, რომ კაცი არ მომკვდარიყო.

სამიოდე დღის შემდეგ ჩვენ გვეწვია სოფელ დარგის ყადი, სახელად ნურმახმა. იგი ჩერკეელებიდან იყო გამოსული. მან უბრძანა, რომ ხაროდან ამოვეყვანეთ, **უკანასკნელი ტანისამოსიც წაგვართვა და პერანგის ანაბარად დაგვტოვა. როდესაც მან გულზე წმ. გიორგის ვერცხლის ხატი დამინახა, რომელიც შემკული იყო ძვირფასი თვლებით და წმინდა ნაწილებით, მან გაცოფებით ჩამომგლიჯა, დამიწყო გინება, ლანძღვა, პირში მაფურთხებდა, ასევე დააფურთხა ხატს, შემდეგ შემოაცალა ძვირფასი სამკაული, ხოლო თვითონ ხატი ცეცხლში ჩააგდო.** ასე გამოვეთხოვე ჩემს იმედს, ხატს, რომელიც მით უფრო იყო ჩემთვის ძვირფასი, რომ დედამ იმითი დამლოცა და სამახსოვროდ გამომატანა.

მე და ა-ს ფეხში ბორკილები გაგვიყარეს და ისევ ხაროში ჩაგვყარეს. ამ დღიდან ჩვენი კვება გაუარესდა. სასტიკ სიმშილს ვიტანდით. ბოლოს, როგორც იყო, დარგოდან დაბრუნდა თვითონ შამილი. გული მოგვეცა. გვეგონა, ის შეგვიმსუბუქებდა ხვედრს, მაგრამ ამაოდ. ერთხელ მან შემოგვიგზავნა ქაღალდი და საწერ-კალამი და გვიბრძანა, ჩვენი ხელისუფლებისთვის მიგვეწერა ის პირობები, რომლითაც შეეძლებოდა მას ჩვენი განთავისუფლება. ამ პირობების მთავარ მუხლს შეადგენდა, რომ პოლკოვნიკ ს-ს თავში მისი ვაჟიშვილი დაებრუნებინათ, ხოლო ჩემში — მისი ძმის წული; პრაპორშჩიკ ა.-ში სთხოვდნენ ახულგოელ ალი-ბეგის ვაჟს, ხოლო დანარჩენებში — ორ-ორ ტყვეს, რომლებიც იმავე სოფლიდან წაეყვანათ. ჩვენ დიდხანს ვუარობდით და ვარწმუნებდით, ამაზე ჩვენი მთავრობა არასოდეს არ დასთანხმდებაო. ბოლოს იძულებული შევიქენით, დავმორჩილებოდით მის ბრძანებას. ჩვენი წერილი გადაუგზავნეს თემირ-ხან-შურაში გენერალ-მაიორს ფონ-კლუგენაუს.

ველური მთიელის ასეთმა აზრებმა და ამ უბრალო სანუგეშო

სიტყვებმა, რომელიც გამოიმეტა ჩვენთვის ახვერდი მაჰმადმა, ღრმად აგვაღელვა ყველანი. ჩვენ მადლობა გადავუხადეთ ასეთი თანაგრძნობისთვის და ვსთხოვეთ, ეშუამდგომლა შამილის წინაშე ჩვენი ბედის შესამსუბუქებლად.

— თუ შამილი წინად ცუდად გვეპყრობოდა, — ვეუბნები, — ალბათ, იმიტომ, რომ ვაეძულებინეთ და უფრო სურათოვნად აგვეწერა ჩვენი ტანჯვა-წამება, რათა დაგვერწმუნებინა ჩვენი უფროსობა, ჩვენს უნუგეშო მდგომარეობაში, მალე დაებრუნებინათ შამილის შვილი და სხვები, მაგრამ ეხლა რაღად უნდა გვაწამებდეს, როდესაც ჩვენ უკვე წერილობით გავგზავნეთ ჩვენი თხოვნა, რატომ არ უნდა გვიმსუბუქებდეს მდგომარეობას? **თუ მას ჩვენი გაქცევისა ეშინიან და იმიტომ არ ამოვყევართ ამ ხაროდან, შიმშილით მაინც ნუღარ გვხოცავს. ჩვენ ხომ საჭმელის გაუმჯობესებას არ ვთხოვთ, ცოტაოდენი მოგვიმატოს, განა რუსები ასე ეპყრობიან თქვენს ტყვეებს? ტყვეებს ყველას თავთავისი წოდებისა და ხარისხის მიხედვით ინახავენ, საკმაო ჯამაგირსაც აძლევენ, ასე რომ, მათ არ იციან, რა არის გაჭირვება.**

— ვიცი, საყვარელო, ვიცი, ძალიან კარგად ვიცი, — მეუბნება ახმედ-მაჰმადი და აღმითქვა: შამილს ვთხოვ, რომ ხინკალი მოგიმატონო.

მაგრამ მართალია ის, რომ შამილმა არც მისი შუამდგომლობა შეიწყნარა: ჩვენი თხოვნა არ შეუსრულებია და მდგომარეობა არ შეგვცვლია. მაგრამ ახვერდი-მაჰმადმა მარტო სიტყვებით კი არ დაამტკიცა თავისი გულკეთილობა. გამოთხოვებისას შამილის ნებართვით მეც და ა-საც ვერცხლის თითო მანეთიანები გვაჩუქა. შიმშილისაგან განაწამები ვიყავით და ეს საჩუქარი დიდის მადლობით მივიღეთ. იმ მდგომარეობაში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებოდით, ეს ორი მანეთი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე ორი ათასი მანეთი სხვა დროს და სხვა პირობებში. რარიგად გვიხაროდა, როგორ ვიმედოვნებდით, რომ კარგი საჭმელით შევიმაგრებდით ჩვენს ძალ-ღონეს და ჩვენი ამხანაგების ჯანმრთელობას, მაგრამ ეს სიხარულიც ამაო გამოდგა: საზიზღარმა ყარაულებმა, როდესაც ეს ფული იგდეს ხელთ, დაგვცინეს, ფული ჩაიჯიბეს და ჩვენ გადმოგვიყარეს ათიოდე ჭადის პაწია კვერი და ქონის სანთლის ნამცეცა ნაჭერი. ამაოდ ვემუდარებოდით, რომ მათ ჩვენთვის ცოტაოდენი ხორცი ეყიდათ, — კედელს ცერცვი შეაყარეო, — გაგონება არც კი უნდოდათ. გაცრუებული იმედები, შიმშილი და გულისწყრომა სულსა და გულს გვიქეჯნიდა, მაგრამ რა უნდა გვექნა!

მეორე დღეს, ახვერდი-მაჰმადი, ჩეჩენთა ცხენოსნებით წავიდა სალაშქროდ და მას შემდეგ აღარც გვინახავს, ვიდრე იღალინის საქმეებს არ მორჩა, სადაც მან დიდად ისახელა თავი.

ჩვენთან სხვა ნაიბებიც დაიარებოდნენ, როგორც მაგალითად **ანდიის ყადი, გუმბეთელი აბაქარ-დიბირი, ტულოხელი ჰაჯი-მურატი, ყიალალელი და სურხაი ანალიელი და ტილითელი კიბით-მაჰმადი** და სხვები.

მაისის შუა რიცხვებში მთიელებმა ყაზიყუმუხისკენ დაიჭირეს გეზი. მათ მალე დაედევნა თვითონ შამილი, რომელმაც ჩეჩნეთი შუემბისა და ულუ-ბეის განკარგულებაში დასტოვა. ორივეს ისე ენდობოდა, როგორც საკუთარ მარჯვენას. იმავე თვის ბოლოს დარგოლელებში ხმა დაირხა, რომ რუსები ჩეჩნებზე აპირებენ ლაშქრობასაო.

პირველ ივნისს გენერალი გრაბე შევიდა იჩქერიის ტყეებში. დღითიდღე ზარბაზნების ხმა ძლიერდებოდა. ასე რომ, მათი გრიალი ბოლოს ჩვენამდეც აღწევდა. ისე მოსჩანდა, თითქოს თავისუფლების სხივი აგერ-აგერ ჩვენს დილეგშიც ჩამოანათებდა. მაგრამ მალე იმედი გაგვიქრა, რომ ჩვენები ოდესმე სოფელ დარგომდე მოაღწევდნენ.

ჭაბუკი ჩეჩენი, რომელიც ჩვენთან მკვლელობის გამო იჯდა, დის მზრუნველობის ქვეშ იმყოფებოდა, თითქმის ყოველდღე სამჯერ მაინც ნახულობდა მას ეს და, თან მოჰქონდა საჭმელები. მისგან მალე გავიგეთ დაწვრილებით საქმის ნამდვილი ვითარება და სხვადასხვა ამბები, ერთი სიტყვით, თუ რამეს ვტყობილობდით, სულ იმ ქალის წყალობით. **ჭაბუკი დიდად ნაღვლობდა, რომ რუსებმა სალაშქროდ უხეირო მხარე აირჩიეს, სრულიად უწყლო და უდაბური მხარე; ამბობდა იმასაც, რუსის ჯარებს სოფელი ბაიანი რომ აერჩიათ სალაშქროდ, მაშინ უსათუოდ გაიმარჯვებდნენო, აქ გაყვანილი გზები ჯარების მოძრაობას გააადვილებდაო, მაშინ ჩვენც ადვილად მოვახერხებდით გაქცევას აგერ ამ მხრითაო, — და თან მიგვითითა თუ რა გზით და რომელ მხრით შეიძლებოდა ჩვენი ხსნა, გადარჩენა.** შემდეგ სასოწარკვეთილებით ხელი ჩაიქნია და სთქვა:

— ეხლა ამისი იმედი აღარ უნდა გვქონდეს. გადაჭრით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ რუსები დარგოს ველარ მოაღწევენ. შამილი დაბრუნდება ყაზიყუმუხიდან, ხელახლად ჩეჩნეთის მფლობელი შეიქნება და, გაქცევაც რომ მოვახერხოთ, მაშინ ჩემი მშობლები, ძმები და დები სიკვდილით დაისჯებიან ჩემ გამოო.



შუემბი და ულუ-ბეი გენერალ გრაბეს შეხვდნენ იჩქერელებისა და აუხაველების რაზმებით. სხვა მთიელები ვერ მიეშველნენ ან არ უნდოდათ მონაწილეობა მიეღოთ საფათერაკო ბრძოლაში. ჩვენ თითონ დავინახეთ ასამდე ანდიელი, როგორ გულდამშვიდებით ისხდნენ თავისთვის დარგოში. ორივე ნაიბი განუწყვეტლივ უგზავნიდა თხოვნას შამილის ოჯახობას, ანდიაში გადასახლდით ანდა დაღესტნის შორეულ მთებშიო. ისინი უთვლიდნენ მას (შამილის ოჯახს):

— ჩვენ, რა თქმა უნდა, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებთ, რუსებს არავითარი შესაძლებლობა არ მოეპოვებათ, რომ დარგოს მიაღწიონ, მაგრამ იმასთან ერთად ნურც იმას დავივიწყებთ, რომ მტერი ძლიერია, ვინ ითავდებებს, რომ, თუ გენერალი გრაბე მოისურვებს, თავისი არ გაიტანოს, რანაირი მსხვერპლიც არ უნდა მოუვიდეს მას.

ეს საზოგადო აზრი იყო ყველა მთიელისა გენერალ გრაბეს შესახებ და ეს რწმენა ისე აფრთხობდა ჩეჩნებს, რომ თუმცა იმედი ჰქონდათ რუსები დარგოს გზამდე ვერც კი მოაღწევენო, მაგრამ მაინც შიშობდნენ და ოჯახებით იხიზნებოდნენ უფრო მიუვალს და უშიშარს ადგილებში. **შამილის ოჯახობაც მთელი თავისი ავლადიდებით ანდიაში გაიხიზნა.**

შამილის ოჯახის გახიზვნის შემდეგ მურიდები შეიკრიბნენ ჩვენი ხაროს თავზე წამოდგმულ სახლში და მოჰყვნენ ბჭობას, რა ვუყოთ ამ ტყვეებს, როდესაც რუსები დღითიდღე გვიახლოვდებიან და თვითეულმა ჩვენგანმა თავის გადარჩენაზე უნდა იფიქროსო.

— რა ვქნათ, რა მოვაგვაროთ? — შესძახა შამილის ბიძაშვილმა, სახელოვანმა გიმრელმა აბრაგმა იბრაჰიმმა — რუსები რომ ურტყამენ ჩვენს მუსლიმანებს, მოდი და ჩვენც ამოვუჟლიტოთ მათ თავიანთი ერთმორწმუნენი, აი ეს ტყვე ღორები. ამით ჩვენი ძმების შურს ვიძიებთ, ღვთის სასურველ საქმეს ჩავიდენთ და ჩვენს სულს ვაცხოვნებთ კიდეც.

ჩვენ აშკარად გავიგონეთ ეს სიტყვები. გავიგონეთ ისიც, თუ დარგოელმა ყადმა, როგორ უბრძანა მურიდებს, იარაღი მოამზადეთ და ტყვეები სათითაოდ ამოიყვანეთო. ისე სჩანდა, რომ ჩვენი განკითხვის ჟამმა დაჰკრა, მაგრამ ამ თავადაც სიკვდილმა გვიბრალა და გვერდი აგვიხვია.

ჩვენდა საბედნიეროდ, ამ დროს მურიდებთან მოვიდა ერთი ყაზიყუმუხელი ლტოლვილი, რომელმაც გადასწყვიტა ჩვენი ბედი. როდესაც მან გაიგო მათი განზრახვა ჩვენს შესახებ, წამოდგა და ასეთი წინადადებით მიმართა:

— აბა, რაზე ტყვილა-უბრალოდ უნდა დახოცოთ ეს ტყვეები? განა უკეთესი არ იქნება ჩვენს მლოცველებს ვუთხრათ და ბამბის ტილოს ერთ ძაფში მაგათ ანდიის იქითაც კი გადაიყვანენ. თუ შამილი მოისურვებს მათ გაყიდვას, გაჰყიდის კიდეც და ერთი ათჯერ მეტს აიღებს, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია.

მურიდებმა დაიჯერეს ეს რჩევა, უბრძანეს ტყვეები ხაროდან ამოვიყვანეთო და მლოცველებს თან გაგვაყოლეს სოფელ ანდისაკენ.

ჰაერზე რომ ამოგვიყვანეს, ჩვენი თვალით დავინახეთ იჩქერის ტყეში ავარდნილი კვამლის ღრუბლები. ზარბაზნის ხმა უფრო მკაფიოდ ისმოდა. თოფების ერთბაში სროლა გრიალით მიჯრითობდა მთებისკენ.

ჩვენ მოველით ანდიაში. ამ სოფლის მოსახლეობა, გარდა ორმოციოდე კაცისა, რომლებიც სასტიკი მურიდები იყვნენ, ყველანი სიხარულით მოელოდნენ რუსების მოსვლას. მაგრამ ისინიც გულგატეხილები იყვნენ, გენერალმა გრაბემ სალაშქროდ ძალიან ცუდი მხარე აირჩია და ძნელად, რომ დარგომდე მოაღწიოსო.

ანდიელებს **ორი მიზეზის** გამო ენატრებოდათ რუსების გამარჯვება: **ერთი ის იყო**, რომ ანდიელები ძალიან ღარიბები არიან და უძნელდებათ ცხოვრების წყაროს აღმოჩენა, რადგანაც მათ ვეღარ შეეძლოთ გაესაღებინათ თავიანთი ნაბდები მას შემდეგ, რაც მათ აუკრძალეს იმ ადგილებში მისვლა, სადაც რუსის ჯარმა ფეხი შესდგა. ანდიელებს არასოდეს ხვნა-თესვა არ აინტერესებდათ. მათი საქმიანობა მენაბდეობა იყო. მათი გაკეთებული ნაბადი მთელს კავკასიაში იყო განთქმული. თითო ნაბადში იღებდნენ 5, 10, ხშირად 20 მანეთს, როგორც დაღესტანში, თბილისში, ისე მთელს საქართველოში. აქ ისინი მცირე ფასებში იძენდნენ ბამბეულ ქსოვილებს და სხვა ნივთებს, რაც საჭიროა მთიელებისთვის, გადაჰყიდდნენ ხოლმე დაღესტანში, ან მთებში და ორჯერ-სამჯერ მეტ ფასს იღებდნენ, ვიდრე თითონ ჰქონდათ გაღებული. აი ამ ფულით ისინი იმარაგებდნენ წლიურ სარჩოს. ამასთან ერთად ისინი აუმჯობესებდნენ და ავრცელებდნენ მეცხვარეობას, როგორც თავიანთი შემოსავლის პირველ წყაროს. ეხლა კი მათი გასაღება შეუძლებელი ხდება, მიწის დამუშავებაც აკრძალული აქვთ და დიდ გაჭირვებას განიცდიან.

მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ მათ სძულთ შამილი, რომელიც სასტიკად ეპყრობა მათ, ნაკლებად ენდობა და ამ პატივცემული საზოგადოების წევრები ძალიან ბლომად დასაჯა სიკვდილით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ სიმკაცრისთვის სძულთ იმამი, იმავე დროს ისინი შიშით ძრწიან და ვერაფერი ვერ უღონიათ. მათ აიმედებთ მხოლოდ რუსების მოსვლა, რომ მათ დაამხონ შამილის ბატონობა და ეს ხალხი იხსნან საცოდავ მდგომარეობიდან.

როდესაც გენერალ გრაბეს უკან დახევის ამბავი გაიგეს, ისინი მოვიდნენ ჩვენთან და ნაღვლიანად გვეუბნებიან:

— ჩვენ თქვენების მოსვლის მოლოდინში ვიყავით, რომ გამოჩენილიყვნენ, მათ ჩვენ თქვენთან ერთად პურმარილით შევხვდებოდით. გარემოებაც ხელს გვიწყობდა: შამილი აქ არ არის და წინააღმდეგობას ვერვინ გაგვიწევდა. ალბათ, გენერალს მთლად არ ჰქონდა ჩვენი იმედი: რუსები რომ თუნდა ოდნავად მოახლოვებოდნენ დარგოს, ჩვენ გავიდოდით შესაგებებლად, როგორც მოძმე და მეგობრები. მაგრამ ვინ უთავდებებ-

და მათ ჩვენს გამო. ხომ შეიძლებოდა, რომ ჩვენც შევხვედროდით მათ საშინელს ხეობაში, რომელიც დარგოს ქედიდან მიიმართება, უცბად იარაღზე გაგვეკრა ხელი და დაგვეწყო ხოცვა-ჟლეტა. მაშინ ხომ ისინი საკუთარ სისხლში ჩაიხრჩობოდნენ. ვთქვათ, ხუთი-ექვსი ათასი კაცი დაეკარგათ და მოესწროთ ხეობის დაჭერა. ამასობაში შამილი მოასწრებდა მოსვლას, მწვერვალებიდან ნიშანში ამოიღებდა რუსებს, ზურგიდან ჩეჩნებს მოგისევდათ და ერთსაც არ გაგიშვებდათ ცოცხალს, რომ თქვენი დაღუპვის ამბავი წაგეღოთ სადმე. რუსებს ჩერქეზიდან უნდა დაეწყოთ შეტევა დანულისა, არღუნისა და მეხლეთის მიმართულებით. იქ მათ არავითარი დაბრკოლება არ გადაეღობებოდათ წინ, არც ბუნებრივი და არც მოსახლეობის მხრივ. დარგი და ჩეჩნეთი სრულიად უბრძოლველად დაემორჩილებოდათ.

ეს სიტყვები ღრმად აღიბეჭდა ჩემს მახსოვრობაში და შემდეგში, გაქცევის დროს, ან როდესაც გუმბეთში ვიმყოფებოდი, და ბოლოს განთავისუფლების შემდეგ, მე დიდის ყურადღებით დავათვალიერე ყველა გზა და ადგილმდებარეობა, მაშინ დავრწმუნდი, რომ **გუმბეთისა და ანდიის აღება სრულებით ადვილი საქმე ყოფილა, რომ ჩეჩნეთს არ შეუძლიან დიდხანს გასძლოს, როდესაც ანდიიდან მას თავზე დავყივლებთ მწვერვალებით; რომ თლოხი, თეხნუწის საზოგადოების წევრი, აუხვახი და ბოთლუხი, მთელი სივრცე ავარის ქოისუს მარცხენა ნაპირამდე ხელის გაქნევაზე დაგვემორჩილება, სრულიად პატარა მსხვერპლის გაღებით.** მნიშვნელოვან ადგილებს დავიკავებდით და მაშინ, მართლაც, მტკიცედ მოვიკიდებდით ფეხს მთელს დაღესტანში.

გენერალ გრაბეს უკან დახევის შემდეგ, ჩვენ კვლავ დარგოში გადაგვრეკეს და ძველ ხაროში ჩაგვყარეს. რამდენიმე დღის შემდეგ მოვიდა თვითონ შამილიც, რომელიც მოეშურებოდა ჩეჩნეთისა და თავის ოჯახის დასახმარებლად. მას ასე ეგონა, თითქოს ერთიც და მეორეც, ისევ სახიფათო მდგომარეობაში იყვნენ ჩაცვენილნი. როდესაც რუსები აღარ დახვედრიან დარგოში, შამილი ნაწყენი დარჩა, ყაზიყუმუხის საქმეებს რად ჩამომაშორეთო.

— იქ, — ამბობდა ის, — რუსებს ზურგში მოვექცეოდი, მოვუსპობდი ყველანაირ საშუალებას, რომ მათთვის სურსათი არ მიეშველებინათ და სულ შიმშილით ამოვხოცდი.

მაგრამ შამილს ამ წყენამ მალე გაუარა, დაცხრა და ძალიან ტკბილად მიუალერსა ორივე ნაიბს — შუემბის და ულუ-ბეის, რომელთაც მამაცობისა და ვაჟკაცობისთავის, იჩქერიის ტყეში რუსების ამოჟლეტისათვის, აჩუქა მათ ჩვენი ორი დროშა, რომლებიც ხელთ იგდო მან ყაზიყუმუხში ასლან-ხანის მეუღლისაგან. ასლან-ხანს თავის დროზე ეს დროშები მიეღო ძღვნად ერევნის გრაფ პასკევიჩისგან, რადგანაც სპარსეთთან ომიანობის დროს ამ ხანმა მთელს დაღესტანში მშვიდობიანობა არ დაარღვია.

დარგოში მისვლისთანავე, ჩვენ დაუღალავად შევუდექით ახალ საშუალებათა გამონახვას, რომ ტყვეობიდან როგორმე თავი დაგვეღწია. საბედნიეროდ ის ახალგაზრდა ჩეჩენი, რომელიც ჩვენთან ერთად იჯდა, ანდიიდან დაბრუნებისას აქ აღარ დაგვხვედრია. შეუძლებელი იყო მასზე რაიმე იმედი დაგვემყარებინა, არც იმაში, რომ მონაწილეობა მიეღო ჩვენს გაქცევაში და არც იმაში, რომ ყოველ შემთხვევაში ის ჩუმად იქნებოდა. ჩვენ გადავწყვიტეთ გაქცევა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, რომ ჯერ ამ ხაროდან ამოვსულიყავით. ამისათვის კი მხოლოდ ერთი საშუალება იყო, — როგორმე გვერდითა კედელი გაგვერღვია. ვახსენეთ ღმერთი და შევუდექით საქმიანობას.

ანდიიდან დაბრუნებისას გზად ერთი ხმელი, მაგარი და წვეტიანი ჯოხი ვიპოვეთ, ეს ჯოხი ფარულად შევმალე კალთების ქვეშ და ხაროში ისე ჩავიტანე, რომ ყარაულებს არ გაუგიათ. ხაროს ჭერში ეს ჯოხი შევარჭე სანდო ადგილას. — აი, ამ ჯოხის წყალობით გავთხარეთ კედელი. მუშაობა მარჯვედ მიდიოდა. გამოღებულ მიწას იქვე ხაროს ძირზე ვფენდით. რამდენიმე დღის შემდეგ ხვრელი უკვე მზად იყო, ორი-სამი საჟენის მანძილზე, სიმაღლით კი იმოდენა იყო, რომ ხოხვით შეგვძლებოდა გაცოცება. ჩვენსა და თავისუფლებას შუა მხოლოდ პატარა იაგთაღიღა დაგვრჩენოდა.

რომ ყარაულები არ მიხვედრილიყვნენ ჩვენს განზრახვას, როდესაც ზოგჯერ ჩვენს ხაროს ათვალიერებდნენ ხოლმე, ხვრელის თავის დასაფარავად ლასტი დავწანით იმ ფიჩხისაგან, რომელზეც ჩეჩენს ეძინა ხოლმე, შემდეგ ეს ლასტი გავლესეთ თიხით, რომელსაც ვზილავდით ჩვენთვის სასმელად ჩამოშვებულ წყლით.

ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა როგორ და საით გავქცეულიყავით, რომ ჩვენს გარნიზონებამდე მიგვეღწია. აქ ჩვენს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი: ზოგნი ამბობდნენ, უმჯობესია გერზელ აულისკენ გავიქცეთო; ზოგი კიდევ ვნეზაპნოის მიმართულებას ამჯობინებდნენ, მე კი უფრო შორეული გზა ავირჩიე, რომელიც ანდიისა და გუმბეთის მთებს უხვევდნენ. მე ეს აზრი იმიტომ დამებადა, რომ ჩვენი ყარაულები, როდესაც ჩვენი გაქცევის ამბავს გაიგებდნენ, პირველ ყოვლისა იმ ორ პატარა გზას გაჰყვებოდნენ, რომლებსაც ჩვენების სიმაგრეებამდე მიჰყავდათ. ამნაირად, ჩვენ სამ ჯგუფად გავიყავით. მე მხარი დამიჭირა ზაგორსკიმ და ერთმა ყაზახმა. გერზელ აულის მიმართულება აირჩია ა-მ, მას შეუერთდა პოდპოლკოვნიკი ს-, თავისი ორი მსახურით, ორი ბაზახი, სომეხი და ერთიც ქართველი. ყაზახმა შჩედრინმა ორი თავისი ამხანაგით ვნეზაპნოის მიმართულება აირჩია. ამაზე შეთანხმების შემდეგ ჩვენ წილი ვყარეთ, ვინ გავსულიყავით ხაროდან პირველად: წილი მე მხვდა და ჩემს თანამოაზრეებს. ყველაფერი მზად იყო. ჩვენ მხოლოდ შესაფერ შემთხვევას ველოდით.

დასასრული შემდეგ ნომერში

ალექსანდრე დიუმა და მისი მოგზაურობის წიგნი «კავკასია»

გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა-მამა (1802-1870) არა მარტო ნაყოფიერი რომანისტი და დრამატურგი იყო, არამედ ცნობისმოყვარე მოგზაურიც. მან დატოვა შთაბეჭდილებათა საყურადღებო წიგნი კავკასიის შესახებ. ალ. დიუმა საქართველოში ჩამოვიდა 60-იან წლებში, სახელდობრ, 1858 წლის დამლევს, როდესაც ბატონყმობა ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული, ხოლო კავკასიის ომის ფინალური აქტი ეს-ესაა უნდა დამთავრებულიყო (შამილი დაატყვევეს გუნიბში 1859წ. 23 აგვისტოს). დიუმას წიგნში მკრთალად აისახა ეპოქის სოციალური და პოლიტიკური (უკეთ — სამხედრო-ბიუროკრატიული) ატმოსფერო. მწერლის დღიურის ის ნაწილი, რომელიც ყიზლარიდან თბილისამდე მგზავრობის აღწერას შეიცავს, დაახლოებით გვაგრძნობინებს კავკასიური მიურიდიზმის ცალკეულ მომენტებსა და ეპიზოდებს. ამასთან, დიუმა აგვიწერს სტანიცებში დაბანაკებული პოლკების ცხოვრების საინტერესო შემთხვევებს და ა. შ.
ქვემოთ გთავაზობთ ამ მოგზაურობიდან რამდენიმე ფრაგმენტს.

თავი VII
რუსები და მთიულები

ჩერვლიონაიდან დაბრუნების მეორე დღეს, ვიდრე პოლკოვნიკ შატოვთან წავიდოდი, ჩვენი მეეტლეების დასაძახებლად კაცი გავგზავნე.მუანე მართალი გამოდგა. ისინი ახლა ოცდაათ მანეთს თხოულობდნენ, იმ საბაბით, რომ სიცივემ იმატაო. მე ფაფახი დავიხურე, შემოვირტყი ხანჯალი, ეს აუცილებელი თანამგზავრი ყოველი სეირნობისა, და პოლკოვნიკ შატოვს ვესტუმრე. ავუხსენი, ხასავ-იურთში მისასვლელად ექვსი ცხენი მჭირდება-მეთქი, იქ კი, თავადი მირსკი რომელთანაც რეკომინდირებული ვიყავი, შეეცდებოდა, ჩემთვის ჩიურ-იურთამდემისვლის საშუალება გამოენახა, სადაც, ალბათ, საფოსტო ცხენებს ვიშოვიდი. იმედი არ გამიცრუვდა:პოლკოვნიკმა მთელი თავისი საჯინიბოშემომთავაზა. გარდა ამისა, მან საუზმეზე დამპატიჟა და თავისი პატარა ვაჟიშვილი გამაცნო. საუზმეზე საუბარი იარაღზე ჩამოვარდა. პოლკოვნიკმა შემატყო, რომ იარაღის დიდი მოყვარული ვიყავი და შემოიტანა ვერცხლით მოჭედილი ჩეჩნური პისტოლეტი, რომელსაც, გარდა მატერიალური ფასისა, ისტორიული ღირებულებაც ჰქონდა. იგი ყოფილიყო კუთვნილება ნაიბის — მელუქმ-რაჯასი, რომელიც მოკლული იქნა თავად შამისოვის მიერ ლეკების ხაზზე. სანამ ჩვენ ვსაუზმობდით, პოლკოვნიკმა ექვსი ცხენი გააგზავნა ჩვენი ტარანტასისა და ოთხთვალას მოსაყვანად და განკარგულება გასცა, შეედგინათ ბადრაგი თხუთმეტი კაცის შემადგენლობით, რომელთაგან ხუთი დონის კაზაკი უნდა ყოფილიყო, ათი კი შთამომავლობით კაზაკი.

***

პოლკოვნიკსა და მის ცოლშვილს დიდი მადლობით დავემშვიდობეთ. რაც უფრო წინ მივიწევდით კავკასიისკენ, მით უფრო ფართო და თავაზიანი ხდებოდა რუსული სტუმართმოყვარეობა. პოლკოვნიკმა გვკითხა, იარაღი თუ გაქვთ წესრიგშიო. შემდეგ ჩვენს ამალას პატარა დარიგება მისცა და გზას გავუდექით. წინ მიგვიძღოდა ხუთი დონელი კაზაკი, ათი შთამომავლობითი კაზაკი კი გვერდით მოყებოდა ეტლებს. უგუნებოდ გვაცილებდნენ გაწბილებული მეეტლეები.ახალგაზრდა ოფიცერმა თავისი „კიბიტკა“ ტარანტასსა და ოთხთვალას შუა მოათავსა, თვითონ კი ტარანტასში წინა სკამზე დაჯდა კალინოს გვერდით. Aმრიგად, ჩვენს შემადგენლობას მიემატა არა მარტო ერთი მამაცი ოფიცერი, არამედ საუცხოო თანამგზავრიც, თუ არ ჩვთვლით მწვადის ჩინებულ ოსტატს — სომეხ მზარეულს.

***

შჩუკოვიას უკანასკნელი სახლიდან ხუთასი ნაბიჯი რომ გავიარეთ, უკანასკნელად გადაგვიღობა გზა უკვდავმა თერგმა,რომელიც აქ მიჯნავდა რუსეთის ქვეშერვდომ მიწა-წყალს.მეორე მხარეს მტრულად განწყობილი ქვეყანა იწყებოდა.იმ ხიდს გადაღმა, ჩვენ წინ რომ გაჭიმულიყო,ყველა შემხვედრს ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე შეეძლო ტყვია ეთავაზა, ამის გამო, ხიდის თავში, დამრეც ბექობზე გრაფი ვორონცოვის მიერ აგებული საგუშაგო იდგა, სადაც ჯიხურში მუდმივად დარაჯობდა ერთი კაცი.ამ ადგილიდან უბადრაგოთ წასვლა სახიფათოა.თუ მოგზაური მნიშვნელოვანი პერსონაა, მას თან ამალა უნდა ახლდეს, ხოლო თუ ჩვეულებრივი მოკვდავია, უნ-

და ხელსაყრელ შემთხვევას უცადოს, რომ ამალას შეუერთდეს.

ხიდის გადაღმა საზღვრის ხაზად ყუბანი და თერგი ითვლება, ესეიგი, ორი დიდი მდინარე, რომლებიც კავკასიონის ჩრდილოეთი კალთიდან მომდინარეობენ.ეს მდინარეები თითქმის ერთი და იმავე სათავიდან გამოდიან, გავაკების შემდეგ ერთმანეთს შორდებიან და თერგი ერთვის კასპიის ზღვას, ყუბანი კი — შავ ზღვას.

წარმოიდგინეთ, მთაგრეხილის გასწვრივ გაჭიმული უზარმაზარი კავი, რომელიც სათავეს იღებს მთა ყუბანის ძირში და მთავრდება აღმოსავლეთით — ყიზლარში, დასავლეთით კი —ტამანში.ამ ორმაგ ხაზზე, ყოველოთხ ლიეზე აშენებულია ფორტები.შუაში, ესე იგი ორმაგი კავის ძირში, რომელსაც ორი მდინარე ქმნის, მდებარეობს დარიალის ხეობა. შემდეგ, იმის მიხედვით, თუ როგორი წარმატება აქვს გამარჯვებას, პატარ-პატარა ფორტები სცილდებიან დიდ სიმაგრეებს და წინ იწევენ. ხოლო პატარა ფორტებს ეთიშებიან პოსტები და ისინიც წინ იწევენ.ბოლოს, პოსტებს შორდებიან საგუშაგოები და ქმნიან სწორედ იმ ნაკლებ საიმედო საზღვარს რუსეთის სამფლობელოსი, რომელსაც ყოველ წუთში მთიელთა რბევა სისხლის ტალღებით ფარავს.

ამგვარად, მოყოლებული შემახიდან, სადაც 1812 წელს ლეკებმა სამასი სოვდაგარი მოიტაცეს, ვიდრე ყიზლარამდე, სადაც 1831 წელს ყაზი-მოლამ შვიდი ათას კაცს მოჰკვეთა თავი, საჟენიც კი არ არსებობს ამ უზარმაზარ სარტყელზე, რომელსაც სისხლის ლაქა არ აჩნდეს.

თუ თქვენ მიერ გავლილ ადგილზე, სადაც ადვილი მოსალოდნელია, თქვენც დატოვოთ თავი, თათრები არიან დახოცილნი, დაინახავთ ბრტყელ მოგრძო ქვებს ზემო ნაწილში ამოკვეთილ ჩალმითა და არაბული წარწერებით, რომლებშიც ამოიკითხავთ მიცვალებულის ხოტბასა და მოწოდებას მისი ოჯახის სისხლის აღებისათვის. მაგრამ თუ ესენი არიან ქრისტიანები, მაშინ აქ აღმართულია ჯვარი, სიმბოლო მიტევებისა და სისხლის დავიწყებისა. ქრისტიანთა ჯვრები და თათართა საფლავის ლოდები ისე ხშირად გვხვდება ამ გზაზე, რომ ყიზლარიდან დაბრუნებამდე თითქოს ერთ დიდ სასაფლაოზე მიდიხარ. არის ადგილები, სადაც მათ ვერ შეხვდები, მაგალითად ხასავიურთში და ჩიურ-იურთში. როგორც ჩანს, ეს ადგილები იმდენად სახიფათო ყოფილა, რომ მიცვალებულთა დამარხვას და ზედ ქვისა თუ ჯვრის დადგმას ვერ ბედავდნენ. აქ გვამებს უტოვებდნენ ტურებს, არწივებსა და სვავებს. ამ ადგილებში ცხენებისა და აქლემების ჩონჩხთა გვერდით თეთრად გამოიყურებოდა ადამინთა ძვლები, მაგრამ, ვინაიდან თავი, ეს დამახასიათებელი ნიშანი მოაზროვნე ცხოველისა,მკვლელის მიერ წაღებულია, მხოლოდ სახელდახელო გასინჯვით თუ ვიტყვით, რის ძვლებთან გვაქვს საქმე.

***

მთიელთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი კომერციის ტყვეებით ვაჭრობაა. ყაბარდოული ხმლები, ჩერქეზული ნაბადები, ჩეჩნური ხანჯლები და ლეკური მაუდი მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვან მრეწველობას წარმოადგენს მათთვის, ისინი ტყვეს იქამდის აჩერებენ, მანამ პატრონი გამოსასყიდს არ გაუგზავნის. თუ მოთმინებიდან გამოსული ტყვე შეეცადა თავის დახსნას, მთიელებს აქვთ ცოტად თუ ბევრად უტყუარი საშუალებები, რომლებითაც ამ ცდის განმეორებას სპობენ. თუ ტყვის ოჯახმა გამოსყიდვაზე უარი თქვა ან არ არის საკმარისად მდიდარი, რომ მთიელთა მოთხოვნა დააკმაყოფილოს, ტყვეები მიჰყავთ ტრაპიზონში, სადაც მონებივით ყიდიან. ამიტომ არის, რომ ორივე მხრიდან ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჭეშმარიტად საგმირო საქმეები ხდება. ყველა საფოსტო სადგურში შეხვდებით სურათს, რომელიც ასახავს რომელიმე საბრძოლო გმირობას, ისეთივე პოპულარულს რუსეთში, როგორც მაზაგრანის დაცვაა საფრანგეთში. ეს სურათი გვიხატავს პოლკოვნიკს, რომელიც ასიოდე ჯარისკაცით დახოცილ ცხენებს ამოფარებული თავს იცავს ხუთასი მთიელის წინააღმდეგ.

***

გენერალი სუსლოვი, რომელიც იმ დროს პოდპოლკოვნიკის ხარისხში იმყოფებოდა, სოფელ ჩერვლიონაიაში იყო. 1846 წლის 24 მაისს მას შეატყობინეს, რომ ათას ხუთასი კაცისაგან შემდგარი პოლკი მთებიდან ჩამოვიდა და ხელში ჩაიგდო აკბულატ-იურთი, რაც სიტყვასიტყვით რკინის ხანჯლების სოფელს ნიშნავს. მარცხენა ფლანგის მთავარსარდალი, გენერალი ფრეიტაგი იმყოფებოდა გენერალ ერმოლოვის მიერ აგებულ ფორტ გროზნაიაში. ჩვეულებრივად, როცა მთიელები მრავალრიცხოვანი რაზმით ჩამოდიან, კაზაკთა პატარა პოსტები მათ არ უწევენ წინააღმდეგობას. ისინი ამას ატყობინებენ გენე-



რალს და მის ბრძანებას ელიან. სუსლოვს გროზნაიადან მოუვიდა ბრძანება, რომ ის ჩეჩნების შესახვედრად წასულიყო, თან ჰპირდებოდნენ, დაგეხმარებითო, ორ ბატალიონ ქვეით ჯარსა და ორ ზარბაზანს გამოგიგზავნითო. ბრძანება რომ მოვიდა, უკვე შეკრებილი იყო სამოცდაათი ცხენი და კაზაკებიც მზად იყვნენ.

პოდპოლკოვნიკი სამოცდაათი კაზაკით გზას გაუდგა. მაგრამ ოცდათერთმეტ ვერსზე ისე სწრაფად აჭენეს ცხენები, რომ ამირადიურთის ბორანთან მხოლოდ ოცდაათი საუკეთესო მხედარი მივიდა. დანარჩენები გზაზე ჩამორჩნენ. აქ მათ შეუერთდა შვიდი დონელი და ორმოცი შთამომავლობით კაზაკი. მტერს უკვე დაეტოვებინა სოფელი აკბულატიურთი და ტყვეები თან წაეყვანა. როცა იგი ბორანიდან ერთი ვერსის მანძილზე დადგა, რუსებს თერგის მხრიდან ცეცხლი დაუშინეს ხუთი მრავალკალიბრიანი იარაღიდან. პოდპოლკოვნიკი ბორანზე გადავიდა ოთხმოცდათოთხმეტი კაცით, რომელთაგან შვიდი ოფიცერი იყო, ხოლო მათ შორის მისი ადიუტანტი ფედიუშკინი და მისი უახლოესი მეგობარი მათორი კამკოვი იყვნენ. მათ თერგის გადალახვა უმთავრესად იმ გარემოებამ გადაწყვეტინათ, რომ კურნისკის მხრიდან ზარბაზნის სროლა გაიგონეს და გაიფიქრეს, ქვეითი ჯარის ორი ბატალიონი ისვრის ნიშნის მისაცემადო. ცოტა ხანში კანონადა შეწყდა, მაგრამ პოდპოლკოვნიკი სუსლოვი თავისი კაზაკებით მაინც უკან დაედევნა ჩეჩენთა ლაშქარს. შემდეგ, რა დაინახა, რომ აღარც ზარბაზნის ხმა ისმოდა და აღარც ბოლი ჩანდა, მან ოცდახუთი კაცი გააგზავნა ერთ პატარა ბორცვზე, რომელიც მინდორს გადაჰყურებდა, რათა დაენახათ, რა ხდებოდა ჰორიზონტზე.

ჩეჩნებმა, მზვერავები რომ დაინახეს გორაკზე, ოთხმოცი კაცი გააგზავნეს, დაატყვევეს ისინი და თავიანთი ოფიცრით მთავარ რაზმს მიჰგვარეს. ჩეჩნებმა დაინახეს, თუ არა მცირერიცხოვან მტერთან ჰქონდათ საქმე და ეს ამბავი თავისიანებს შეატყობინეს. გადაწყდა, რომ ამ ერთ მუჭა რუსებს გაანადგურებენ, და ჩეჩნების სარდალმა ბრძანა უკან შემოტრიალება და ველის გათავისუფლება ამ გაუფრთხილებელი თუ მეტისმეტად ცნობისმოყვარე რაზმისაგან.

პოდპოლკოვნოკმა სუსლოვმა დაინახა, რომ მათკენ მიემართებოდა მტრის ურიცხვი ლაშქარი. მან დაუყონებლივ პატარა სამხედრო თათბირი მოაწყო. **ერთი წუთითაც არ უფიქრიათ რუსებს უკან დახევა, მაგრამ ხომ უნდა დაფიქრებულიყვნენ იმაზე, თუ როგორ დახოცილიყო ოთხმოცდათოთხმეტი კაცი ათას ხუთას კაცთან შეტაკებაში?!** პოდპოლკოვნიკმა და ადიუტანტმა გადაწყვიტეს შეექმნათ დიდი რკალი ცხენებისაგან, ადამიანები ცხენებს უკან დაეყენებინათ და ესროლათ უნაგირზე დაყრდნობით, რათა სროლის მიმართულება სწორი ყოფილიყო. ეს მანევრი რომ შეასრულეს, პოდპოლკოვნიკმა თავის კაცებს უბრძანა:

— ესროლეთ მხოლოდ ორმოცდაათი ნაბიჯიდან!

ჩეჩნები გრიგალივით მოდიოდნენ. როგორც კი ორმოცდაათ ნაბიჯზე მოახლოვდნენ, პოლკოვნიკმა იყვირა:

— ცეცხლი!

კაზაკებმა ბრძანება შეასრულეს. პატარა ჯგუფი დაფარა ბოლის ღრუბელმა, რომელიც თანდათან გაიფანტა.ვიდრე ჰაერი არ გაიწმინდა, შედეგის დანახვა ძნელი იყო,გაიფანტა თუ არა ბოლი, კაზაკებმა დაინახეს, რომ მთლიანად გარშემორტყმულები იყვნენ, გარდა ერთი მხარისა. ასე სჩვევიათ ჩეჩნებს: ისინი მუდამ უტოვებენ მტერს უკან დასახევს, რათა მთლიანად იმედიარ გაუწყვიტონ. შამაგიეროდ, ისინი მუდამ დარწმუნებულები არიან, რომ თავიანთი შესანიშნავი ცხენებით გაქცეულებს დაეწევიან და უწესრიგოდ არეულებს ხელში იოლად ჩაიგდებენ. არც ერთი კაზაკი არ განძრეულა, რადგანაც ღია ადგილი უკვე ნაცნობი ფანდი იყო. ამ გულად ჯარისკაცებს თავის შველა შეეძლოთ, მაგრამ მაინც არც ერთს არ უფიქრია გაქცევა.

დაიწყო ორივე მხრიდან ძლიერი სროლა, მაგრამ რუსებს იცავდა ცხენების საფარი. და მათ მსხვერპლი ნაკლები ჰყავდათ. საათ-ნახევრის შემდეგ ფეხზე იყო მხოლოდ ოცი ცხენი. რკალი თანდათან დავიწროვდა, მაგრამ შიგ მომწყვდეული ადამიანები მაინც განაგრძობდნენ სროლას. მაშინ ჩეჩნები კაზაკებს ოცდახუთ ნაბიჯზე მიუცოცდნენ და ცხენების ფეხებიდან დაუწყეს სროლა. ადიუტანტი ფედიუშკინი ბარძაყში დაიჭრა. სუსლოვმა ეს შეამჩნია და უთხრა:

— ნუ გეშინია, მე მომეყრდენ, ცხენს მიეყრდენ, რასაც და ვისაც შეგიძლია, მიეყრდენ, ოღონდ კი ნუ დაეცემი, მამაც ჯარისკაცად გიცნობენ და, მოკლულად რომ ჩაგთვალონ, გულს გაიტეხენ.

— დამშვიდებული იყავით, არ დავეცემი, — მიუგო დაჭრილმა.

მართლაც, დიდხანს გაძლო ფეხზე. ადიუტანტმა ფედიუშკინმა მხოლოდ თავის თავში იპოვა საყრდენი, რაც მისი სიმამაცე იყო.

ბრძოლის დაწყებისთანავე პოდპოლკოვნიკ სუსლოვს თოფში ტყვია მოახვედრეს. იარაღი ხელში შეატყდა. ბრძოლის ორი საათის შემდეგ თითო მებრძოლს ორ ვაზნაზე მეტი აღარ რჩებოდა. იყო კიდევ ორმოცი ვაზნა, რომელთაც პოდპოლკოვნიკი სათადარიგოდ ინახავდა. მწყობრიდან გამოსულ დახოცილებსა და დაჭრილებს ვაზნები მოხსნეს და ხელახლა გაინაწილეს. რაღაც სასწაულის წყალობით, არც პოდპოლკოვნიკი სუსლოვი და არც მაიორი კანკოვი არ დაჭრილან. **ჩეჩნები მძვინვარებდნენ, რომ ვერ მოახერხეს ამ ერთი მუჭა რუსების განადგურება. ისინი მიბრჯნით მიადგნენ ცოცხალ ზღუდეს, ცხენებს აღვირში სწვდნენ და შეეცადნენ, გაერღვიათ ცოცხალი, გადაულახავი ჯაჭვის წრე, რომელსაც ცხენები ქმნიდნენ.** ერთმა ურიადნიკმა, გვარად ვოლკოვმა, ერთ

ჩეჩენს ხმლით ხელი მოჰკვეთა. პოდპოლკოვნიკ სუსლოვს თავი აღარ ახსოვდა, იგი იცავდა ცხენს, რომელიც ძალიან უყვარდა. პირუტყვი შვიდ ადგილას იყო დაჭრილი და პოდპოლკოვნიკი მას მარცხენა ხელით თავს უჭერდა, მარჯვენათი კი თავისი შემზარავი ხმლით იგერიებდა ყველას, ვინც უახლოვდებოდა. ჭეშმარიტად, ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო იარაღი, რომლებიც მეთექვსმეტე საუკუნეში ვენეციელებმა კავკასიაში შემოიტანეს.

პოდპოლკოვნიკს ოთხმოცდათოთხმეტი კაციდან ხუთი მოკლული ჰყავდა და სამოცდაოთხი დაჭრილი, რომლებიც თვითონვე იხვევდნენ ჭრილობებს პერანგის ნახევებით და, თუ ოდნავ მაინც შეეძლოთ ბრძოლის გაგრძელება, მტერს არ ეპუებოდნენ. ამ უმაგალითო ბრძოლის დაწყებიდან ორი საათის შემდეგ კურინსკის მხრიდან ზარბაზნის ხმა გაისმა. ამასობაში ამირ-ადიურთის ბორანს გაღმა დარჩენილ კაზაკებს სროლის ხმა გაეგონათ და მიმხვდარიყვნენ, რომ მათი ნაწილი წინააღმდეგობას უწევდა ჩეჩნებს. ისინი შეუერთდნენ ამხანაგებს და ჩადგნენ ცეცხლის რკალში. ზარბაზანი გაესროლა გენერალ მიდელის რაზმს, რომელსაც მიმართულება არეოდა.

— აბა, მამაცად, ბიჭებო, აგერ ორივე მხრიდან დახმარება მოგვივიდა!

დახმარება მართლაც მოვიდა და დროც იყო. ოთხმოცდათოთხმეტი კაციდან სამოცდაცხრა წყობიდან იყო გამოსული. როგორც კი ჩეჩნებმა გენერალ მიდელის რაზმს მოჰკრეს თვალი და ზარბაზნების ხმა გაიგონეს, უკანასკნელად მისცეს ბათქი და სვავების გუნდივით თავის მთებს შეაფარეს თავი. გენერალ მიდელს კაზაკები სისხლიდან დაცლილები დახვდნენ, საჭურველიც გათავებულიყო. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს და ცოტა შეისვენეს. კაზაკებმა შუბებისაგან საკაცეები გააკეთეს, მძიმეთ დაჭრილებისთვის და ჩერვლიონაიასკენ გასწიეს. გენერლის საყვარელ თეთრ ცხენს ცამეტი ჭრილობა ჰქონდა მიღებული და ის ძლივს მოიყვანეს რამდენიმე დღის შემდეგ. მეორე დღეს ხუთი დაჭრილი გარდაიცვალა. ცხენი მხოლოდ სამი კვირისშემდეგ მოკვდა. **პოლკოვნიკმა სუსლოვმა ამ შესანიშნავი ბრძოლისთვის წმიდა გიორგის ჯვარი მიიღო, რომელსაც რუსეთში დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული.** კავკასიის მმართველმა გრაფმა ვორონცოვმა კი წერილი გაუგზავნა:

რუსეთის ჯარსა და ჩერქეზებს შორის ბრძოლა. გრ. გაგარინის ნახატი

„ძვირფასო ალექსანდარ ალექსეევიჩ!

ნება მიბოძეთ, მოგილოცოთ წმიდა გიორგის ჯვარი და გთხოვოთ, ვიდრე თქვენი ჯვარი მოვიდოდეს პეტერბურგიდან, ჩემი ინებოთ. გენერალ ფრეიტაგის რაპორტმა იმის შესახებ, თუ როგორ გმირულად იბრძოდით თქვენ გრებენსკოის კაზაკებით, დიდი სიხარული და აღტაცება გამოიწვია თბილისში. მარტო ის რად ღირს, რომ წმიდა გიორგის კავალრები ყველანი ერთხმად თხოულობენ თქვენთვის ამ ორდენს, რომელსაც ესოდენი პატივისცემა აქვს რუსულ არმიაში. მე შევეცდები დავაჯილდოებინო ყველა, ვინც თქვენთან არის, მეტადრე მხედველობაში მყავს პატივსაცემი მაიორი კამკოვიდა ა.შ.“

***

ეს დეტალები მე ადგილზე შევაგროვე და დავწერე. ავძვერი იმ ბორცვზეც, რომელიც იმ არემარეში ოცდაათი ვერსის მანძილზე ერთადერთი ამაღლებული ადგილია. ჩვენმა კაზაკებმა, რომელნიც ამ ბრწყინვალე ბრძოლის მოგონებას რელიგიური სასოებით ინახავდნენ, მაჩვენეს ამ მეორე მაზაგრანის მოქმედების ადგილი. შემდეგში კი, როცა მთელი მარცხენა ხაზი გავიარეთ, გადავჭერით აფშერონის კონცხი ბაქოსა, შემახიასა და ცარსკიე კოლოდცის გავლით და თბილისში ჩავედით, ერთხელ საფრანგეთის კონსულ ბარონ ფინოსთან ერთად ქუჩაში მივდიოდი. ამ დროს გზა გადაგვიჭრა ერთმა ოფიცერმა, რომელსაც ბ-ნი ფინო თავაზიანად მიესალმა.

— იცით, ვის მივესალმე ამ წუთში?

— არა. საიდან მეყოლება ნაცნობები გუშინდელ ჩამოსულს?

— ო, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ კაცს იცნობთ, გვარით მაინც ეს არის ცნობილი, გენერალი სუსლოვი.

— როგორ, შჩუკოვაიას გმირი?

— აი, ხომ ხედავთ, გცოდნიათ.

— ოღონდაც, მეცოდინება! სულ აღწერილი მაქვს მაგისი

ბრძოლები ჩეჩნებთან. ერთი მითხარით!....

— რა?

— არ შეიძლება ვესტუმროთ? მე მინდა წავუკითხო, რაც დავწერე მის შესახებ და ვთხოვო, გამისწოროს, თუ სადმე სინამდვილეს გადავუხვიე.

— დიდი სიამოვნებით. შინ დაბრუნებისას ბარათს გავუგზავნი და ვთხოვ, დაგვინიშნოს დღე და საათი.

***

ბარონმა იმავე დღეს მიიღო გენერლის პასუხი. იგი მეორე დღეს, შუადღისას გველოდა. სუსლოვი ორმოცდახუთი წლის კაცი იქნება, ტანით დაბალი და ჩაფსკვნილი, ღონიერი და სადა მანერების მქონე. მას ძალიან გაუკვირდა ჩემი აღტაცება „ესოდენ ჩვეულებრივი საქმის“ გამო. ყველაფერი სწორი იყო, მხოლოდ გენერალმა დამატებით შემახსენა ცნობა გრაფ ვორონცოვის წერილის შესახებ, რომელიც მე უკვე ხელთ მქონდა. წასვლის წინ მე, ჩემი ცუდი ჩვეულების კარნახით, მივუახლოვდი ტროფეილ იარაღს, რომელმაც ჩემი ყურადღება მიიზიდა. კედელზე ხუთი ხმალი ეკიდა.

— რომელი ხმალი გქონდათ შჩუკოვაიაში, გენერალო? — ვკითხე მე.

გენერალმა მაჩვენა ყველაზე უფრო სადა ხმალი, რომელიც ქარქაშიდან ამოვიღე. პირმა გამაკვირვა თავისი სიძველით. მასზე დაჭდეული იყო ორმაგი დევიზი, თითქმის წაშლილი დროისა თუ ხშირი ლესვისაგან: **ფიდე, სედ ცუი ვიდე**, მეორე მხარეზე კი: **პრო ფიდე ეტ პატრია**. ჩემმა არქეოლოგიურმა ცოდნამ უფლება მომცა, ამომეკითხა ლათინური სიტყვები, რომლებიც გენერალს გადავუთარგმნე.

რადგანაც თქვენ ამოიკითხეთ ის, რასაც მე ვერასოდეს შევძლებდი, — მითხრა მან, — ეს იარაღიც თქვენი უნდა იყოს.

უარი ვთქვი, არ ვიმსახურებ ამისთანა საჩუქარს-მეთქი.

— მხოლოდ გთხოვთ, მამათქვენის ხმალთან ერთად დაკიდოთ.

მეტი გზა არ იყო, უნდა მიმეღო საჩუქარი და მეც სიამოვნებით დავთანხმდი მის წაღებას.

***

მთიელებსაც აქვთ რუსებზე არანაკლებ სახელოვანი ჩანაწერები. ერთ-ერთი მათგანია **ახულგოს აღება**, რომლის დროსაც შამილს მისი ვაჟი **ჯემალ-ედინი** მოსტაცეს. შამილი თავისი ცოცხალი და ღრმა გონების წყალობით მიხვდა, თუ რაოდენ დიდი უპირატესობა აქვთ ევროპულ ფორტიპიკაციებს აზიურ სიმაგრეებზე, რომლებიც ისე წამოყუნტულან მიწაზე, რომ მხოლოდ ზარბაზნების სამიზნედ თუ გამოდგებიან. მან თავის რეზიდენციად შეარჩია აული ახულგო, რომელიც ერთი განმარტოვებული მთის წვერზე მდებარეობს. ამ მთას გარს არტყია თავბრუდამხვევი სიღრმის უფსკრულები და მიუვალი კლდეები. ამ განმარტოებულ მწვერვალზე პოლონელმა ინჟინრებმა, რომლებიც ვარშავის ომს გაჰყვნენ კავკასიაში, ისეთი ფორთიფიკაციული სისტემა ააგეს, რომ მასზე უარს არ იტყვიან არც ვობანი და არც ჰაკსო. ახულგოში, სხვათა შორის, მომარაგებული იყო დიდი რაოდენობის სანოვაგე და საომარი აღჭურვილობა.

1839 წელს გენერალმა გრაბემ გადაწყვიტა, იერიში მიეტნა შამილზე მის არწივის ბუდეში. ამ საქმეს ყველა შეუძლებლად თვლიდა. მაშინ დაადგნენ იმ გზას, რომელსაც გამბედავი ექიმები დაადგებიან ხოლმე, როცა ავადმყოფი უიმედო მდგომარეობაშია. მან იკისრა პასუხისმგებლობა და დაიფიცა სახელი, — **გრაბე** ნიშნავს კუბოს, — რომ შამილს, ცოცხალს თუ მკვდარს, ხელთ იგდებდა.

შამილს მისმა მზვერავებმა აუწყეს რუსი ჯარის მოძრაობა. მან ბრძანება გასცა, მოსვენება არ მიეცათ რუსის ჯარისთვის. არგვანის კომენდანტს დაავალა, რაც შეიძლება დიდხანს შეეკავებინა რუსის ჯარი მისი ციხის კედლებთან, ავარების უფროსებს კი, რომლებზეც დიდ იმედებს ამყარებდა, უბრძანა, არც ერთი გოჯი არ დაეთმოთ კოისუს გადასასვლელზე. თვითონ კი თავის სიმაგრე ახულგოში დაუცადა მტერს, რომელსაც, მისი ვარაუდით, იქამდე ვერ უნდა მოეღწია.მაგრამ შამილი შეცდა. ჩეჩნებმა ერთი დღით ძლივს შეაკავეს რუსის ჯარი.არგვანიმ მხოლოდ ორი დღე დააკარგვინა მათ და ყოისუს გადასასვლელი, რომელიც დაუძლეველი ეგონათ, პირველივე შეტევით იქნა აღებული. შამილმა თავისი მაღალი კლდიდან მოჰკრა თვალი მომავალ რუსის ჯარს. გენერალმა გრაბემ ალყა შემოარტყა ადგილს. იგი ფიქრობდა, რომ შიმშილით აიძულებდა შამილს დანებებას. ალყამ ორ თვეს გასტანა.

გენერალმა გრაბემ გაიგო, რომ შამილს კიდევ ექვსი თვის სამყოფი მარაგი ჰქონდა. საჭირო იყო იერიშის დაწყება. ალყის განმავლობაში გენერალს დრო არ დაუკარგავს: გზები მოაკირწყვლინა, ააგო ბასტიონები იმ კლდეების ფლატეებზე, რომლებიც მიუწვდომელი ჩანდა, უფსკრულებზე ხიდები გაიყვანა, მაგრამ ციხესიმაგრეს მაინც ვერ სწვდებოდნენ. გენერალმა შეამჩნია ერთი ფრიალო ადგილი, სადაც მოხვედრა შეიძლებოდა, თუ მოწინააღმდეგე მხარეს ერთ მთაზე ავიდოდნენ. იქიდან შეძლებდნენ თოკებით ზარბაზნების, სამუხტე ყუთებისა და არტილერისტების ჩაშვებას.

***

ერთ დღეს რუსებმა დაიკავეს ეს ბაქანი და თავისი იქ ყოფნა ჩეჩნებს იმით აუწყეს, რომ ციხესიმაგრეს ცეცხლი დაუშინეს. მაშინ სარდალმა ბრძანება გასცა იერიშის მიტანაზე და 17 აგვისტოს **რუსმა მესანგრეებმა ძველი ახუგოს სიმაგრე აიღეს,** რუსებმა ამ სიმაგრის ზღუდეთა ძირში ოთხიათასი კაცი დატოვეს, მაგრამ კიდევ დარჩენილი იყო ახალი ახუგო, ესე იგი, თვითონ ციხე. და აი, ერთი იერიში კიდევ მიიტანეს. შამილი თავისი თეთრი ტანისამოსით ციხის კედელზე იდგა.ერთი მხრით მთავარსარდალი იყო სასიკვდილო განსაცდელში, მეორე მხრივ — იმამი. **იმ დღეს ისეთი ხოცვა-ჟღლეტა იყო როგორიც კავკასიონის მწვერვალებ-**

ზე მონავარდე არწივებსა და ორბებს ჯერ არ ენახათ. ყველაფერი სისხლში ცურავდა. ერთმანეთზე გორებად ეყარა გვამები, რომელთა საშვალებით ჯარისკაცები ქალაქში ძვრებოდნენ. ჩაკვდა გამამხნევებელი მუსიკა, იგი შეცვალა მომაკვდავთა ხროტინმა. მთელი ერთი ბატალიონი დამრეც ბილიკზე მიცოცავდა, ამ დროს უზარმაზარი კლდე თავის გრანიტის საფუძველს მოსწყდა, თითქოს მთაც მთიელებს ემხრობოდაო, დაღმართზე ტრიალით წამოვიდა და თან ჩაიტანა ბატალიონის მესამედი. ვინც ცოცხალი დარჩა, ქარაფებს ან ხის ფესვებს ეჭიდებოდნენ და, როცა თავი ასწიეს, მთის წვერზე დაინახეს ნახევრად ტანშემოძარცული თმააწეწილი ქალები, რომლებიც ხმლებსა და დამბაჩებს იქნევდნენ. ერთმა მათგანმა ქვა ველარ იპოვა გადმოსაგდებად, კლდეზე თავის ბავშვს თავი გაუჭეჭყა და რუსებს დააგდო ზემოდან. შემდეგ წყევლა-კრულვით თვითონაც გადმოეშვა და ცოცხალ-მკვდარი მათ შორის ჩავარდა.

რუსები განაგრძობდნენ მაღლა ბობღვას. მათ მიაღწიეს სიმაგრის წვერს და ახალი ახულგოც აიღეს. გენერალი პასკევიჩის პოლკის სამი ბატალიონიდან მხოლოდ ერთიღა დარჩა, იმასაც ასი კაცი აკლდა. ახულგოზე რუსული დროშა ფრიალებდა, მაგრამ თვითონ შამილი ჯერ არ ჰყავდათ ხელში ჩაგდებული. მკვდრებშიც ეძებეს, მაგრამ ვერ ნახეს. მზვერავები ირწმუნებოდნენ, ამა და ამ გამოქვაბულში დაიმალაო. გამოქვაბულიც მოჩხრიკეს, მაგრამ ვერ იპოვეს. **რა იქნა, სად დაიმალა შამილი? რომელმა არწივმა აიტაცა ღრუბლებში ან რომელმა ტყის კაცმა გაუხსნა გზა დედამიწის წიაღში?** ვერაფერი გაიგეს. და აი, რაღაც სასწაულით იგი ისევ გამოჩნდა ავარელთა ჯარის სათავეში, თავის ყველაზე უფრო ერთგულ ნაიბთა გარემოცვაში, და ახლა უფრო დაჟინებით გაისმა რუსების გასაგონად:

— ალაჰს ორი წინასწარმეტყველი ჰყავს: პორველი — მაჰმადი, მეორე კი — შამილი.

***

ზედმეტია იმის მტკიცება, რომ კავკასიის ხალხები თითქმის უკლებლივ უგუნურებამდე მამაცნი არიან. გამუდმებული ომიანობის წყალობით უმთავრესი ხარჯი მათ იარაღზე მოდის. ლეკებს, ჩეჩნებს თუ ჩერქეზებს, რომელთაც დაკონკილი ძველმანები აცვიათ, აქვთ თოფი, ხმალი, ხანჯალი ან დამბაჩა, რომელიც ორ-სამ ათას მანეთად ფასობს თითოეული. გარდა ამისა მათ თოფის ლულას, ხმლისა თუ ხანჯლის მახვილს აუცილებლად აწერია ოსტატის გვარი თუ ვენზელი. მე მაჩუქეს ერთი ხმალი, რომლის პირი ოცი მანეთი ღირდა, ხოლო მისი ვერცხლის ბუდე ოთხ-ხუთ მანეთად ფასობდა. მე მაქვს, აგრეთვე, ერთი ხმალი, რომელიც მუჰამედ-ხანს გავუცვალე რევოლვერში და რომლის პირი ადგილობრივად შეფასებული იყოოთხმოც მანეთად, ესე იგი, სამას ფრანკზე მეტად. თავადმა თარხნიშვილმა მაჩუქა თოფი, რომლის ლულა მხოლოდ უბუდოდ, ღირს ასი მანეთი, ესე იგი, ორჯერ უფრო ძვირი, ვიდრე ბერნარდის ორლულიანი თოფი. ზოგ მთიელს სწორი ხმლის პირი აქვს, რომელიც ჯვაროსანთა დროისაა, ზოგნი კიდევ ატარებენ ჯაჭვის პერანგს, მე-13 საუკუნის ფარებსა და ჩაჩებს. ზოგს მკერდზე უკეთია წითელი ჯვარი, რომლითაც მათმა წინაპრებმა იერუსალიმი და კონსტანტინეპოლი აიღეს, მათ კი ეს არ იციან. ეს ხმლის პირები ტალკვესივით ნაპერწკლებს ისვრიან და საპარსავივით ჭრიან წვერს. **არის ერთი რამ, რისთვისაც მთიელები არაფერს ერიდებიან, ეს არის ცხენი. მთიელის ცხენი მისი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი შეტევითი და თავდაცვითი იარაღია.** მთიელის ტანისამოსი, რაც უფრო ძველი იყოს, არ არის მოკლებული სიკოხტავეს და ყოველ შემთხვევაში ძალზე მხატვრულად გამოიყურება. ეს არის თეთრი ან შავი ფაფახი, ჩერქეზული ჩოხა, რომელსაც მკერდზე ორივე მხარეს მასრები აქვს ჩამწკრივებული, განიერი შარვალი, მუხლებიდან შემოჭრილი ვიწრო, ორი ფერის საცვეთებით, წითელი ან ყვითელი წაღები თავისივე ფერის მესტებით და ნაბადი, რაც ერთგვარი ზედა ტანსაცმელია და არა მარტო წვიმა, ტყვიაც კი არ აღწევს მასში. ზოგიერთი მთიელი ლენქორანამდე მიდის პელიკანის ფრთის ნაბდის ძებნაში და იქ სამოც, ოთხმოც და ხან ას მანეთსაც კი არ იშურებს. ერთი ასეთი საუცხოო ნაბადი თავადმა ბაგრატიონმა მაჩუქა. როცა ასეთნაირად ჩაცმული მთიელი თავის პატარა არაბულის მსგავს ცხენს მიაჭენებს, მართლაც რომ ჩინებული სანახავია.

***

არაერთხელ ყოფილა დამოწმებული, რომ ჩეჩენთა რაზმს ერთი ღამის განმავლობაში ასოცი, ას ოცდაათი და ას ორმოცდაათი ვერსი გაუვლია. მათი ცხენები აღმართებსა თუ დაღმართებზე მუდამ ოთხით მიდიან ისეთ ადგილებშიც კი, სადაც ქვეითი მგზავრიც ძნელად გაივლის. გარდა ამისა, როცა მთიელს მდევარი მისდევს, იგი არასდროს წინ არ იყურება. თუ გზაზე ღრმა ხრამი შეხვდა, ცხენს რომ არ შეეშინდეს, ნაბდით თავს შეუხვევს და ყვირილით „ალაჰ, ილ ალაჰ!“ თითქმის ყოველთვის უვნებლად გადაევლება ოცფუტიანი სიმაღლის ხრამს.

ჰაჯი-მურატმა, რომლის ამბავსაც ქვემოთ მოგითხრობთ, ერთი ასეთი დამღუპველი ნახტომი გააკეთა და ორივე ფეხიც მოიტეხა. **მთიელები არაბებივით უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იცავენ თავიანთი მეგობრის სიცოცხლეს. მაგრამ არ არის მართალი, როცა ამბობენ, მათ თავს არ ანებებენო. ჩვენ აულ ჰელის მახლობლად ერთ თხრილში ჩეჩნების ნაიბისა და მისი თოთხმეტი ამხანაგის გვამები ვნახეთ. იმ ნაიბის თოფი ადგილობრივ მთიელთა პოლკის უფროსმა თავადმა ბაგრატიონმა მე მაჩუქა.**

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ერთა ლიგა და საქართველო

1918-1920 წლებში საქართველოს მრავალი ევროპელი ეწვია. ისინი ერთხმად აღიარებდნენ პირველი რესპუბლიკის დემოკრატიულ მიღწევებს და მას ერთა ლიგაში უპირობო გაწევრიანებას უწინასწარმეტყველებდნენ. მიუხედავად ამისა, ერთა ლიგამ საქართველოს ინტერესები არაფრად ჩააგდო და ფართოდ გაღებული კარი თვალწინ მიუხურა. ამ შემთხვევაშიც კიდევ ერთხელ ცხადი გახდა, რომ ევროპა საქართველოს უცხო სხეულად მიიჩნევს და მის მოიმედედ ყოფნა ჩვენს ხალხს სიკეთეს არ მოუტანდა.

„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“, — ბრძანებდა დიდი ილია. ქართველი პოლიტიკოსები 1920 წელს, ნოე ჟორდანიას მთავრობის დროს, საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ ჟენევაში იმჟამად ახლადშექმნილ ერთა ლიგაში გაწევრიანებას და მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ. მათი აზრით, ეს წინგადადგმული ნაბიჯი იქნებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ქვეყნის აღიარების საქმეში.

ამ მიზნით, იმავე წლის შემოდგომაზე ჟენევაში მივლინებულ იქნა ეროვნული მთავრობის დიპლომატიური მრჩეველი — ზურაბ ავალიშვილი, რომელიც შვეიცარიაში საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელთან — მიხეილ სუმბათაშვილთან ერთად, უფლებამოსილი იყო ეწარმოებინა მოლაპარაკებები საქართველოს გასაწევრიანებლად ერთა ლიგაში, რომლის პირველი საერთო კრება 1920 წლის 15 ნოემბრისთვის იყო მოწვეული.

ორგანიზაციის დამფუძნებელი აქტის ძალით, ლიგაში შედიოდნენ: პირველი — ძირითადი წევრები, ანუ პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული მოკავშირე 32 სახელმწიფო, რომლებმაც ხელი მოაწერეს „ვერსალის ხელშეკრულებას“; მეორე — ომის დროს ნეიტრალიტეტის დამცველი 13 ქვეყანა, მიპატიჟებული ლიგის მიერ, რათა განსაზღვრულ დროში გაეზიარებინათ დამფუძნებელი აქტი.

დანარჩენი ახლადაღმოცენებული სახელმწიფოებისთვის, დომინიონებისა თუ კოლონიებისთვის, გაერთიანების წევრად დაწესებული იყო განსაკუთრებული რიგი. 1920 წლის 15 ნოემბერს მოწვეული ერთა ლიგის პირველი საერთო კრების პროგრამაში სხვა საკითხებთან ერთად შედიოდა სწორედ მთელი რიგი ასეთი არაწევრი ქვეყნების შუამდგომლობის გარჩევა ორგანიზაციის წევრად მიღების თაობაზე, მათ შორის, საქართველოსი.

ზურაბ ავალიშვილის ცნობით, **„ერთა ლიგის პირველ საერთო კრებას ყველა დიდის ცნობისმოყვარეობით ელოდა, თუმცა მის მიმართ დამოკიდებულება არ იყო გამოკვეთილი და ერთგვაროვანი. დაუსწრებლობა შეერთებული შტატების წარმომადგენლისა იმ ორგანიზაციის მუშაობაში, რომელიც აშშ-ის პრეზიდენტ უილსონის შვილობილად ითვლებოდა, ახდენდა საკვირველ, თითქმის კომიკურ შთაბეჭდილებას. ამასთან ერთად, რუსეთის, გერმანიისა და ოსმალეთის დაუსწრებლობა გარკვეულწილად უკარგავდა ამ დაჯგუფებას მისთვის საჭირო მსოფლიო ხასიათს...**

ერთა ლიგის საერთო კრების პირველი სესია თავისი სიმრავლითა და სხვადასხვაობით ჟენევაში მყოფი საზოგადო მოღვაწეებისა თუ მის ირგვლივ შექმნილი ატმოსფეროთი მეტად საინტერესო მოვლენას წარმოადგენდა, სადაც ერთმანეთში ირეოდა ზოგის აღტაცებული მოლოდინი, სხვათა კეთილგანწყობილი სკეპტიციზმი და ზოგიერთის აწონდაწონილი სიფრთხილე“.

ახლადშექმნილი საერთაშორისო გაერთიანების მიმართ განსაკუთრებული იმედის მზერა ჰქონდათ მიპყრობილი და დიდ ინტერესს იჩენდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი სახელმწიფოები. ისინი განსაკუთრებული ნდობით ეკიდებოდნენ **ლიგის ცნობილ X მუხლს**, რომელიც ორგანიზაციაში წევრად შესვლის მსურველი, „მძლავრი და გაუმაძღარი მეზობლებით გარშემორტყმული სუსტი ქვეყნებისათვის“, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაიმედებლად გამოიყურებოდა: **„ლიგის წევრები თავის თავს მოვალედ თვლიან, პატივით მოეპყრან და ყოველივე გარეშე თავდასხმისაგან დაიცვან ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფოს ეხლანდელი დამოუკიდებლობა ლიგის ყველა წევრისა. თუ ადგილი ექნა თავდასხმას, მუქარას ან თავდასხმის საშიშროებას, საბჭო მოისაზრებს იმ საშუალებებს, რომელნიც უზრუნველყოფენ მიღებული მოვალეობის სისრულეში მოყვანას“.**

X მუხლი, თავისი შინაარსით ესოდენ მნიშვნელოვანი, თავიდანვე ბევრად უფრო მეტ დაპირებას იძლეოდა, ვიდრე სინამდვილეში წარმოადგენდა. მაგრამ, თეორიული შესაძლებლობა ერთა ლიგისაგან დახმარების მიღებისა, პრინციპული ღირებულება ასეთი ფართო საერთაშორისო ერთობისა, მისი მნიშვნელობა, როგორც საშუალებისა, ახალი სახელმწიფოთათვის შეეძინათ და გაეფართოებინათ კავშირები, პერსექტი-

ვა უცხო ერებთან თანამშრომლობისა სხვადასხვა მნიშვნელოვან პოლიტიკურ დარგში — ყველაფერი ეს „ანდამატივით იზიდავდა ლიგისაკენ **რუსეთის ყოფილი იმპერიის განაპირა ტერიტორიებზე ახლადდაარსებულ სახელმწიფო ორგანიზმებს**“, თუმცა **ლიგაში შესვლის უმთავრეს მიზეზს, რაღა თქმა უნდა, საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცება და ევროპის სახელმწიფოების მიერ მათი დამოუკიდებლობის ცნობის დაჩქარება წარმოადგენდა.**

პირველ რიგში, საერთო კრებას წარედგინა მემორანდუმი საქართველოს კანდიდატურის შესახებ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორისა და ზურაბ ავალიშვილის ხელმოწერებით.

ლიგის წევრობაზე განცხადებულ კანდიდატურათა გასარჩევად შედგა საერთო კრების განსაკუთრებული, 36 პირისაგან შემდგარი V კომისია, ჩილეს წარმომადგენლის, დონ ანტონიო უნეუსის, თავმჯდომარეობით. საკითხი საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და კოსტა-რიკას შესახებ გადაეცა ე. წ. III ქვეკომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობდა მსოფლიოში ცნობილი ნორვეგიელი, არქტიკის მკვლევარი — ფრიტიოფ ნანსენი, ხოლო წევრებად შედიოდნენ პროფესორი ტომა იონესკუ (რუმინეთი), ე. დ. მილლენი (ავსტრალია), ე. დე პელასიოსი (ესპანეთი), ნ. პოლიტისი (საბერძნეთი), სპალაჰიკოვიჩი (იუგოსლავია) და ციან-ციაჰიფუ (ჩინეთი). აღნიშნულ ქვეკომისიას ერთა ლიგაში გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე სახელმწიფოთათვის მოსახსენებლად უნდა შეესწავლა ყველა კანდიდატურა შემდეგი კითხვების მიხედვით:

ა) ფორმალური კანონიერება ლიგაში მიღების შუამდგომლობისა;

ბ) შუამდგომლობის აღმძვრელი მთავრობა ცნობილია თუ არა დე იურე ან დე ფაქტო და სახელდობრ, რომელი სახელმწიფოების მიერ;

გ) კანდიდატი არის თუ არა მტკიცე მთავრობისა და გარკვეული საზღვრების მქონე ერი; მდებარეობა და მოსახლეობა;

დ) აქვს თუ არა სახელმწიფოს თავისუფალი მართვა-გამგეობა;

ე) როგორია მისი განწყობა, თანახმად აქტებისა და დეკლარაციებისა, ანუ საერთაშორისო მოვალეობებისადმი...

25 ნოემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მრჩეველმა პოლიტიკურ საკითხებში — ზურაბ ავალიშვილმა და შვეიცარიაში (ბერნი) საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენელმა — მიხეილ სუმბათაშვილმა ნანსენის ქვეკომისიას განმარტებები მისცეს აღნიშნულ საკითხებზე. სხდომის მსვლელობისას საბერძნეთის წარმომადგენელმა ბ. პოლიტისმა საქართველოს მთავრობა თამბაქოს მრეწველობასა და ვაჭრობაში უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების უფლებათა დარღვევაში დაადანაშაულა, მხედველობაში ჰყავდა რა სოხუმელი მეთამბაქოები და ბერძენი ვაჭრები. მაგრამ ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მინიჭებია და III ქვეკომისიის დასკვნა კეთილგანწყობილი აღმოჩნდა საქართველოს კანდიდატურისთვის.

ასევე, ზემოთ მოყვანილი მოთხოვნების თანახმად, **საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სტაბილურად იქნა მიჩნეული. აღინიშნა სხვა დადებითი ტენდენციებიც. ნაკლად მხოლოდ აზერბაიჯანსა და სომხეთთან საბოლოო საზღვრების უქონლობა დასახელდა.**

2 დეკემბერს, ერთა ლიგის V კომისიის წინასწარ სხდომაზე, საქართველოს ამ ორგანიზაციაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიღებულმა დადებითმა დასკვნამ, ნანსენისა და სხვების ცდის მიუხედავად, ვერ მოიპოვა უმრავლესობის მხარდაჭერა. დეპუტატ ფიშერის (დიდი ბრიტანეთი) წინადადებით გადაწყდა, **საკითხი საქართველოს შესახებ გაერჩიათ ყოფილი რუსეთის იმპერიის დანარჩენ სახელმწიფოებთან ერთად.**

ამიტომ, I ქვეკომისიას, ბელგიელი პულლეს თავმჯდომარეობით, დაევალა, გამოენახა სპეციალურად საქართველოსა და ბალტიის სამი რესპუბლიკის „მდგომარეობის“ შესაფერისი ფორმულა: **„გადაედოთ ამ სახელმწიფოების ლიგაში მიღება, მაგრამ იმავე დროს ხელი არ ეკრათ მათთვის, არამედ ეხლავე მოეწვიათ ლიგაში პრაქტიკული თანამშრომლობისთვის.** საბოლოოდ V კომისიამ ეს ფორმულა მიიღო შემდეგი სახით:

„კომისია ურჩევს კრებას, შეატყობინოს საქართველოს მთავრობას:

ა) რომ მისი შუამდგომლობა განხილულ იქნა თანაგრძნობით, მაგრამ მდგომარეობა კრებას ნებას არ აძლევს, გამოიტანოს საბოლოო დადგენილება.

ბ) რომ კრების შემდგომი გადაწყვეტილებების მოლოდინში ამ სახელმწიფოს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ლიგის საერთო მნიშვნელობის ტექნიკურ ორგანიზაციებში“.

ასეთი იყო ძირითადი დებულებები დასკვნისა, რომელიც ლიგის საერთო კრებას წარედგინა განსახილველად.

ასამბლეამ ბალტიის ქვეყნებისა და საქართველოს საკითხი გაარჩია 1920 წლის 16 დეკემბერს, საღამოს სხდომაზე. აღსანიშნავია, რომ იმავე დილით, სომხეთის მიღება უარყოფილ იქნა 21 ხმით, წინააღმდეგ 8 ხმისა, მას შემდეგ, რაც ორგანიზაციაში მიიღეს: ავსტრია, ბულგარეთი, კოსტა-რიკა, ფინეთი და ლუქსემბურგი.

კამათი, რომელიც წინ უძღოდა ოთხი კანდიდატის, რუსეთის იმპერიის ყოფილი განაპირა მხარეების — ლიტვის, ლატვიის, ესტონეთისა და საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანების კენჭისყრას, იყო მეტად გაცხარებული. კოლუმბიელი დელეგატი **რესტრეპო** ეკამათებოდა ზემოაღნიშნულ დასკვნას. **„ეს სახელმწიფო-**

ები აკმაყოფილებენ ყველა მოთხოვნას, რომელთაც ჩვენ წარვუდგენთ ხოლმე ახალ წევრებს, თვით კომისია სცნობს ამას! აქედან გამომდინარე, იგი ემყარება რაღაც „მდგომარეობას“, რომელიც თითქოსდა ხელს უშლის ამ კანდიდატების მიღებას. მაგრამ ლიგის დამფუძნებელ აქტში არ არის დაშვებული მიუღებლობა თითქოსდა რაღაც „მდგომარეობის“ გამო. ამ ქვეყნებისთვის უარის თქმა იქნება ერთა ლიგის სისუსტის დამტკიცება!“ — განაცხადა მან.

პორტუგალიელი შაგასი მოითხოვდა კანდიდატების მიღებას და შემდგომში ყოველი მათგანის დამოუკიდებლობის დე იურედ ცნობისათვის სახელმწიფოთათვის თავისუფალი არჩევანის დატოვებას. სპარსეთის დელეგატი ზოკა-ედ-დაულე მხურვალედ იცავდა ახალი წევრების მიღებას და გასაგები მიზეზების გამო განსაკუთრებული ყურადღებით საქართველოს ეპყრობოდა.

პოლონელი პადერევსკის სიტყვებით, **„მისი ქვეყნის სიმპათიები, რაღა თქმა უნდა, კანდიდატების მხარეზეა, მაგრამ... პოლონეთმა კარგად უწყის, თუ ვისი მადლიერი უნდა იყოს საკუთარი დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის“. იგი ხედავს, რომ ახალ წევრთა მიღებას ნაადრევად თვლიან, ამიტომ იძულებულია, ხმის მიცემაზე თავი შეიკავოს. ამას გარდა, ორატორის ყოყმანი შეიძლება იმითაც აიხსნას, რომ ბალტიისპირა ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარება პოლონეთის პოლიტიკურ წრეებში ქვეცნობიერად და ისტორიულად ყოველთვის უარყოფითად აღიქმებოდა. სამწუხაროდ, საქართველოს ამ კონტექსტშიაც არ გაუმართლა!**

პადერევსკის მთლიანად უჭერდა მხარს მისი რუმინელი კოლეგა — პროფესორი იონესკუ. იგი ასევე მორჩილად ემხრობოდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პოზიციას, რომლის წარმომადგენელმა ვივიანიმ პირდაპირ აღნიშნა, რომ უხერხულია რუსეთთან დაკავშირებული საკითხების ცალმხრივი გადაწყვეტა! მისი თქმით: ლიგას მეტად გაუძნელდება ახალი წევრების ტერიტორიის თავდასხმებისგან უზრუნველყოფა, „ლიგის ხელშეკრულებაში არის ერთი მუხლი, რომლის შესახებ ბევრს ლაპარაკობენ და რომელსაც X მუხლი ეწოდება. ეს აქტი ვალდებულად გვხდის, დამხმარედ ამოვუდგეთ მხარში იმ ჩვენს თანაწევრს, რომელიც ჩავარდება საფრთხეში — მაშინვე, როგორც ამას შევიტყობთ, და, რადგან ჩვენ არ გვიყვარს ტყუილის თქმა ერების წინაშე, ვინაიდან ყველაზე უვარგისი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შეუწყო ხალხთა გონებაში სიცრუის გაღვივებას, რათა ხალხი დაარწმუნო იმაში, რომ თითქოსდა დაეხმარები, მაშინ, როდესაც ამას არ გააკეთებ, ამიტომ, ვინც ფიქრობს, რომ არ შეუძლია თავისი დახმარება მიაწვდინოს ევროპის განაპირა მხარეს, ისინი ისევე მისცემენ ხმას, როგორც ახლა ამას მე — საფრანგეთის წარმომადგენელი გავაკეთებ, ანუ, კომისიის პროექტის თანახმად, **ეს სახელმწიფოები დაშვებულ იქნებიან მხოლოდ ტექნიკურ ორგანიზაციებში“.**

მსგავსი სიძნელეები ჰქონდა მხედველობაში შვედ ბრანტინგს, როდესაც ღრმა თანაგრძნობითა და სიმპათიით მოიხსენია ბალტიის სახელმწიფოები, მაგრამ მაინც შეიტანა წინადადება მათი მიღება შემდგომ კრებამდე, ანუ 1921 წლამდე გადაედოთ.

კენჭისყრაზე დაისვა ლიგაში მხოლოდ ბალტიისპირა ქვეყნების გაწევრიანების საკითხი, ვინაიდან ლორდ რობერტ სესილისა (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) და ფრიტიოფ ნანსენის წინადადებით საქართველოს მიღება ცალკე იქნა გამოყოფილი. ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მიღების მომხრე აღმოჩნდა 5-5 ხმა, წინააღმდეგი კი, შესაბამისად, — 27 და 24-24.

ამის შემდეგ სიტყვას ითხოვს ნორვეგიელი ფრიტიოფ ნანსენი, რომელმაც საქართველოს საკითხის დადებითად გადაწყვეტისაკენ მოუწოდა დეპუტატებს და ამ მოსაზრების მხარდამჭერ მხურვალე გამოსვლაში აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო საქართველოსთვის, არამედ თვით ლიგისთვის საქართველოს ხელის შეწყობას მისი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე.

ამავე აზრის დასაცავად გამოვიდა დეპუტატი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან — რობერტ სესილი და კრების განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ მნიშვნელობაზე, რომელიც ექნება საქართველოს ლიგაში მიღებას.

საქართველოს ლიგაში დასაშვებად გამოთქმული მხარდამჭერი გამოსვლების შემდეგ, სიტყვა და-

ჟენევაში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მიუხვდნენ კრემლს ჩანაფიქრს — რომ სომხეთს მალე მთელი კავკასიის გაწითლება მოჰყვებოდა და სერიოზულად უნდოდათ საქართველოსთვის დახმარების გაწევა.

უყოვნებლივ მოითხოვა დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა, ქვეყნის სახალხო განათლების მინისტრმა — **ფიშერმა**. მან განაცხადა, რომ, რასაც ნანსენი და სესილი ამბობენ, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ **სიძნელედ რჩება საქართველოს დაცვა გარეშე თავდასხმებისაგან. უნდა ანგარიში გაეწიოს ამ ქვეყნის „მდგომარეობის“ საშიშროებას,** ამიტომ საქართველოს უპირატესობა არ უნდა მიენიჭოს ბალტიის ქვეყნებთან შედარებით; რომ არ არის აუცილებელი გრძნობებით გატაცება, არამედ საჭიროა საღი, ფხიზელი განსჯა, როგორც ეს სახელმწიფოს პასუხისმგებელ პირებს შეეფერება. **„მე ვთხოვ ამ კრების დელეგატებს, რომელთაც სერიოზული კენჭისყრა მოელით, დაუფიქრდნენ, მზად არიან თუ არა, მართლაც ურჩიონ თავიანთ მთავრობებს, გაუგზავნონ მატერიალური დახმარება ამ გულად, პატარა სახელმწიფოს რუსეთის განაპირაზე, თუ განსაცდელი მოუახლოვდა მას“**, — განაცხადა მან.

დაიწყო კენჭისყრა. ხმას აძლევდა 24 სახელმწიფო. საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის საჭირო იყო ხმების ორი მესამედი, ანუ 16 ხმა. საქართველოს ერთა ლიგაში მიღებას ხმა მისცა ათმა ქვეყანამ, წინააღმდეგ — თორმეტმა.

ჩვენს ქვეყანას მხარი დაუჭირეს: ლორდ რობერტ სესილმა (სამხრეთ აფრიკა); ფრიტიოფ ნანსენმა (ნორვეგია); ჯუზეპე მოტამ (შვეიცარია); დონ ანტონიო უნეუსმა (ჩილე); შაგასიმ (პორტუგალია); რესტრეპომ (კოლუმბია); ზოკა ედ დაულემ (სპარსეთი); ასევე — იტალიის, პარაგვაისა და ბოლივიის წარმომადგენლებმა.

მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ: ავსტრალია, ახალი ზელანდია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, ინდოეთი, იუგოსლავია, კანადა, კუბა, საბერძნეთი, საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია. თავი შეიკავა და კენჭისყრას არ დაესწრო 18 სახელმწიფო, მათ შორის — ბელგია, პოლონეთი, რუმინეთი, შვედეთი და სხვ.

ამგვარად, საქართველო ერთა ლიგაში წევრად არ მიიღეს.

„კენჭისყრის უარყოფითმა შედეგებმა გულწრფელად შეაწუხა ყველა, ვინც ფიქრობდა, რომ ერთა ჟენევის ასამბლეა ხალხების ცხოვრებაში ახალ თავს იწყებს. ასეთები მრავლად იყვნენ, განსაკუთრებით ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა და კრების დერეფნებში მყოფ საერთაშორისო დამოკიდებულებაში კეთილსინდისიერების მრავალრიცხოვან მომხრეთა შორის“, — იხსენებს ზურაბ ავალიშვილი.

ამგვარი იყო მხოლოდ გარეგნული მხარე ამ საქმისა, მაგრამ ასეთ გადაწყვეტილებაში არაფერი ყოფილა თურმე მოულოდნელი, რადგანაც **კრების კულუარებში გამართული მოლაპარაკებების დროს თავიდანვე ასეთი პოზიცია დაუკავებიათ დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს.** კუბის დელეგატმა — აგუერომ, რომელიც დიდ როლს ასრულებდა ყოველგვარ კენჭისყრის მომზადებაში, საქართველოს წარმომადგენლებს ზურაბ ავალიშვილსა და მიხეილ სუმბათაშვილს მოგვიანებით კერძო საუბარში განუცხადა: **„ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკებს, რაღა თქმა უნდა, შეეძლოთ თავისი ხმების ოდენობით მიეღოთ საქართველო და ბალტიის სახელმწიფოები, რასაც მოითხოვდა კიდეც სამართლიანობა! მაგრამ, თქვენ კარგად უწყით, რომ მსგავს საკითხებს სამართლიანობა არ წყვეტს! ლათინური ამერიკის რესპუბლიკებისთვის უხერხულია, წინააღმდეგობა გაუწიოს ევროპის დიდ სახელმწიფოებს იმ საკითხებში, რომლებიც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქვეყნიერების სწორედ ამ ნაწილისათვის. ინგლისმა და საფრანგეთმა, თუნდაც მარტო ინგლისმა, მოგცეთ ხმა და როგორც ერთი კაცი, ჩვენც ისე შევუერთდეთ მას“.**

ისტორიის უსახელო რეჟისორის მიერ მსოფლიოს ახალი გადანაწილება უკვე დაწყებული იყო. ამ საკითხში დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წინაშე არჩევანი იდგა. მათთვის, ამ ეტაპზე, ომში ყოფილი მოწინააღმდეგეების — ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის შემადგენლობაში შემავალი აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთათვის მათ მიერ მოტანილი დამოუკიდებლობა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე უკვე ძალამოკრებილი წითელი რუსეთის ტრადიციულ კავკასიურ ინტერესთა სფეროში „ნაადრევად“ ჩარევა.

სამწუხაროდ, ისინი ვერ სჭვრეტდნენ, რომ ბოლშევიკების ზეობა არ იყო დროებითი და მანამდე ვერ მიუხვდნენ მათ მადას, სანამ საბჭოეთის საზღვრები დასავლეთ ევროპას არ მისწვდა.

თუმცა, ჟენევაში იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მიუხვდნენ კრემლს ჩანაფიქრს — რომ სომხეთს მალე მთელი კავკასიის გაწითლება მოჰყვებოდა და სერიოზულად უნდოდათ საქართველოსთვის დახმარების გაწევა. მათ წინამძღოლად სერ რობერტ სესილი და ფრიტიოფ ნანსენი ითვლებოდნენ, რომელთაც პირველ რიგში მხარს უჭერდნენ ბელგიელი ლაფონტენი, შვეიცარიელი ჯუზეპე მოტა (შემდგომში თავისი ქვეყნის პრეზიდენტი, საქართველოს მხურვალე მხარდამჭერი) და რამდენიმე სხვა დეპუტატი.

სამწუხაროდ, მსოფლიო ომში გამარჯვებული დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხმა უფრო დამაჯერებლად ჟღერდა, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი „კეთილშობილი მოღვაწეებისა, კაცთმოყვარეობისათვის ენერგიულ მებრძოლთა, თავისი სამშობლოს სასახელოდ და ყველასთვის საკეთილდღეოდ რომ იღვწოდნენ“, — დასძენს ზურაბ ავალიშვილი.

საქართველოს ისე არ ეწერა ამ ახლადშექმნილი საერთაშორისო გაერთიანების ნამდვილი წევრობა, როგორც მის დამოუკიდებლობას დიდი ხნის არსებობა.

მეგობრობა გზად და ხიდად

ბორის პასტერნაკი და საქართველო ცალკე ისტორიაა. მან ჯერ კიდევ 30-იანი წლების დასაწყისში, შემდეგ კი დევნის პერიოდში, 1959 წელს, მეორე სამშობლო ჰპოვა ჩვენს ქვეყანაში. იგი, საქართველოსთან და ქართველ პოეტებთან ურთიერთობით, შეიძლება ითქვას, მეორედ დაიბადა. პირველი ვიზიტის შემდეგ გამოცემულ მის პოეტურ კრებულს ასეც ერქვა — „მეორედ დაბადება“. საქართველოში მას ბევრი მეგობარი ჰყავდა, რომლებთანაც ბევრი ლამაზი მოგონება აკავშირებდა. ერთ-ერთი ასეთი მოგონებაა დიდი მხატვრის — ლადო გუდიაშვილის ქვემოთ მოყვანილი ესსე.

ლადო გუდიაშვილი

ბორის პასტერნაკი

ეს იყო 1944 წელს... როცა ირაკლი აბაშიძემ და ლევან ასათიანმა ჩემს სახელოსნოში მოიყვანეს ბორის პასტერნაკი.

პასტერნაკი ჩემთან ადრეც ყოფილა, მაგრამ იმ დღეს მან პირველად წამიკითხა ბარათაშვილის მისეული თარგმანები... „საყურე“ და „ცისა ფერს“. ძალიან ამაღელვებელი იყო. არანაკლებ ღელავდა თვითონ პასტერნაკიც...

— ნუთუ შესაძლებელი, ეს სურა ოდესმე ბარათაშვილს ხელში სჭეროდა, — იმეორებდა და აღარ ვიცი, მერამდენედ მიხდიდა მადლობას.

ყველა სადღეგრძელო, რომელიც კი იმ დღეს ამ სურიდან ჩამოსხმული სასმისით დაილია, მხოლოდ ბარათაშვილისა და მისი პოეზიის უკვდავებისა იყო. მასში ახლაცაა ჩარჩენილი მცირეოდენი მაშინდელი კონიაკი...

რამდენი ასეთი, პოეტური შთაგონებით სავსე საათი მახსოვს პასტერნაკთან დაკავშირებით! როცა თბილისში ჩამოდიოდა, ჩემთანაც უსათუოდ მოვიდოდა ხოლმე. ჩემი ერთი კეთილი მეგობარი ისიც იყო. იგი ხომ მთელი თავისი ცხოვრებითა და პოეზიითაა დაკავშირებული საქართველოსთან... ეს კარგად ჩანს მარტო იმ პირად წერილებშიც კი, რომლებიც მას ქართველი მეგობრებისათვის გამოუგზავნია... რა

ბორის პასტერნაკი ქართველ მწერლებთან

კარგია, რომ ეს წერილები გამოქვეყნდა...

რაც შეეხება მის შემოქმედებას... მან ხომ ამ მხრივაც ძალინ ბევრი გააკეთა ქართული კულტურისათვის... **იგი ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ქართველ პოეტებს თარგმნიდა... ამ თარგმანებმა კიდევ უფრო გააღვივეს სხვა ერების ინტერესი და პატივისცემა ქართული პოეზიისადმი, საქართველოსადმი.**

მახსოვს, ბოლო შეხვედრის დროს მითხრა: **საქართველო იმიტომ არსებობს, რომ ადამიანებმა სიხარულის შეცნობა შეძლონ...** ყველაზე მეტად საქართველოში და ქართველ მეგობართა შორის მიყვარს ყოფნაო.

ისე, როგორც ყველა შეხვედრა, ეს დღეც დაუვიწყარი დარჩა ჩემთვის: წინასწარ დამირეკა. მოვალ, თუ ჩემი აწეწილი ბედით არაფერს დაგიშავებო. ევგენი ევტუშენკოსთან იყო... (ძალიან მიყვარს ევტუშენკო, ჩემი ერთი ახალგაზრდა მეგობარი ისიცაა). კარგა ხანს ისხდნენ... უკვე სულ ჩამობნელდა. ავანთეთ დიდი სანთლები. ბორისი კითხულობდა ლექსებს, ლაპარაკობდა პოეზიაზე, მხატვრობაზე, იგონებდა გარდასულ დღეებს, ოციანი და ოცდაათიანი წლების თბილისს, ტიციანს, პაოლოს...

დაღლილი, ნაღვლიანი სახე ჰქონდა. აღარ მგონია, რომ ოდესმე კიდევ მომიხდეს აქ ჩამოსვლაო, — ამბობდა...

მართლაც, მალე გარდაიცვალა...

ბევრი შთაგონებული წუთი და საათი შემორჩა მეხსიერებას. იმ საღამოს კი ჩემდამი მიძღვნილი ლექსიც ჩამიწერა შთაბეჭდილების წიგნში.

მთლიანად მომყავს ეს ჩანაწერი:

„Будни, в которые вас посещаю, становятся праздником. Часы, проведённые у вас, кажутся часами иного времени и другого века. На другой день, после посещения Вас, просыпаешься с ощущением, будто всё виденное и сказанное у Вас приснилось. Сновидением и должно стоять и оставаться в стороне, на одинокой высоте, единственное ни скаким сокровищем не сравнимое богатство сердца — искусство“.

***

ბორის პასტერნაკს ეკუთვნის ქართველი პოეტების შესანიშნავი თარგმანები, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი მაინც მისეული ბარათაშვილია, უდავოდ კონგენიალური თარგმანი, რომელშიც ბარათაშვილის გარდა მეორე დიდი პოეტის ხმაც მოისმის:

Цвет небесный, синий цвет,
Полюбил я с малых лет.
В детстве он мне означал
Синеву иных начал.

И теперь, когда достиг
Я вершины дней своих,
В жертву остальным цветам
Голубого не отдам.

ანდა „მერანი“:

Стрелой несётся конь мечты моей,
Вдогонку ворон каркает угрюмо.
Вперёд, мой конь,
мою печаль и думу
Дыханьем ветра встречного обвей.

Вперёд, вперёд, не ведая преград,
Сквозь вихрь и град, и снег,
и непогоду.
Ты должен сохранить мне дни
и годы.
Вперёд, вперёд, куда глаза глядят!

ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან

ერთხელ მიქელ ანჯელო თავის ნაკლებადნიჭიერ კოლეგას ესტუმრა. მასპინძელმა მას სახლი დაათვალიერებინა და უთხრა, რომ კედლების შეთეთრებას აპირებდა, რათა შემდგომში თავისი ხელით მოეხატა ისინი. „სჯობს, ჯერ მოხატო და შემდეგ შეათეთრო“, — „ურჩია“ მიქელ ანჯელომ.

***

ვოლტერის მსახურმა, რომელიც წერაკითხვის უცოდინარი იყო, თავის პატრონს სოფელში ნათესავებთან გასაგზავნი წერილის დაწერა სთხოვა. როდესაც წერას მორჩა, ვოლტერმა მსახურს წერილი ხმამაღლა წაუკითხა და ჰკითხა, კიდევ რამის დამატებას ხომ არ ისურვებდა.

„მიაწერეთ, რომ წერილის ავტორი თქვენ ბრძანდებით და რომ ამ სულელური სტილისთვის ბოდიშს ვუხდი“, — უპასუხა მსახურმა.

***

ერთმა არისტოკრატმა ცნობილ ფრანგ მწერალს, ალექსანდრე დიუმას, ირონიულად ჰკითხა:

— თუ არ ვცდები, თქვენი შთამომავლობა სისხლის სიწმინდით არ გამოირჩევა. მამათქვენი, გენერალი დიუმა, მულატი იყო, არა?

— სრული ჭეშმარიტებაა.

— პაპათქვენი?

— ზანგი გახლდათ.

— საერთოდ, თქვენი წინაპარი ვინ იყო?

— მაიმუნი, — მიუგო დიუმამ და დასძინა, — ჩემი შთამომავლობა იმით დაიწყო, რითაც თქვენმა თავისი განვითარება დაასრულა.

გიორგი მჭედლიშვილი,
ისტორიკოს-კულტუროლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ვინ ვართ ჩვენ, XXI საუკუნის ქართველები, ცივილიზაციურ კონფლიქტში თუ კულტურათა დიალოგში?

ნაწილი პირველი. მითი ძველი აღმოსავლური საზოგადოების „შრომისა“ და „ჩამორჩენილობის“ შესახებ

როგორც ცნობილია, აღმოსავლეთი და დასავლეთი, კულტურული განვითარების თვალსაზრისით, პირველად მე-18 საუკუნეში გეორგ ჰეგელმა თავის „ფილოსოფიის ისტორიაში“ დაუპირისპირა ერთმანეთს. დიდი გერმანელი ფილოსოფოსის აზრით, აღმოსავლური კულტურა, მისი წარმოების ე. წ. აზიური წესი, ხასიათდება სტაგნაციით, მმართველობის დესპოტური რეჟიმით, მიწაზე სათემო კოლექტიური საკუთრებით. ამიტომ აღმოსავლეთი მოკლებულია დამოუკიდებელი აზროვნების უნარს და ვერ იმუშავებს ცნებებს, ვერ ქმნის ღირებულებებს.

თუ ჰეგელი სამართლიანად დაგმეს იმისთვის, რომ პრუსიულ მონარქიაში პროგრესის დასასრული დაინახა, ან კიდევ, როდესაც არასწორად შეაფასა ქალის როლი პოლიტიკაში, ამ თვალსაზრისისთვის ის არავის გაუკრიტიკებია. უფრო მეტიც, მან სათავე დაუდო ახალი მითის შექმნას, რომელმაც შემდგომ ევრაზიის კონტინენტის სრული პოლარიზაცია გამოიწვია.

ასე შეიქმნა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ორი განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური პარადიგმა, რომელიც ჩვენს დრომდე აზრობრივი ანტონიმით ასე ვლინდება: თუ დასავლეთი არის დემოკრატია, აღმოსავლეთი — დესპოტიზმი; დასავლეთი — მეცნიერული ცოდნა, რაციონალურობა, აღმოსავლეთი — ინტუიცია, სამყაროს შესისხლხორცება; დასავლეთი — დინამიზმი, განვითარება, მოძრაობა; აღმოსავლეთი — უძრაობა, სტაბილურობა; დასავლეთი — მოდერნიზაცია, ინოვაციურობა; აღმოსავლეთი — ტრადიციულობა, რიტუალი; დასავლეთი — ინდივიდუალიზმი, პიროვნება; აღმოსავლეთი — კოლექტივიზმი და ა.შ.

ცნობილია, რომ მსოფლიო კულტურის ისტორიაში დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე სხვა გეოგრაფიული ანტონიმებიც, მაგალითად, „ჩრდილოეთი — სამხრეთი“, სადაც ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში ჩრდილოეთი ბარბაროსებთან ასოცირდებოდა, ან კიდევ, XVIII-XIX სს-ის რუსულ კულტურაში სამხრეთი ველური სამყაროს შეგრძნებას იწვევდა (მოუხელთებელი კავკასია, „თბილი ციმბირი“, სადაც დეკაბრისტების დროიდან მსჯავრდებულებს აგზავნიდნენ, გავიხსენოთ რუსეთის მიერ მთავარმართებლად დანიშნული ეროვნებით, გადაგვარებული ქართველი, გენერალი პავლე ციციანოვიც, რომელმაც იმპერატორს ასეთ წერილი მისწერა: „მე მრცხვენია, რომ ჩემს ძარღვებში ამ ველური ხალხის სისხლი ჩქეფს“; სამხრეთის საშიშ მეზობლებად მოიაზრებოდნენ თურქეთი და სპარსეთი, გამოუცნობი, იდუმალი და შორეული ჩინეთი და სხვ.); აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის კოლონიურ ხალხში „მდიდარი ჩრდილოეთი“ გაიგივებული იყო ევროპულ და ჩრდილო-ამერიკულ იმპერიალიზმთან, „ღარიბი სამხრეთის“ დაპყრობასთან და ა. შ.

თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ ჩრდილოეთისა და სამხრეთის სოციალურ დიქოტომს დროებითი ან ლოკალური ხასიათი ჰქონდა და უნივერსალურობისა და საყოველთაობის პრეტენზია არასდროს გამოუცხადებია, განსხვავებით, აღ-

მოსავლეთისა და დასავლეთის აზრობრივი წყვილისგან, რომელსაც მკაფიოდ გამოკვეთილი სოციალურ-კულტურული და ცივილიზაციური დილემები ახასიათებდა. ამან ათქმევინა თავის დროზე **რედიარდ კიპლინგის** ეს სიტყვები: **„დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი კი — აღმოსავლეთი, ამიტომ ისინი ვერასოდეს შეერთდებიან“.** ხომ არ ცდებოდა ამ სიტყვების ავტორი? ისევე, როგორც ამ მითის შემქმნელი.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობის პრობლემა კიდევ უფრო რთულდება, თუ მათი ისტორიის ცვალებადობას კულტურის საზღვრებში განვიხილავთ. მაგ., ჩრდილოეთ აფრიკა ელინურ პერიოდში დასავლეთ ევროპის შემადგენელი იყო — ანტიკური კულტურის მემკვიდრე და ქრისტიანობის აკვანი, მაგრამ, არაბების დაპყრობის შემდეგ, მუსლიმანური აღმოსავლეთის შემადგენელი ნაწილი გახდა.

ძველი აღმოსავლეთელი ადამიანის სამყაროზე მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოებიდან ვგებულობთ, რომ იმ დროს მეფეები მტარვალები იყვნენ, მონები უუფლებონი, რომ ხდებოდა აჯანყებები. გაივლის რაღაც პერიოდი და მოსწავლისა და სტუდენტის მეხსიერებაში აღიბეჭდება, რომ ძველ აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ მონები და მონათმფლობელები, მჩაგვრელები და ჩაგრულები, და რომ ამ თვალსაზრისით ძველი აღმოსავლეთის საზოგადოება არაფრით განსხვავდებოდა მომდევნო, უფრო გვიანდელი საზოგადოებებისაგან. იგი, უბრალოდ, არ იყო ისეთი განვითარებული, როგორიც ძველი საბერძნეთი ან რომი და, რაკიღა არ იყო განვითარებული, მაშასადამე, არც საინტერესოა.

კულტურის ისტორიაში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ასეთი დაპირისპირების წინააღმდეგ არაერთი მეცნიერი გამოსულა, მათ შორის აკად. შ. ნუცუბიძე. **სამართლიანია თუ არა ჩვეულებრივი წარმოდგენა ძველ აღმოსავლეთზე, როგორც აბსოლუტურ დესპოტიაზე? რა თქმა უნდა, არა.** იგი შეიძლება გარკვეულად მისაღები იყოს მხოლოდ ეგვიპტის მიმართ, შედარებით ნაკლებად კი – ასურეთზე. სინამდვილეში თუ გადავხედავთ ადამიანთა ცნობიერებაში დამკვიდრებულ კლიშეებს, დავინახავთ სრულიად საწინააღმდეგოს, რომ ძველ აღმოსავლეთში სახელმწიფოს ორგანიზაციის მრავალნაირი ფორმა არსებობდა. მაგალითად, ხეთებთან მეფის ხელისუფლება შეზღუდული იყო დიდებულთა საბჭოთი, ტიროსს ოლიგარქია მართავდა და ასე შემდეგ.

თუნდაც ის, რომ, **როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში გავრცელებული შეხედულებით, მეფის ხელისუფლება ღვთიური წარმოშობისაა და წმინდათაწმინდაა, მონარქს კანონზე მაღლა აყენებდა და ქვეშევრდომთა წინაშე პასუხისმგებლობისაგან ათავისუფლებდა.**

ეს თეორია დიდხანს იყო შემონახული მსოფლიოს ხალხთა კულტურებში, მათ შორის XVII—XVIII საუკუნეებამდე ევროპელთა აზროვნებაში. ჩინეთში ჩვ. წ. აღ-მდე I ათასწლეულში უკვე არსებობდა იდეა, რომ უწმინდური, ცოდვილი მეფე შეიძლება გადააყენო. თუ ამ შეგნებამდე ქართული პოლიტიკური აზროვნება ჯერ კიდევ რუსთაველის ეპოქაში მივიდა, ევროპელებს საამისოდ სულ ცოტა კიდევ ხუთი საუკუნე დასჭირდათ.

ისტორიკოსები ხშირად ლაპარაკობენ ძველი აღმოსავლური საზოგადოებების უძრაობისა და „ჩამორჩენილობის“ შესახებ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ ეს ლაპარაკი ჰეგელის მიერ და მისი დროიდან არ დაწყებულა. ყველაზე უბრალო ახსნა ძველი აღმოსავლეთის ისტორიას ჯერ კიდევ ადრე მოეძებნა: ბერძნები და რომაელები უფრო ნიჭიერები იყვნენ, ვიდრე ეგვიპტისა და ბაბილონის ხალხები, ამიტომაც ისინი მიისწრაფოდნენ სიახლისაკენ და ვითარდებოდნენ, მაშინ, როდესაც ძველი აღმოსავლეთის ხალხები კმაყოფილდებოდნენ მიღწეულით და უკვე ცნობილით. მაგრამ ეს არაა მართალი. აღმოსავლეთის ხალხები რომ არანაკლები ნიჭით იყვნენ დაჯილდოვებულნი, ეს არ უნდა იყოს ძნელი განსასჯელი. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ აღმოსავლეთის ქვეყნებში შეიქმნა დამწერლობის ყველა ძირითადი სახე და ბერძნებმა მოგვიანებით მხოლოდ ამ დამწერლობებიდან ყველაზე მოხერხებული — ფინიკიური გადაიღეს და გააუმჯობესეს. რად ღირს თუნდაც ის ფაქტი, რომ **მსოფლიოს ოთხი უდიდესი რელიგია სწორედ ძველ აღმოსავლეთში წარმოიშვა.**

ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ საკითხი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის შეჯიბრებაში გამარჯვებულის შესახებ, ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. **ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი თოთხმეტი საუკუნის მანძილზე მსოფლიო ცენტრი, ყოველგვარი ეჭვის გარეშე იყო არა ევროპაში, არამედ ჩინეთში.** ამ დრომდე მას არც ინდოეთი ჩამორჩებოდა. არადა, როგორც ინდოეთს, ასევე ჩინეთს, ამ დროისათვის უკვე გააჩნდათ სამიათასწლოვანი არსებობის ისტორია. მაშასადამე ძველი აღმოსავლეთის საზოგადოების „უძრაობას“ ხელი არ შეუშლია მათთვის, ხანგძლივი დროის განმავლობაში, შეენარჩუნებინათ ეკონომიკური, ტექნიკური და კულტურული უპირატესობა „მოწინავე ევროპის ხალხებზე“.

თუ ეს ყოველივე წარსულში დარჩა. ახლა ვიკითხოთ თუ, **რა ხდება ამჟამად?** თვალი მივადევნოთ თანამედროვე სამყაროს პოლიტიკურ-კულტურულ, ეკონომიკურ ვითარებას. „აზიური ვეფხვების“ გააქტიურებამ, ჩინეთის, იაპონიის, ინდოეთის, სამხრეთ კორეის სულ უფრო და უფრო მზარდმა როლმა, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის, ჯიმ კარტერის, მრჩეველს ნაციონალური უსაფრთხოების საკითხებში, ზბიგნევ ბზეჟინსკის სულ ცოტა ხნის წინ ჩეხეთის ტელევიზიასთან მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ ათქმევინა: **„მსოფლიოში სრულდება დასავ-**

ლეთის დომინირება და არა იმიტომ, რომ დასავლეთი სასიცოცხლო ძალას კარგავს, არამედ იმიტომ, რომ მას აზია იძენს".

დღეს მსოფლიოში, როდესაც დემოკრატია, პლურალიზმი მიიჩნევა ყველა კულტურისთვის უნივერსალურ და აბსოლუტურ ღირებულებად, დასავლური კულტურის ბევრმა ელემენტმა ზედაპირულ დონეზე მართლაც მოიცვა დანარჩენი სამყარო, თუმცა სიღრმისეულ დონეზე დასავლური წარმოდგენები და იდეები კვლავაც ძირეულად განსხვავდება იმათგან, რომელიც დამახასიათებელია სხვა ცივილიზაციებისათვის. ამას კი თავად დასავლეთში გავრცელებული შეხედულებით ასე ხსნიან, რომ: „ისლამურ, კონფუციურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ და მართლმადიდებლურ კულტურაში, ჩვენ ხაზს ვუსვამთ მართლმადიდებლურ კულტურაში, თითქმის ვერ პოულობს გამოძახილს ისეთი დასავლური იდეები, როგორებიცაა ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსაგან და ა.შ.

თუ რამდენად სწორია, ასეთი ცოდნა და წარმოდგენები, სხვა ცივილიზაციებზე, და რამდენად საჭირო და მნიშვნელოვანი თავად მათთვის, ამის აუცილებლობაზე ს. ჰანთინგტონიც საუბრობს: „დასავლეთს მოეთხოვება სხვა ცივილიზაციათა ფუნდამენტური რელიგიურ და ფილოსოფიურ საფუძვლების უფრო ღრმა გაგება, მან უნდა გაიგოს, როგორ წარმოუდგენიათ ამ ცივილიზაციათა წარმომადგენლებს საკუთარი ინტერესები".

არადა, საინტერესო დასკვნებს გავაკეთებთ თუ სხვა ცივილიზაციებზე, თუნდაც ისლამზე ვისაუბრებთ:

ისლამის ისტორიაში ცნობილია სექტები, რომელთაგან ზოგი მნიშვნელოვნად განსხვავდება კანონიკური, ოფიციალური და ტრადიციული ისლამისაგან, როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით. ამ სექტათა შორის ყველაზე ძველია **ხარაჯიზმი**, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, მიმართული იყო ხალიფების განუსაზღვრელ უფლებათა წინააღმდეგ. მას ჰქონდა ლოზუნგი ხალიფების დემოკრატიულად არჩევითობის თაობაზე, ქადაგებდა ზნეობისადმი მეტი ყურადღების გამოჩენას, რიტუალების შემცირებას, პიროვნების ღირსებას, არჩევანის თავისუფლებას და ა.შ.

აღმოსავლეთის რელიგიურ და პოლიტიკურ სარბიელზე თვალსაჩინო როლი შეასრულეს აგრეთვე, ისლამის, უპირატესად – **შიიზმის განშტოებებმა: ისმაილიტებმა, მუთაზილიზმმა** (რაც განდგომას, განმხოლოებას ნიშნავს), **აშარიზმმა** (დამფუძნებელი აბუ-ალ-ჰასან-აშარი) და სხვ., რომელთაც შესაძლებელია, ისლამური პროტესტანტიზმი ვუწოდოთ, რადგან ეწინააღმდეგებოდნენ ოფიციალურ კულტმსახურებას. აღარაფერს ვლაპარაკობ **სუფიზმზე**, რომელიც გავრცელდა თითქმის ყველა მუსლიმანურ ქვეყანაში. ვინაიდან იგი მწიგნობრული და ინტელექტუალური სისტემა იყო და დადებითი გავლენა იქონია კულტურაზე, მეტადრე კლასიკურ სპარსულ და თურქულ პოეზიაზე, რომლის სახელოვანი წარმომადგენლები არიან: ჯალალ ედ-დინ რუმი, ომარ ხაიამი, ჰაფეზი, ნიზამი განჯელი, აბდულ-რაჰმან ჯამი და სხვა.

შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა და ისტორიულმა კატაკლიზმებმა სავსებით შეცვალეს კულტურული წინა აზიის მდგომარეობა და აბსოლუტური დესპოტიზმი სახელმწიფო ორგანიზაციისათვის თითქმის ერთადერთ და ტრადიციულ ფორმად დამკვიდრდა.

კაცობრიობის ისტორიის შემდგომ ეტაპზე თანდათან გამოიკვეთა ცივილიზაციის განვითარების ორი ცენტრალური რეგიონი — აღმოსავლეთი და დასავლეთი, სადაც ყალიბდება ცივილიზაციათა თავისებურებანი, რომლებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრეს მათი განვითარება ახალ ეპოქაში. სწორედ ძველი აღმოსავლეთის ხალხებისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციათა ნანგრევებზე აღმოცენდა ევროპა.

ამდენად, როცა ასეთ აკადემიური ხასიათის პრობლემებზე ვმსჯელობთ, გაუცნობიერებლად შეიძლება არც მივანიჭოთ მნიშვნელობა და ვთქვათ, რომ თუნდაც ის, რაზეც ვსაუბრობდით, არ იყოს ასე, არც ამით დაშავდება რამე. მაგრამ საკითხი ამჯერად სულ სხვაგვარად დგას. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის, სემუელ ჰანთინგტონის მტკიცებით: „თუ კლასობრივ და იდეოლოგიურ კონფლიქტებში არსებითი იყო საკითხი „ვის მხარეზე ხარ?", ადამიანს შეეძლო აერჩია, ვის მხარეს იქნებოდა, ასევე შეეცვალა ერთხელ არჩეული პოზიცია. ცივილიზაციათა კონფლიქტში კი საკითხი სხვაგვარად დგას: „ვინ ხარ შენ?". საქმე ეხება იმას, რაც მოცემულია და ცვლილებას არ ექვემდებარება.

დიახ, **კარგა ხანია უკვე იდეოლოგიის „რკინის ფარდა" შეცვალა კულტურის „ხავერდის ფარდამ," როგორც ძირითადმა სადერმაკაციო ხაზმა ევროპაში.** როგორც ჩანს, მსოფლიო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითად ღერძად რჩება და მომავალში კვლავაც იქნება **ურთიერთობა დასავლეთსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის.** ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ერთი გარემოების აღნიშვნაც, რომელიც კულტურის საკითხების კვლევის აქტუალობასა და მის წინაშე მდგომ ამოცანათა სირთულეზე მეტყველებს. უკვე არავის უკვირს, რომ წმინდა აკადემიური კულტუროლოგიური ნაშრომები პოლიტიკური დისკუსიის საგანი ხდება ხოლმე. როგორც არაერთგზის აღნიშნულა თვით მეცნიერთა შორისაც დღეს კულტურა, მისი „დაუფლების" პრეტენზიით თუ „შენარჩუნების" წადილით ომია და ჩვენ ვიცით, რომ ბრძოლას თავს ვერავინ აარიდებს.

გაბრძელება შემდეგ ნომერში

ქართველები უცხოეთში

ჯორჯ ბალანჩინი: ბედნიერი ვარ, რომ ვნახე ახალი საქართველო

წარმატებით ჩაიარა თბილისში ამერიკული საბალეტო ჯგუფის — „ნიუ-იორკ სიტი ბალეტის“ გასტროლებმა. საქართველოს დედაქალაქიდან გამგზავრების წინ ჯგუფის ხელმძღვანელმა — ცნობილმა ბალეტმეისტერმა ჯორჯ ბალანჩინმა გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში თქვა:

— თქვენი გაზეთის მკითხველებმა, ალბათ, იციან, რომ ჩემი ნამდვილი გვარია ბალანჩივაძე, სახელი — გიორგი, რომ მე გახლავართ შვილი გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, პირველი ქართული ოპერის — „დარეჯან ცბიერის“ ავტორის მელიტონ ბალანჩივაძისა. დავიბადე რუსეთში, ვსწავლობდი მაშინდელ პეტერბურგში, 1923 წელს წავედი პარიზში, ხოლო შემდეგ კი ნიუ-იორკში, სადაც ვცხოვრობ უკვე 30 წელია.

და, აი, განხორციელდა ჩემი დიდი ხნის სურვილი, დიდი ხნის ოცნება — სიცოცხლის ორმოცდამეჩვიდმეტე წელს, როგორც იქნა, ფეხი დავადგი მამაჩემის მშობლიურ მიწაზე, ორმოცი წლის განშორების შემდეგ ისევ შევხვდი ჩემს ძმებსა და ნათესავებს!

ძნელია გადმოგცეთ ის სიხარული და მღელვარება, რასაც საქართველოში ყოფნის დღეებში განვიცდიდი. და ეს არც არის გასაკვირველი.

თქვენ შთაბეჭდილებებზე მეკითხებით?.. კეთილი, გიპასუხებთ: როცა ჩვენი დროის კულტურული ადამიანი სხვა ქვეყანაში მიდის, მან უკვე წინასწარ იცის, თუ რას ნახავს იქ, ვთქვათ, მაგალითად, როცა იგი პარიზს ესტუმრება, რა თქმა უნდა, დაათვალიერებს ეიფელის კოშკს, დიდებულ ვერსალის სასახლეს. მაგრამ განსაკთრებული გაკვირვების გრძნობას არ განიცდის, რადგან წინასწარ იცოდა, რომ პარიზში ნახავდა ამ კოშკს, ამ სასახლეს.

მეც, რასაკვირველია, წინასწარ ბევრი რამ ვიცოდი თბილისზე, საქართველოზე. ვიცოდი წიგნებიდან, პრესიდან, ზეპირი გადმოცემიდან, მაგრამ ყოველივე იმან, რაც აქ სინამდვილეში ვნახე, გამოგიტყდებით, პირდაპირ გამაოცა. **თბილისი — ეს არის ჭეშმარიტად თანამედროვე ქალაქი თავისი ყოფა-ცხოვრებით, თავისი არქიტექტურული ნაგებობებითა და ხელოვნებით, და, რაც მთავარი და ჩემთვის ესოდენ სასიხარულოა, თავისი კულტურული მოსახლეობით.**



ვერ გამოვთქვამ, რაოდენ სასიამოვნო და ძვირფასია ჩემთვის, რომ აქ სიყვარულით ინახავენ და პატივს სცემენ მამაჩემის ხსოვნას. მუსიკალურ დაწესებულებებში კედლებზე ჰკიდია მისი სურათები, გამოცემულია წიგნები მის შემოქმედებაზე, სასწავლებლები მის სახელს ატარებენ. ყოველივე ამისათვის თავს დაბლა ვხრი მთელი ქართველი ერის წინაშე!

ვიყავი ქუთაისში, ვინახულე მამის საფლავი. გულისხმიერმა ქუთაისელებმა თავიანთი ქალაქი

გამაცნეს. ძალიან ბევრი რამ არის აქ მიმზიდველი და მშვენიერი! მოწმე გავხდი საინტერესო კონტრასტებისა — უძველესი ბაგრატის ტაძრის ნანგრევებისა და ჟამთა სიავისაგან ფერგადასული ძველებური ფრესკების გვერდით ჩქეფს მძლავრი ინდუსტრიის მაჯისცემა.

ვესტუმრე გურიასაც. არასოდეს დამავიწყდება ის განსაკუთრებული გულთბილობა, როგორითაც სტუმართმოყვარე მახარაძელებმა მიმიღეს. მასპინძლობას საზღვარი არა ჰქონდა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, ეს იყო გურული სიმღერები და ცეკვები.

ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში „კრიმანჭული“. რაოდენ დიდ და ღრმა კულტურას უნდა ფლობდეს ხალხი, რომ შექმნას ასეთი არნახული პოლიფონია! ნამდვილად საოცარია! მაგრამ მაინც ჩემზე, როგორც ქორეოგრაფზე, ნამდვილად დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხურმა ცეკვებმა. ყველას თვალებში შევცქეროდი, რომ არ გამომრჩენოდა არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ჟესტი, არც ერთი პა.

დარწმუნებული ვარ — როცა აქაური ახალგაზრდა ეროვნული ტანსაცმლით იმოსება, მაშინ იგი უფრო მეტ პატივს სცემს თავის

თავს, თავის ეროვნულ ღირსებებს; ვფიქრობ, აქედან მომდინარეობს ცეკვის ხასიათიც — ამაყი, თამამი, გადამწყვეტი...

უკვე ვთქვი და ახლაც მინდა კიდევ გავიმეორო, რომ ეს ცეკვები მშვენიერი ყვავილია, მახარაძეში კი ამ ყვავილთა წარმტაცი თაიგული ვნახე. განა ვინმეს მოსწყინდება მშვენიერი ყვავილებით დატკბობა?! სამწუხაროდ, ბევრი დრო არ მქონდა, თორემ საათობით

დავჯდებოდი და ვუყურებდი ამ მომხიბლავ ცეკვებს.

აქ მიღებულმა დიდმა შთაბეჭდილებებმა ახალი, ჩემთვის საინტერესო მუშაობისათვის შთამაგონეს. შესაძლებელია, ეს დიდი გამბედაობა იქნება ჩემი მხრით, მაგრამ გადავწყვიტე, ნიუ-იორკში დავდგა ბალეტი ქართულ თემებზე. მუსიკას ბალეტისათვის დამიწერს ჩემი ძმა — კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე. მომავალი ნაწარმოების გეგმები ჩვენ უკვე დაწვრილებით განვიხილეთ. ჩვენი ჩანაფიქრით ბალეტში უნდა აისახოს საქართველოს ყველა მხარის ხალხური მუსიკა და ცეკვები. ეს იქნება ქორეოგრაფიის ენით გადმოცემული ქართული სიმფონია.

ნება მიბოძეთ დიდად პატივცემულ გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით, — თქვა დასასრულ ჯორჯ ბალანჩინმა, — როგორც პირადად ჩემი, ისე „ნიუ-იორკ სითი ბალეტის“ მთელი ჯგუფის სახელით უგულითადესი მადლობა გადავუხადო მთელ ქართველ ხალხს და განსაკუთრებით თბილისელ მაყურებლებს, რომლებიც ესოდენ გულთბილად შეხვდნენ ჩვენს სპექტაკლებს.

ნახვამდის, მეგობრებო!

კოტე მარჯანიშვილი — 140

წლეულს კოტე მარჯანიშვილის დაბადების 140-ე და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დაარსების 85-ე წლისთავია. ამ ორ ღირსსახსოვარ თარიღთან დაკავშირებით გურამ ბათიაშვილის სცენარის მიხედვით რეჟისორებმა ლევან წულაძემ და დიმიტრი ხვთისიაშვილმა სპექტაკლი „კოტე მარჯანიშვილი“ დადგეს. პიესაში ასახულია ეპოქა, რომელშიც კოტე მარჯანიშვილი ცხოვრობდა. საიუბილეო სპექტაკლში აღწერილია, თუ როგორ დააფუძნა და გახსნა მარჯანიშვილმა თეატრი. პრემიერა 23 ოქტომბერს შედგა. სულ ეს იყო ახლა, 2012 წელს... აი, რას წერდა ქართული პრესა, კერძოდ კი გაზეთი „კომუნისტი“, 50 წლის წინ დიდი რეჟისორის 90 წლის იუბილესთან დაკავშირებით:

გული, მარად ჩაუქრობელი

ჩემში ამ დღეებში განსაკუთრებით ამოძრავდა მოგონებები იმ შესანიშნავი დროისა, როდესაც მოუსვენარი, მგზნებარე, განსაცვიფრებელი კოტე ქმნიდა ქართულ საბჭოთა თეატრს. და რაც უფრო მეტი დრო გვაშორებს ცოცხალ მარჯანიშვილს, მით უფრო განუზომლად ძვირფასია ის, იმიტომ, რომ მისი ხელოვნება, მისი მაგალითი და, ბოლოს, მისი ადამიანური ინდივიდუალობა გვაღელვებს თავისი აქტუალობით.

კოტეს ცხოვრების საუკეთესო წლები მგზნებარე მოწოდება იყო ჩვენი ეპოქის დიადი ხელოვნების შემდგომი აღმავლობისათვის. თავისუფალი, უდრეკი, მზარდი საბჭოთა ხალხის პოეტიზაცია მარჯანიშვილმა შეიგრძნო როგორც თავისი შინაგანი მოვალეობა. მას სწამდა თეატრი, რომელიც აქტიურად მოქმედებს თავის თანადროულ ცხოვრებაში, და რარიგ სამწუხაროა, რა დასანანია, — იგი წავიდა ისე, რომ არ დასცალდა ჩვენი გმირული ეპოქის ადამიანების განსახიერება.

საჭიროა სწორედ მისი შემოქმედებითი ფანატიზმი, ძალა მისი ლოგიკისა, გრძნობა პასუხისმგებლობისა თავისი ხალხის, თავისი სამშობლოს და ისტორიის წინაშე, რათა ვიყოთ პრინციპული ხელოვნებაში, ვიგრძნოთ ჩვენი დროის სიდიადე და მთელი ძალით შევძლოთ განვახორციელოთ თეატრში.

1922 წელი. რუსეთიდან სამშობლოში დაბრუნდა კოტე მარჯანიშვილი. მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა ახალი თეატრი. იგი წარმოიშვა როგორც აუცილებლობა საქართველოს მღელვარე ცხოვრების წიაღში, საქართველოსი, რომელიც სულ ერთი წლის წინ გახდა საბჭოთა, ახალი ცხოვრება არ იძლეოდა შეღავათებს. იგი დაჟინებით მოითხოვდა დაუყოვნებლივ გამოხმაურებას თანამედროვეობის ცხოველმყოფელ საკითხებზე. და აი, თითქოს ამ მოთხოვნის საპასუხოდ, მარჯანიშვილის ირგვლივ იკრიბებიან ადამიანები, რომელთა სურვილი იყო ჩამდგარიყვნენ ხალხის ხელოვნებისათვის თავდავიწყებულ სამსახურში.

სხვადასხვა თაობის მსახიობთა ასეთი ერთიანობა, აზრების, გრძნობების ასეთი შერწყმა ქართული თეატრისათვის აქამდე უცნობი იყო. პირველად აჟღერდა მთლიანი სპექტაკლი, სადაც მსახიობთა ანსამბლი, დეკორაცია, მუსიკა, განათება — ყველაფერი ემორჩილებოდა ერთ აზრს, ერთიან ნებას.

ჩვენი ხალხი ახალი თეატრის დაბადებას აღფრთოვანებული ენთუზიაზმით შეხვდა. თეატრის გარშემო შემოიკრიბნენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები, მაღალი კულტურის, ღრმა აზროვნების ადამიანები, — შეიქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მთელი ხალხი ჩაება ქართული საბჭოთა თეატრის შექმნაში. ჩვენს პრემიერებზე ჩამოდიოდნენ რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან. უძილო ღამეები, დაუსრულებელი კამათი — ზოგი აღტაცებით იღებდა მარჯანიშვილის ნოვატორობას, ზოგი კატეგორიულად უარყოფდა — მარჯანიშვილმა ხომ სპექტაკლის, ყველა ძველი ფორმა დაარღვია.

მუდამ მღელვარე, გამბედავი, მოულოდნელი, გასაოცარი ნიჭის და ბობოქარი ტემპერამენტის მქონე — იგი მეფობდა ჩვენს გულში. ძველი ქართული თეატრის შესანიშნავი მსახიობების მიერ შექმნილი ტრადიციები, რუსული სცენის გამოცდილება და ახალი ეპოქის ყოველდღიური სუნთქვა — აი საფუძველი, რაზედაც შენდებოდა ახალი თეატრი.

მარჯანიშვილი თითქოს გრძნობდა, რომ დიდხანს არ იცოცხლებდა, ისეთი სიმძაფრით ფლანგავდა თავის ცოდნას, თავის ნიჭს — უნდოდა ყველაფერი გადაეცა თავისი მოწაფეებისათვის რაც შეიძლება მოკლე დროში. ჩვენ, ახალგაზრდები, აქვე, თეატრში გავდიოდით ოსტატობის სკოლას, ვე-

უფლებოდით სასცენო ხელოვნების ურთულეს კანონებს.

ცხოვრება სულ უფრო და უფრო მეტ ნიჭიერ ახალგაზრებს უგზავნიდა თეატრს. ბევრი ფიქრობდა, რომ მარჯანიშვილს თითქოს ბედმა გაუღიმა, რომ მის ირგვლივ ბევრი ნიჭიერი მსახიობი აღმოჩნდა. სინამდვილეში კი მარჯანიშვილის მახვილი თვალი გულისყურით აცქერდებოდა ახალგაზრდებს და სწვდებოდა ყოველი მათგანის შინაგან სამყაროს, იგი უმორჩილებდა მასალას მსახიობის სულს და სახის გამომსახველობა აჰყავდა ზემოქმედების შემაძრწუნებელ ძლიერებამდე მხოლოდ ამ მსახიობისათვის დამახასიათებელი საშუალებებით.

მარჯანიშვილი სთვლიდა მსახიობს თეატრალური ხელოვნების ძირითად შემოქმედად, უზომოდ უყვარდა მსახიობი და მისი შემოქმედებითი გამომჟღავნებისავთის ქმნიდა მაქსიმალურ პირობებს.

ამიტომ არის კოტე მარჯანიშვილის სახელთან დაკავშირებული ქართულ თეატრში რამდენიმე თაობის შესანიშნავ მსახიობთა დაბადება.

ამიტომ არის ასე მძლავრი კოტეს შემოქმედებითი ტრადიცია, ამიტომ ცოცხლობს იგი დღეს, როგორც თანამებრძოლი და სულიერი მეთაური თანამედროვე ქართულ თეატრში.

ვერიკო ანჯაფარიძე,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

ოქროს სინათლე

კოტე ქართული მწერლობის დიდი მეგობარი იყო. იგი აღიზარდა ილიას, აკაკის და საერთოდ ჩვენი კლასიკური მწერლობის საუკეთესო ტრადიციებზე. ბავშვობიდანვე შეიყვარა მან ქართული ლიტერატურა და ბოლომდე შთაგონებული დარჩა მისგან. მისი მთელი შემოქმედება მწერლობისა და რეჟისურის ურთიერთობის ბრწყინვალე მაგალითია. მწერლობის გარეშე მას ვერც წარმოედგინა ჭეშმარიტად დიდი თეატრალური კულტურის შექმნა.

დრამატურგია, როგორც თეატრის შემოქმედებითი ცხოვრების საფუძველთა საფუძველი, მისი ზრუნვისა და სიყვარულის საგანი იყო მუდამ. „ჩვენთვის, — წერდა იგი, — მთავარ როლს თამაშობს ავტორი და მისი სული. ის არის სცენის მბრძანებელი... თუ მე ჩავწვდებოდი ავტორის სულს, ავტორის პათოსს, გავუხსნიდი მას აქტიორებს და შევძლებდი კოლექტიური შემოქმედებით გამომეხატა ავტორის „სული“, მაყურებლის წინაშე ჩემი ამოცანა შესრულებული იქნებოდა“. ამავე აზრს ავითარებდა და იცავდა იგი შემდეგშიც. „მე განუხრელად ვხელმძღვანელობ იმ პრინციპით, რომ პიესის ბატონ-პატრონი არის ავტორი. ამიტომაც იმ სტილს მივმართავ, რომლითაც დაწერილია პიესა“.

აქაც ჩანს მარჯანიშვილის რეალისტური პოზიცია და უარყოფა იმ მოდერნისტული ტენდენციებისა, რომელიც სცენის ფორმალურ-ტექნიკურ მიღწევებს აბატონებდა თეატრში. თუმცა მარჯანიშვილმა ბრწყინვალედ იცოდა ტექნიკურ მიღწევათა ფასი და მნიშვნელობა.

დრამატურგისადმი ერთგულებას, მისი ნააზრევის სწორ თეატრალურ განსხეულებას მარჯანიშვილისათვის მუდამ პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იმიტომ, რომ მსოფლიო რეჟისურაში ბევრჯერ იყო ცდა, შეეზღუდათ და უარეყოთ თეატრში მწერლის ესოდენ დიდი როლი.

მარჯანიშვილს უახლოესი მეგობრობა აკავშირებდა რუსულ მწერლობასთან. მას ბევრი რამ მისცა მ. გორკისთან სიახლოვემ. **1928 წელს მ. გორკი ამბობდა: „ბედნიერია ქართული თეატრი, რომელსაც კოტე მარჯანიშვილის სახით ენთუზიასტი ხელმძღვანელი ჰყავს“.** მწერალი ლ. ნიკულინი კ. მარჯანიშვილის სამხატვრო თეატრში მუშაობის გამო წერდა: „ამ კაცს უმალვე გაუგეს და დააფასეს. უნდა გენახათ ის თეატრში სამხატვრო თეატრის გენერალურ რეპეტიციაზე აქტორებს შორის, როცა ქაოსიდან სცენაზე უკვე ხელოვნების ქმნილება იბადებოდა. რომ გაგეგოთ, თუ რა ფასი აქვს მარჯანიშვილს. მას ქვეყნებისა და ეპოქების ისეთი მახვილი გაგება და შეგრძნება ჰქონდა, როგორიც არ გააჩნდა ბევრ გამოჩენილ რეჟისორს“.

მწერლობასთან ამგვარი კონტაქტი, მეგობრობა და სიყვარული კიდევ უფრო გააღრმავა მარჯანიშვილმა როცა ქართულ თეატრში მოვიდა. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ 1922 წლიდან ქართულმა თეატრმა დაიწყო ახალი ეტაპი ქართული მწერლობისა და თეატრის მდიდარი ტრადიციების განახლებისა.

დიდ ხელოვანს ორმხრივი ურთიერთობა ჰქონდა ქარველ მწერლებთან. ერთნი იყვნენ ისინი, რომლებიც მუშაობდნენ დრამატურგიის სფეროში, ხოლო მეორენი ეხმარებოდნენ მათი ურთიერთობის გაღრმავებასა და საერთოდ ცოცხალი, შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნას.

დიდი რეჟისორი ნიადაგ იმის ცდაში იყო, რომ თეატრში ფართო გასაქანი ჰქონოდა დრამატურგიას. იგი დიდად აფასებდა ყველაფერ იმას, რაც საუკეთესო იყო ჩვენს დრამატურგიაში. შემთხვევითი არ არის, რომ მან ქართული თეატრის დღეს, 2 იანვარს, წარ-

მოადგინა გ. ერისთავის „გაყრა“. დღემდე არ შენელებულა ინტერესი მის მიერ დადგმული სხვა სპექტაკლებისადმიც, კერძოდ, ქართული ორიგინალური დრამატურგიიდან „მზის დაბნელება საქართველოში“, „ყვარყვარე თუთაბერი“, „როგორ“, „კაკალ გულში“ და სხვა. ამ პიესების დადგმით კ. მარჯანიშვილმა ახალი იმედი და სტიმული მისცა ქართულ დრამატურგიას.

მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ კ. მარჯანიშვილს ეკუთვნის კლასიკური კომედიის „ყვარყვარე თუთაბერის“ აღმოჩენა და ქართულ სცენაზე მისი დამკვიდრება. კ. მარჯანიშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც სწორად განსაზღვრა და შეაფასა დ. კლდიაშვილის დრამატურგია. სასტიკად გაილაშქრა კლდიაშვილის პიესების ვოდევილიზაციის წინააღმდეგ, რასაც არაიშვიათად მიმართავდნენ თეატრში. ეს პატარა საქმე როდი იყო. აქ ნათლად გამოჩნდა კ. მარჯანიშვილის მაღალი გემოვნება და ქართული მწერლობის დიდი რეალისტური ტრადიციების ღრმად შეცნობის ნიჭიერება.

დ. კლდიაშვილი კ. მარჯანიშვილის შესახებ წერდა: „სხვას არას ვიტყვით ამხანად: თუ ვინ რა ღვაწლი დადო ქართული სცენის წარმატებას. მხოლოდ ვეტყვი ჩემს, მწერლის მადლობას იმ რეჟისორთა ჯგუფს — ძვირფასი კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით რომ მოღვაწეობს, რომელმაც უნახავი დადგმებით გააბრწყინა ქართული სცენა“. დიდი ქართველი მწერლის ეს შეფასება მრავლის მთქმელია. კ. მარჯანიშვილს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ოციანი წლების მთელ ქართულ მწერლობასთან.

„დურუჯის“ ორი წლის თავზე პ. იაშვილი წერდა: „ჩვენს იმედს ისიც ემატება, რომ თქვენს მეთაურად, როგორც ოქროს სინათლე, დადგა თქვენთვის და ჩვენთვისაც ერთნაირად საყვარელი მასწავლებელი კ. მარჯანიშვილი, რომლის თავზე გვირგვინად დგას წყალობა საქართველოს მზის“. კითხულობთ პოეტის ამ სტრიქონებს და გაგონდებათ კ. მარჯანიშვილის გულწრფელი სიტყვები: **„მადლობა დიდ რუსეთს, რომ მან ერთი წუთითაც არ შეანელა ჩემი კახური სისხლი, დედაჩემის სისხლი. მისმა საუცხოო სუსხიანმა დღეებმა არ ჩაჰკლეს ჩემში მოგონებანი ჩემი მთების მხურვალე ქვებზე. მისმა მომხიბლავმა თეთრმა ღამეებმა ვერ გათქვიფეს სამხრეთული ხავერდისებური, წკრიალა ვარსკვლავებით უხვად მოფენილი მუქი ცის სისქე. მისმა მშვიდმა გულკეთილობამ ერთი წუთითაც არ შეანელა მშობლიური რიტმები, ქართული ტემპერამენტი, ფანტაზიის თავაწყვეტილი აღმაფრენა — ეს მომცა მე ჩემმა პატარა, ჩემმა საყვარელმა საქართველომ“.** ამ პოეტურ აღმაფრენასა და გულახდილ სტრიქონებში, ამ გულწრფელ განცდაში ქართული პოეზიის შთამაგონებელი ძალაც არის...

საქართველოში არ არის თითქმის არც ერთი ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი მწერალი, რომ მარჯანიშვილისადმი თავისი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა არ გამოეხატოს.

ვასილ კიკნაძე

უკვდავი მეამბოხე

კოტე მარჯანიშვილი მეამბოხე და ნოვატორი იყო ხელოვნებაში — თეატრში, კინოში მუდამ ტრაგიკული მეამბოხის თემას ამუშავებს. მისი სანუკვარელი მხატვრული სახე პროტესტანტია, მებრძოლი ბედნიერებისათვის, კაცობრიობის ბრწყინვალე მომავლისთვის.

კოტე იმით არის ბედნიერი, რომ ის მუდამ ცოცხალია მათთვის, ვისაც ხელოვნებასთან რაიმე დამოუკიდებულება აქვთ. კოტე ცოცხლობს თეატრში, ყოველ მსახიობში, ვინც მასთნ მუშაობდა, ან თვალს ადევნებდა მის შემოქმედებას, რადგან კოტე თავის დიდ ნიჭს ყველას უწილადებდა უხვად და მთლიანად... მე იმ ადამიანთა ჯგუფს ვეკუთვნი, ვინც ბედნიერი იყო კოტესთან ერთად ყოფნით, მისი შეგრძნებით მუშაობის დროს, კერძო ცხოვრების წუთებში, წუხილში და მხიარულებაში. ეს დიდი ადამიანი ყოველთვის აღგიძრავდა სიყვარულს შრომისა და ცხოვრებისადმი.

კოტე უკვდავია მთლიანად საბჭოთა ხელოვნებისათვის. იგი ცოცხალია ქართული ეროვნული ხელოვნებისათვის და, ვისაც სურს ნამდვილი ხელოვნების შეცნობა, უნდა დიდხანს, გულდასმით და ყოველმხრივ შეისწავლოს კ. მარჯანიშვილის მაღალი შემოქმედება.

ნატო ვაჩნაძე, 1948 წ.

თაობათა ჭალი

მარჯანიშვილი თვით რუსეთში იყო ნოვატორი რეჟისორი, რევოლუციონერი რეჟისორი. რუსეთში, სადაც მან არა ერთი თეატრი ჩამოაყალიბა, მას თვითონ ჰყავდა მიმბაძველები და მიმდევრებიც.

მარჯანიშვილის ზოგიერთი სპექტაკლი შევიდა ახალი რუსული თეატრის ისტორიაში, როგორც მნიშვნელოვანი მიღწევა მისი განვითარების გზაზე. მან, რუსეთის საუკეთესო თეატრალურ ტრადიციებსა და კულტურაზე აღზრდილმა, ამავე დროს შექმნა თავისი საკუთარი მხატვრული გზა, განსხვავებული როგორც ნიჭის თავისებურებით, ისე ნაციონალური თვისებებით. საქართველოში დაბრუნებისას მარჯანიშვილმა ქართულ თეატრში მოიტანა თავისი ორიგინალური და დამოუკიდებელი მხატვრული სახე. როგორც რუსთაველის თეატრში, ისე მის მიერ შექმნილ მისი სახელობის თეატრში დადგმული სპექტაკლები, რომელნიც შემდეგში საფუძვლად დაედო ამ თეატრების ჩამოყალიბებას და განვითარებას, იყო თავისებური და მაღალმხატვრული.

მარჯანიშვილი არის ახალი საბჭოთა ქართული თეატრის ფუძემდებელი. დღეს ქართული თეატრის თვალსაჩინო წამყვანი ძალების დიდი უმრავლესობა მარჯანიშვილის მიერ არის გაზრდილი და მათი პირდაპირი მოვალეობაა, მიუდგომლად გააშუქონ

იმ ადამიანის მოღვწეობა, რომელსაც ესოდენ დიდი ადგილი მიეკუთვნება ქართული თეატრის განვითარების ისტორიაში.

უშანგი ჩხეიძე,
საქართველოს სსრ სახალხო არტისტი. 1949 წ.

უბრწყინვალეს მოგონებად...

ზოგი კოტე მარჯანიშვილს ბრალს სდებდა ფორმალიზმში. განა მისი „ურიელ აკოსტა“ ან ჩვენი „დონ კარლოსი“ შეიძლება ფორმალისტურ სპექტაკლებად ჩაითვალოს?

რა უკიდეგანო ღრმა აზრი, რამდენი მწველი ტემპერამენტი, რამდენი გამგმირავი ძალა იყო უშანგი ჩხეიძის აკოსტაში, რა საოცრად ლირიული, ამასთან რაოდენ შთამაგონებლად ტრაგიკულია ვერიკო ანჯაფარიძის ივდითი.

ახლა თვით სპექტაკლის ფორმა, მთელი მისი სტილი, დიდი მხატვრის მარჯანიშვილის მიერ შექმნილი მთლიანი ანსამბლი რა ხაზგასმით აძლიერებდა ახალ მშვენიერ აზრებსა და დრომოჭმულ ჩამორჩენილობას შორის ბრძოლას. საგრძნობი იყო, თუ როგორ მიიკვლევდა გზას ახალი, უფრო გაბედული, ნათელი აზრი და რა მძიმე გამოცდას იჭერდა იგი, ყველაფერი ეს მძლავრად გამოვლინდა მარჯანიშვილის „ურიელში“.

დაუვიწყარია, მეხსიერებიდან არ წაშლილა ის შთაბეჭდილებანი, რაც ამ სპექტაკლის ბედნიერმა მაყურებელმა მიიღო. ეს შესანიშნავი დადგმა არა მარტო ზედმიწევნით შესწავლას მოითხოვს, არამედ თანამედროვე დადგმებში გადატანას.

„...მაგონდება, როგორ მიმდინარეობდა „დონ კარლოსის“ რეპეტიცია მცირე თეატრში. სასცენო მოედანზე, კიბის კვარცხლბეკთან იჯდა მარჯანიშვილი. სიწყნარე სუფევდა. ისიც დუმდა. და ამ დროს უცბად წამოდგა, მოკლედ გადაგვიშალა მთელი მოქმედება. აღელვებულებს გვინდოდა რეჟისორის ჩანაფიქრის შესრულება, მაგრამ რაღაც არ გამოდიოდა. ტექნიკურადაც ძნელი იყო თვალის დახამხამებაში კიბეზე არბენა და ამაღელვებელი მონოლოგის წარმოთქმა.

მარჯანიშვილი არ ცნობდა ისეთ მსახიობს, რომელიც ვერ ფლობდა თავის სხეულს, სუნთქვასა და სმენას, სინთეზური მსახიობი მარჯანიშვილის მსახიობია. მე დიდად მადლობელი ვარ მარჯანიშვილისა. იგი მხარს მიჭერდა აქტიორული მონაცემების ყოველმხრივი განვითარებისაკენ ლტოლვაში.

დიდი მხატვარი არ უნდა გაურბოდეს სილამაზეს სცენაზე. თუ იგი გააზრებული და აუცილებელია. მარჯანიშვილი ასე იქცეოდა. იგი არასოდეს არ მოგახვევდა თავის გადაწყვეტილებას, ერთ ზედმეტ სიტყვას არ იტყოდა, სწორად გახსნიდა სპექტაკლის აზრს, მსახიობს ეხმარებოდა სახის ღრმად შეცნობაში, ბრძნულ რომანტიკულ შინაარსს შესანიშნავ ფორმაში აყალიბებდა.

ბედმა მარგუნა, შევხვედროდი ლამაზ, შთამაგონებელ მხატვარს, გამოჩენილ რეჟისორს კოტე მარჯანიშვილს. მისი ხსოვნა, მასთან მუშაობა უბრწყინვალეს მოგონებად მრჩება ჩემი თეატრალური მოღვაწეობისა და ცხოვრების გზაზე.

ე. გოგოლევა,
სსრ კავშირის სახალხო არტისტი

სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავზე

კოტეს სწერდნენ...

მაგონდება ჩვენი ერთობლივი მუშაობა. თქვენ შესძელით ცხოვრების ხელში აღება. დაე, მუდამ ასეთი იყოთ.

კნიპერ-ჩეხოვა.

სიამოვნებით ვიგონებთ თქვენთან ერთად მუშაობაში გატარებულ დღეებს. გიგზავნით ჩვენს მოლოცვას და საუკეთესო სურვილებს. ველოდებით თქვენს ახალ-ახალ გამარჯვებებს და მაგრად გართმევთ ხელს.

ნემიროვიჩ-დანჩენკო,
სტანისლავსკი.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი მიესალმება თქვენს უშრეტ შემოქმედებითს ენერგიას, რეჟისორის გამომგონებლობითს ძალას, რამაც თქვენი სცენიური ცხოვრება გახადა ესოდენ საჭირო, საინტერესო, წარმტაცი და რამაც თქვენ დაგაყენათ სცენის მხატვართა პირველ რიგებში.

მოსკოვის სამხატვრო თეატრი.

მხურვალე მეგობრულ სალამს ვუძღვნი ძვირფას კოტე მარჯანიშვილს, რომ ასე ბრწყინავს და ჰყვავის მშობლიურ ნიადაგზე.

ვ. კაჩალოვი.

ქართული სოფელი გუშინ, ანუ წინ წავედით თუ უკან

გაზეთი «სოფლის ცხოვრება», 1962 წლის, ოქტომბერ-ნოემბერი

საზოგადოებრივ მარანში მევენახეთა პატრიოტული მაგალითი

თელავის რაიონი

სოფელ ჯუღაანის კოლმეურნეობის წევრმა ილია ქოჩიშვილმა საკარმიდამო ნაკვეთზე კარგი მოსავალი მიიღო და ყურძნის დიდი ნაწილი სახელმწიფოს მიჰყიდა. მან ნაფარეულის ღვინის ქარხანას 2.270 კილოგრამი ყურძენი ჩააბარა და 1.178 მანეთი მიიღო.

ამავე კოლმეურნეობის წევრმა ფარნაოზ მარკოზაშვილმა სახელმწიფოს 1.434 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა, რაშიც 546 მანეთი ერგო.

სანიორელმა კოლმეურნემ არუთინ საქუაშვილმა ნაფარეულის ღვინის ქარხანას 1.610 კილოგრამი საფერავის ჯიშის ყურძენი ჩააბარა და სახელმწიფოსაგან 819 მანეთი მიიღო.

მოდის ვაზის ბარაქა

ბარაქიანი რთველი აქვთ ქართველ მევენახეებს. ყოველდღიურად მატულობს სახელმწიფოსათვის მიყიდული ყურძნის რაოდენობა. აღმოსავლეთ საქართველოში დასასრულს უახლოვდება რთველი. ყურძნის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის გურჯაანის, სიღნაღის ტერიტორიულმა საწარმოო სამმართველოებმა და ყვარლის, წითელწყაროს, სიღნაღისა და გურჯაანის რაიონებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მილოცვა დაიმსახურეს. 13 ოქტომბრისათვის ყურძნის დამზადების გეგმები წარმატებით შეასრულეს, აგრეთვე, ბოლნისის სამმართველომ, საგარეჯოსა და კასპის რაიონებმა.

რთველი წარმატებით გრძელდება სხვა რაიონებშიც. ახლა ყურძნის დამზადების მთელი სიმძიმის ცენტრი გადატანილია დასავლეთ საქართველოზე. აქაური მევენახეები ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ, იბრძვიან იმისათვის, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ 190.000 ტონა ყურძნისათვის ბრძოლაში. ამ საერთო სახალხო საქმეში არ შეიძლება არ აღინიშნოს, აგრეთვე, მოსახლეობის პატრიოტული ინიციატივა. მოსახლეობა სახელმწიფოს აბარებს საკარმიდამო ნაკვეთებზე მოწეული ყურძნის დიდ ნაწილს.

ზამთარი შეგვამოწმებს!

საკვები ბაზა — აი ძირითადი პირობა, რამაც უნდა გადაწყვიტოს მეცხოველეობის განვითარების წარმატება. ეს კარგად იციან სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობაში, სადაც დიდი რაოდენობით დაამზადეს ნამჯა. გალეწეს, დაწნეხეს და შესაფერი ადგილი მიუჩინეს. ახლა აქ წარმატებით შრომობენ წვნიანი საკვების დასამზადებლად. კოლმეურნეობაში შექმნილია საკვებმომპოვებელი ბრიგადა, რომელიც დღეში 60-70 ტონა სიმინდის სილოსს ამზადებს.

საკვების დამზადებაში თავი ისახელა, აგრეთვე, ქიწნისის საბჭოთა მეურნეობამ. უკვე დამზადებული აქვთ 700 ტონაზე მეტი სილოსი. მაგრამ ასე როდი ითქმის გორის საწარმოო სამმართველოს ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე. ნელი ტემპით მიმდინარეობს სილოსის დამზადება სოფელ ქვეშის, ძევერის, დიცის კოლმეურნეობებში.

ბევრ კოლმურნეობაში ჯერ კიდევ ვერ გაიგეს შარდოვანას სიკეთე, არ იყენებენ მას სილოსის გასამდიდრებლად. მაგალითად, სოფელ თორტიზის, ფლავის, ნიქოზისა და სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს 20 სექტემბრისათვის სოფლმომარაგების გორის განყოფილების საწყობიდან გატანილი არ ჰქონდათ შარდოვანა.

საინტერესოა, რით ხსნიან კარალეთის საბჭოთა მეურნეობაში იმ ფაქტს, რომ წელს აქ შარშანდელთან შედარებით წველადობამ თვითეულ ფურზე 192 კილოგრამით დაიკლო? ეს ხომ საკვების ნაკლებობით არის გამოწვეული. ეს კარალეთელებს რომ კარგად ცოდნოდათ, მაშინ სილოსის დამზადებაში არ ექნებოდათ ჩამორჩენა, უკეთ

გამოიყენებდნენ შარდოვანას და მომავლისათვის მაინც გამოასწორებდნენ დაშვებულ შეცდომებს.

საკვების წარმოებაში ჩამორჩენილი კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა შეიგნონ რომ ზამთარი კარზეა მომდგარი. იგი მათი ფერმების მკაცრი რევიზორი იქნება.

ც. დოდოშვილი

ზესტაფონის რაიონი

სოფელ ქვედა საზანოს რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა კარლო კვანტიძემ სახელმწიფოს 2.500 კილოგრამი ყურძენი მიჰყიდა და 1.000 მანეთი მიიღო.

კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა დიდიმ ბუცხრიკიძემ საკარმიდამო ნაკვეთში მოწეული 2.800 კილოგრამი ყურძენი ღვინის ქარხანას ჩააბარა და 1.120 მანეთი მიიღო.

ქვედასაზანოელმა მედეა ნოზაძემ ღვინის ქარხანაში 1.240 კილოგრამი ყურძენი მიიტანა, რაზეც 480 მანეთი შეხვდა.

კასპის რაიონი

ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ ილია ხუროშვილმა ღვინის ქარხანას 1.505 კილოგრამი ყურძენი ჩააბარა და 677 მანეთი მიიღო.

დაბა კასპის მცხოვრებმა გიორგი ფარემუზაშვილმა საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილი ყურძენი სახელმწიფოს მიჰყიდა. 1.448 კილოგრამ ყურძენში ღვინის ქარხანამ 652 მანეთი გადაუხადა.

აღაიანის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მუშებმა ოთარ და ბესო ემყენაშვილებმა ღვინის ქარხანაში ჩაბარებულ 1.504-1.504 კილოგრამ ყურძენში თვითეულმა 478 მანეთი მიიღო.

ამავე კოლმეურნეობის მუშამ მაჰმად რამაზ-ოღლიმ ღვინის ქარხანაში ჩაბარებული 1.777 კილოგრამი ყურძნის ანგარიშში 800 მანეთი მიიღო.

პირველი შედეგები აბინავებენ „მინდვრის დედოფალს“

დიდ ფართობზეა გადაჭიმული აბაშის რაიონის სოფელ ნორიოს კოლმეურნეობის სიმინდის ყანები. „მინდვრის დედოფალს“ 700 ჰექტარი უკავია. მთელი ზაფხულის განმავლობაში აქ საგულდაგულოდ ამუშავებდნენ ნათესებს და ახლა გაწეული შრომის ნაყოფს იმკიან.

ორი კვირაა დაიწყო მოსავლის აღება. პირველი შედეგებით კმაყოფილი არიან მესიმინდეები. თვითეულ ჰექტარზე მოსავალმა 26 ცენტნერი შეადგინა. ეს შედეგი შარშანდელს ერთიორად აღემატება.

კოლმეურნეობაში მშრომელთა დაინტერესების ახალი სისტემის შემოღებამ საგრძნობლად გაზარდა შრომისნაყოფიერება. თუ წინათ კოლმეურნეები ზერელედ ეკიდებოდნენ გაპიროვნებული ნაკვეთის დამუშავებას და მოსავალსაც მცირეს იღებდნენ, ახლა ხალისით შრომობენ სიმინდის ყანებში. მაგალითად, კოლმეურნეობას 800 ჰექტარზე ეთესა სიმინდი და თვითეულ ჰექტარზე მხოლოდ 13.3 ცენტნერი მარცვალი მიიღეს. თითზე ჩამოითვლებოდნენ მოწინავეები, სამაგიეროდ სჭარბობდნენ ისეთები, რომლებიც უსულგულოდ ამუშავებდნენ ნათესებს და ვერც გეგმას ასრულებდნენ.

სულ სხვა სურათია წელს. კოლმეურნეები კეთილსინდისიერად მუშაობდნენ მიჩენილ ნაკვეთებში და მოსავალსაც კარგს იღებენ. ბრიგადა, რომელსაც ვ. გვაზავა ხელმძღვანელობს, სამაგალითო მაჩვენებლებით ვერ დაიკვეხნიდა შარშან, მაგრამ წელს აქ სხვა მდგომარეობაა. წელს ბრიგადის მესიმინდეები

წარმატების თავიდათავი

ფურების სულადობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში

1			
2			
3			
4			
5			
6			
7			
8			
9			
10			
11			
12			
13			
14			
15			
16			
17			
18			
19			
20			
21			



190.000 ფრინის ანგარიშში!

მოკრეფილია ყურძენი

გურჯაანის საშვარისელო	3.865	37.508
გურჯაანის რაიონი	26.730	32.377
ყიზლარის საშვარისელო	14.460	18.636
ყიზლარის რაიონი	9.960	13.863
ვინოგრადარის რაიონი	2.500	3.650
ქვარლის რაიონი	10.000	12.000

წინ გაიქცა და ფინიშთან გამარჯვება გვახარა,
ტაშს უკრავენ თვით ბუჩქებიც ჭინჭარაძე მაყვალას.

ალიშერა ზუგდიდელი ნორა პაქელიანი,
არის შრომის სამფუთია მისი ხელთა ტრიალი.

70 ჰექტარ ნათესს უვლიდნენ. ახლა ორიოდე დღეა, გავიდნენ ყანებში და ჯერ მხოლოდ 8 ჰექტარზე აიღეს მოსავალი. თვითეულ ჰექტარზე 31 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღეს, გეგმა კი 22 ცენტნერს ითვალისწინებს.

ნაყოფიერად იშრომა მოწინავე მესიმინდემ დ. ჭანტურიამ. გაპიროვნებულ ერთ ჰექტარზე მან 35 ცენტნერი სიმინდის მარცვალი მიიღო. სოციალისტური შრომის გმირმა გიორგი ჩოჩიამ მოსავლელად 3 ჰექტარი გაიპიროვნა, ნათესებს მოვლა-პატრონობა არ დააკლო. მისი ნაკვეთი შესანიშნავად არის დამუშავებული. თვითეულ მცენარეს 3-4 ტარო აქვს. მოწინავე მშრომელი ამ დღეებში დაიწყებს სიმინდის ტეხას. იგი თვითეულ ჰექტარზე 80 ცენტნერი სიმინდის მარცვლის მიღებას ვარაუდობს.

ახალგაზრდებს არ ჩამორჩება სოციალისტური შრომის გმირი, ოთხმოც წელს გადაცილებული ფილიმონ ჩოჩია. მას ორი ჰექტარი აქვს გაპიროვნებული და გადაწყვეტილი აქვს თვითეულ ჰექტარზე არა ნაკლებ 50 ცენტნერი მარცვალი მიიღოს.

ნორიოელმა კოლმეურნეებმა გადაწყვიტეს მოსავლის აღება 1 ნოემბრისათვის დაამთავრონ.

ჯ. ტარიელაშვილი,
აბაშის რაიონი

საზოგადოებრივ მარანში

პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებმა საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა დიდი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. პარტიის მგზნებარე სიტყვა ჩვენი სოფლის ადამიანების სულსა და გულს მოხვდა, ახალი წარმატებებისათვის დაგვრაზმა.

წელს სახელმწიფოს გეგმით უნდა მივყიდოთ 103 ტონა ყურძენი, მაგრამ ვიკისრეთ 130 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძნის მიყიდვა.

ორიოდე დღეა, რაც რთველი გავაჩაღეთ და უკვე თვალსაჩინო წარმატებებს მივაღწიეთ, ღვინის ქარხანას 40 ტონაზე მეტი ყურძენი ჩავაბარეთ.

სახელმწიფო დავალების წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი წვლილი შეაქვთ კოლმეურნეებსაც. მოწინავე მევენახემ დამიანე გოგორიშვილმა სახელმწიფოს მიჰყიდა 3.600 კილოგრამი ყურძენი. ვანო ბაღდავაძემ — 2.500 კილოგრამი, ბრიგადირმა შოთა ბუაძემ — 3.000 კილოგრამი. ჩვენი კოლმეურნეობის წევრთა უმრავლესობამ გადაწყვიტა საკარმიდამო ნაკვეთებზე მიღებული ყურძნის მოსავლის 90 პროცენტი მიჰყიდოს სახელმწიფოს.

შპატაკებს კასპი

წარმატებით მიმდინარეობს ყურძნის დამზადება კასპის რაიონში. 12 ოქტომბრისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და მოსახლეობამ 3.730 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 3.745 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი მიჰყიდეს.

კასპელმა მევენახეებმა იკისრეს სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით მიჰყიდონ 1.200 ტონა ყურძანი.

გეგმის ზევით 3.000 ტონა

სიღნაღის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ. ასეთი უხვი მოსავალი კარგა ხანია არ ახსოვთ ლაგოდეხელ, წითელწყაროელ და სიღნაღელ მევენახეებს.

ტიბაანისა და ვაქირის ღვინის ქარხნებმა ჯერ კიდევ 3 ოქტომბრისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ყურძნის მიღება-გადამუშავების გეგმები. 6 ოქტომბრისათვის სიღნაღის რაიონის ღვინის ქარხნებს ჩაბარდა 16.500 ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, რაც გეგმით გათვალისწინებულს 2.040 ტონით აღემატება.

ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ბევრმა კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის ყურძნის მიყიდვის წლიური გეგმა უკვე კარგა ხანია შეასრულა და ახლა ვალდებულების განაღდებისათვის იბრძვის.

წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 314 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდა 506 ტონა ყურძენი.

ყურძნის უხვ მოსავალს იღებენ, აგრეთვე, სიღნაღის რაიონის მშრომელები. სოფელ ძველი ანაგის კოლმეურნეობამ გეგმით გათვალისწინებული 519 ტონის ნაცვლად

სახელმწიფოს უკვე მიჰყიდა 742 ტონაყურძენი, ჯუგაანის კოლმეურნეობამ — 282 ტონის ნაცვლად 489 ტონა, საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ — 188 ტონის ნაცვლად 375 ტონა. სახელმწიფო დავალებას დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ ტიბაანის, ვაქირის, წნორისა და სხვა კოლმეურნეობები.

სიღნაღის ტერიტორიული საწარმოო სამმართველოს ზონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ სახელმწიფოს გეგმის ზევით მისცენ 3.000 ტონა ყურძენი.

დ. ბატიაშვილი,
„სოფლის ცხოვრების“
კორესპონდენტი.

კომბაინები რომ გუგუნებდეს...

დაძაბული დღეებია ახლა გორის რაიონში. იღებენ ხილის, ყურძნის, ჭარხლის, სიმინდის და ბოსტნეული კულტურების უხვ მოსავალს. კოლმეურნეები ჩქარობენ, რაც შეიძლება სწრაფად და უდანაკარგოდ აიღონ მთელი წლის ნაამაგარი.

სოფელ ზერტის კოლმეურნეობაშიც დილიდან გვიან საღამომდე მინდვრად, ბაღებში, ვენახებში არ წყდება საქმიანი ფუსფუსი, განსაკუთრებით სიმინდის ყანებში. ეს გასაგებიც არის, კოლმეურნეობას ხომ 420 ჰექტარზე უთესია „მინდვრის დედოფალი“, რომელსაც დროულად უნდა აღება და დაბინავება.

სიმინდის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში კოლმეურნეობის ყველა დარგის მუშაკი მონაწილეობს. მეცხოველეებს, მეხილეებს, მებოსტნეებს სიმინდის ნაკვეთებიც აქვთ გაპიროვნებული და მესიმინდეებზე ნაკლებ მოსავალს როდი იღებენ. ი. თანდილაშვილი მეცხოველეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს. მოწინავე ბრიგადირი ძირითად საქმესთან ერთად 1 ჰექტარი სიმინდის მოსავალსაც იღებს.

აი, ი. თანდილაშვილის ნაკვეთში ვართ, ბრიგადირიც აქ არის, მოსავალს იღებს. კითხვაზე, როგორი მოსავლის მიღებას ვარაუდობს, გვიპასუხა: — მართალია, გვალვებმა ძლიერ დააზიანა ნათესები, მაგრამ 70 ცენტნერზე ნაკლებს მაინც არ მივიღებ. ამას კი იმით მივაღწიე, რომ დროზე დავამუშავე ნათესები და წყალიც დროზე მივაწოდე.

სიმინდის უხვი მოსავლის მიღებას ვარაუდობს მესიმინდეთა უმრავლესობა. ვ. ტიელიძეს კი 1 ჰექტარზე 80 ცენტნერის მიღება აქვს გადაწყვეტილი.

კოლმეურნეებს ჯერ მხოლოდ 60 ჰექტარზე აუღიათ სიმინდი, 400 ჰექტარიან მასივში ეს ფართობი ზღვაში წვეთივით მოჩანს. კოლმეურნეებს სიმინდის აღებაზე ბევრი შრომა დასჭირდებათ.

— რატომ სიმინდის ასაღებ კომბაინს არ იყენებთ? — ვეკითხებით კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გ. აკოფაშვილს.

— მაგ სიკეთეს რომ მოგვასწრებდეს „საქსოფლტექნიკის“ გორის განყოფილება, ძალიან კარგი იქნებოდა, მოსავალსაც დროულად და უდანაკარგოდ ავიღებდით და პროდუქციის ერთეულზე დანახარჯებსაც შევამცირებდით.

მართალია, სიმინდის მოსავლის აუღებლად დატოვებას არ აპირებენ, მაგრამ კარგი იქნებოდა, თუ ზერტელები ახლო მომავალში „საქსოფლტექნიკიდან“ სიმინდის ასაღებ კომბაინს მიიღებენ და ამით უზრუნველყოფენ როგორც მოსავლის უდანაკარგოდ აღებას, ისე ახალი ტექნიკის დანერგვას.

დ. რევაზიშვილი,
გორის რაიონი.

თესვა გაჩაღდა

წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველებმა ადრე დაამთავრეს მოსავლის აღება, ხვნა, გულდასმით მოამზადეს ტექნიკა და ფართოდ გააჩაღეს ხორბლის თესვა.

დიდი შრომითი აღმავლობაა საკოლმეურნეო სოფლებში. აი, არხილოსკალოს საკოლმეურნეო მინდვრები. აქ ორმხრივ გადაბმული სათესი აგრეგატები დღედაღამ მუშაობენ. კოლმეურნეობას პირველი ოქტომბრისათვის დათესილი ჰქონდა 1.000 ჰექტარი ხორბალი და 100 ჰექტარი ჭვავი.

სახელოვანი მექანიზატორის გ. თინაშვილის ბრიგადაში სიცოცხლე ჩქეფს. აქ 140-150 პროცენტით ასრულებენ თესვის ყოველდღიურ დავალებას. მათ როდი ჩამორჩება ის აგრეგატი, რომელსაც ლევან ნათობოვი ხელმძღვანელობს. მთესავები ნ. წიკლაური, დ. იანვარაშვილი და კ. ბუთხუზი თესვის დღიურ ნორმებს 200 პროცენტით ასრულებენ.

საშემოდგომო თესვის ტემპები საგრძნობლად გაძლიერდა ქვემო ქედის კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობის მთავარმა აგრონომმა ვლადიმერ ხარხელაურმა განაცხადა: — ნ. ზაგლადას სტატიამ აამოძრავა ჩვენი სოფლის მშრომელები. გავეცანით მისი სტატიის შინაარსს, ყოველდღე ვაუმჯობესებთ მინდვრის სამუშაოთა ხარისხს ფართოდ გავშალეთ საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება, გადაწყვეტილი გვაქვს 20 ოქტომბრამდე დავამთავროთ საშემოდგომო ხორბლის თესვა.

ახლა ბეჯითად შრომობენ ქვემო-ქედელი მემინდვრეები. მათ საშემოდგომო ხორბალი უკვე 700 ჰექტარზე დათესეს, ხოლო ქერი და მრავალწლიანი ბალახი — 180 ჰექტარზე.

5 აგრეგატი 10 სათესით ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ანაღდებს. მაგალითად, გ. მჭედლიშვილის, მ. ქოქოევის, ა. ცოხიშვილის, ი. ქოჩაშვილის აგრეგატები დღიურ დავალებას 130-135 პროცენტით ასრულებენ.

წითელწყაროელი მხვნელ-მთესველები იბრძვიან იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის რევოლუციის 45-ე წლისთავს.

გ. კაკალაშვილი,
„სოფლის ცხოვრების“ კორ.
წითელწყაროს რაიონი.

გეგმა კანონია!

ბორის პასტერნაკი



Стрелой несётся конь
мечты моей,
Вдогонку ворон
каркает угрюмо.
Вперёд, мой конь,
мою печаль и думу
Дыханьем ветра
встречного обвей.

Вперёд, вперёд,
не ведая преград,
Сквозь вихрь и град,
и снег,
и непогоду.
Ты должен сохранить
мне дни и годы.
Вперёд, вперёд,
куда глаза глядят!

ნაწყვეტი „მერანის“
პასტერნაკისეული თარგმანიდან

შამილი

1832 წ. 25 მაისი — ანაპის ციხესიმაგრის კომენდანტის, ვიშესლავცევის, პატაკი ჯარების მეთაურს კავკასიის ხაზზე და შავზღვისპირეთში — გენერალ-ლეიტენანტ ველიამინოვს თურქთა მიერ მთიელების საბრძოლო მასალით მომარაგების თაობაზე, №1314.

ჩვენი ხელისუფლების ზოგიერთმა მომხრემ, საიდუმლოდ ჩამოვიდნენ რა ანაპაში, მოგვაწოდეს უტყუარი ცნობა, რომ თურქთა მნიშვნელოვან რაოდენობას, რომლებიც ამ გაზაფხულზე სურჯუკ-კალეში თურქული ხომალდებით ჩამოვიდნენ და დარჩნენ, აქვთ პირდაპირ სანაპიროზე, მათი ბაზრის ახლოს, ორი დახლი საფანტით, მარილით, რკინითა და ლამაზი საქონლით სავაჭროდ, რასაც დიდი სიამოვნებით ეტანებიან მთიელები. მივიღეთ რა ზოგიერთი ჩვენი მომხრისაგან ინფორმაცია ამ დახლების მეპატრონეთა შესახებ, მათი ხელსაყრელ შემთხვევაში ანაპაში გაგზავნის თაობაზე, საჭიროდ ჩავთვალე გელენჯიკის სამხედრო ხომალდების რაზმის მეთაურისათვის, კაპიტან-ლეიტენანტ არკასისათვის დამევალებინა ერთ-ერთი საიმედო სამხედრო ხომალდის დაუყოვნებლივ გაგზავნა სუჯუკ-კალეში, რათა გაარკვიოს სიმართლე — მართლა არის თუ არა სანაპიროზე ზემოთ ნახსენები დახლები, მომარაგებული ზემო ნახსენები აკრძალული საქონლით...